გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№156 (215) 7-14 თებერვალი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი


## „Human Rights Watch“-ის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ

**„შარშან საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარება არაერთგვაროვანი დარჩა“,**– განაცხადა უფლებადამცავმა ორგანიზაცია **„Human Rights Watch“**-მა თავის ყოველწლიურ ანგარიშში. მასში 2011 წელს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ტენდენციები მიმოიხილება.

საქართველოსთან მიმართებაში ანგარიშში წუხილებს შორის ჩამოთვლილია პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენება მაისში ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციის დაშლის დროს, **„შეკრებისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა“,** დევნილთა ძალადობრივი გამოსახლება თბილისის დროებითი თავშესაფრებიდან, ასევე, შრომითი უფლებების დარღვევა, კერძოდ, ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის მუშების გაფიცვის დროს.

**„Human Rights Watch“-ის ანგარიში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის შესახებ, როგორც საქინფორმის მკითხველებმა იციან, იანვრის დასაწყისში გამოქვეყნდა.**

ახლანდელ ანგარიშში კი ნათქვამია, რომ, მართალია, ამერიკამ და ევროკავშირმა გააღრმავეს პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან, მაგრამ მათ ვერ შეძლეს თავიანთი ბერკეტების გამოყენება საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

**„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გააღრმავეს თავიანთი ჩართულობა და ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან. მაშინ, როდესაც ორივე მათგანმა გამოთქვა წუხილები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, არცერთმა არ გამოიყენა ურთიერთობების გაღრმავების პროცესი ადამიანის უფლებათა კონკრეტული გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად“,** – ნათქვამია ანგარიშში.

**საქინფორმი**

## მედვედევისა და ანქვაბის შეხვედრა ფსოუზე

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მდინარე ფსოუზე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე მდებარე საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოინახულა. მედვედევთან ერთად აფხაზეთში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც იმყოფებოდა.

**„რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთსა და აფხაზეთს შორის არსებულ საზღვარზე მდებარე პუნქტი მოინახულა, სადაც დღეს ახალი საავტომობილო ხიდი უნდა გაიხსნას“,** – იუწყება რუსული და აფხაზური მედია.

მათივე ინფორმაციით, ახალ ხიდზე, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს აერთებს, რუსეთის პრეზიდენტი და აფხაზთა ლიდერი ალექსნდრე ანქვაბი ერთმანეთს შეხვდნენ.

**„ყველაფერი მალე ააშენეს, ცივილიზებულად, მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმების გათვალისწინებითაც“,** – უთხრა მედვედევმა ალექსანდრე ანქვაბს და აფხაზეთის პრეზიდენტი მასთან ერთად საზღვრის რუსულ მონაკვეთზე დაპატიჟა.

ახლად აშენებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი სრული დატვირთვით მიმდინარე წლის თებერვალში ამუშავდება.



## რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს

ექვსი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც ვანო მერაბიშვილის უწყებაში მოკალათებულმა პოლიციის ფორმიანმა მკვლელებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს ახალგაზრდა ადამიანს. სანდრო გირგვლიანი რესტორნიდან ძალით წაიყვანეს, სადაც ქეიფობდნენ **შსს**-ს მაღალჩინოსნები და ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია, რომლებთანაც შელაპარაკება მოუვიდა სანდროს. მოქიფეთა შურისძიება იყო მყისიერი, სასტიკი და დაუნდობლობით გამორჩეული – სანდრო გირგვლიანს სადისტმა პოლიციელებმა ყელი გამოჭრეს დ ტანსაცმელშემოძარცვული უმწეო ადამიანი, იანვრის სუსხიან ყინვაში ტყეში მიაგდეს.

ერთადერთი პირმშოს აღმზრდელი, შვილმკვდარი ირინა ენუქიძე, მას შემდეგ, რაც სამართალი ვერ იპოვა, შვილზე დარდს გადაჰყვა. ასევე დარდმა შეიწირა სანდროს ბაბუა, ჩვენი კოლეგა ჟურნალისტი და სათნოებით გამორჩეული ადამიანი ჯიმშერ ენუქიძე. მოკლედ, როგორც ასეთი უბედურების მომსწრეები ამბობენ: **“არაადამიანებმა მთელი ოჯახი ამოწყვიტეს”!**

შემდეგ, ეს პირწავარდნილი მკვლელები საქართველოს სულიერების მესაფლავე მიხეილ სააკაშვილმა შეიწყალა და ისინი დღეს თავისუფლად დაიარებიან ქალაქში, რაც მთელი ქართველი ერის დიდი სირცხვილია!

სწორედ ამას მიეძღვნა მიტინგი, რომელიც 28 იანვარს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გაიმართა. მაგრამ იგი პოლიციელებმა დაარბიეს და საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეები მას შემდეგ დააკავეს, რაც რუსთაველის გამზირის სავალ ნაწილზე გადასვლა მეორედ სცადეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულები იყვნენ **ჯაბა ჯიშკარიანი, მიხეილ მუმლაძე და ილია ჩაჩიბაია.** მანამდე კი, **ზაზა სვანაძე** დააკავეს. რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, ქაშუეთის ეკლესიასთან მობილიზებული იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. მხოლოდ ადამიანის სახედაკარგული ხელისუფლების მიერ მართულ ქვეყანაში თუ მოხდება ის, რომ აპატიმრებენ არა პირწავარდნილ მკვლელებს, არამედ მათ, ვინც ამ მკვლელობას აპროტესტებენ!

პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა აქციის მონაწილეთა დაკავებას უკანონო უწოდეს და აღნიშნეს, რომ **”აქციის მონაწილეები საკუთარ აზრს და პროტესტს გამოხატავდნენ ქვეყანაში არსებულ უკანონობასთან და სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით”.**

რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქცია, როგორც თავად აქციის ორგანიზატორები ამბობენ, სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობიდან 6 წლისთავთან დაკავშირებით გამართეს. აქციაში რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციისა და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**“სანდრო გირგვლიანის სისხლი ცას შესჩუხჩუხებს!”**

იმედი გვაქვს, რომ სამართალი მალე იზეიმებს და სანდრო გირგვლიანის მკვლელები და ამ მკვლელობის შემკვეთები განსასჯელთა სკამებზე აღმოჩნდებიან, აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

სხვაგვარად, მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, ვიდრე ამ მართლაც საზარელ დანაშაულს მორჩილად კისერდადრეკილები ვურიგდებით და ხმამაღალ პროტესტს არ გამოვთქვამთ, სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ყველა ქართველს გვაწევს კისერზე მძიმე ცოდვად!



## თბილისში მდგმურების აღწერა დაიწყო?!

როგორც რიგითი თბილისელები ამბობენ, უკვე რამდენიმე დღეა, დედაქალაქის კორპუსებში უცნობი პირები დადიან და კითხულობენ, თუ ვინ არის მუდმივი მცხოვრები კორპუსში და ვინ მდგმური. მოსახლეობა ეჭვობს, რომ ეს ინტერესი საგადასახადო კოდექსის იმ მუხლს უკავშირდება, რომელიც ბინის გამქირავებელს 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის გადახდას ავალდებულებს. ნაკლებ სარწმუნოა, რომ ხელისუფლება ამას საარჩევნო სისტემის დასახვეწად აკეთებდეს და ამომრჩეველთა სიების წერსიგში მოყვანა სურდეს. არავინ იცის, დღემდე რამდენი მილიონი ლარი თუ დოლარი დაახარჯა ხელისუფლებამ საარჩევნო სიების დაზუსტების მიზნით, მაგრამ ეს სიები კვლავაც უხვადაა გაჯერებული უკვე დიდი ხნია გარდაცვლილი ხალხით.

ისე, ნაკლებ სარწმუნოა, რომ **„ნაციონალებს“** ცოცხალმა ადამიანებმა მისცენ ხმა, და ამიტომაც არიან ისინი დღემდე მკვდრების იმედზე.

ბინის მეპატრონე თბილისელი გამქირავებლები კი ამბობენ, რომ საშემოსავლო გადასახადის დაწესებით ხელისუფლება მათი ჯიბიდან დამატებით შემოსავალს მიიღებს. ამიტომ ისინი დამქირავებლებს წინასწარ აფრთხილებენ, შემოწმების შემთხვევაში განაცხადონ, რომ ისინი ბინის მესაკუთრის ნათესავები არიან და იქ უფასოდ ცხოვრობენ.

სხვა რა გზა აქვთ დარჩენილი **„ნაციონალებს“** და მათ ნეტარღიმილიან ბელადს – რაც ბიძინა ივანიშვილის სახით შემოსავლის დიდი წყარო დაჰკარგეს, საკუთარი ქისების შევსებაზე უარის თქმა უწევთ და ახლა აღარ იციან საიდან ამოიღონ ფული, რადგან, ამათი ფრიად საეჭვოდ **„წარმატებული“** ბიუჯეტის პირობებში, როგორც ჩანს, ვეღარც ჯარის დაფინანსებას ახერხებენ და ვერც პოლიციელების. ამიტომ, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ეს ძალა სწორედ მათვე ექცეთ სავაგლახოდ და თავსატეხად.

შეგახსენებთ, საგადასახადო კოდექსში ცვლილება, რომელიც ბინის გამქირავებლებისთვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის გადახდას ავალდებულებს, 2011 წელს შევიდა. ამავე კოდექსის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ გამქირავებელი გადასახადს თავს აარიდებს, კანონის თანახმად, მას სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. თუკი დეკლარირებული უძრავი ქონება ქირავდება, მისი მეპატრონე ვალდებულია, საშემოსავლო გადასახადი გადაიხადოს. საგადასახადო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავალი 12 პროცენტის ნაცვლად, 20 პროცენტით იბეგრება.

მართლაც მძიმე დღეში არიან დამატებითი შემოსავლების გარეშე დარჩენილი **“ნაციონალები”** და სააკაშვილი, და ამიტომ, მჭადებივით აცხობენ ახალ-ახალ, ისედაც გაღატაკებული ხალხის მყვლეფავ კანონებს, თუნდაც ისეთს, ნაგვის გადასახადი რომ გააასმაგეს და დენის გადასახადს მიაბეს, ნებისმიერ უწყინარ დარღვევებზე რომ დრაკონული და სულისამომხდელი ჯარიმები დააწესეს, პროკურატურის გავის ქვეშ ამოდებულ სასამართლოებს მხოლოდ საპროცესო გარიგებებისაკენ მისცეს გეზი, უსაშველოდ გააძვირეს მონოპოლისტთა კონტროლქვეშ მოქცეული პირველადი მოხმარების საგნები, პრეპარატები და კვების პროდუქტები, ან ყველა ტელეფონის მომხმარებელს რომ აჭრიან გარკვეულ თანხებს ბიუჯეტის სასარგებლოდ!

ახლა მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ იმ ჰაერის თანხაც გადაგვახდევინონ, რომელსაც ჯერჯერობით უფასოდ ვსუნთქავთ!

არც ეგ არ უნდა გაგვიკვირდეს მომავალი არჩევნების წაგებისა და ძალაუფლების ჩამოშორების შიშით ადამიანის სახედაკარგული, დიდ ფულს დახარბებული სომეხი ხელისუფლისაგან! თან, რეალურად, იმისაც უნდა გვეშინოდეს, რომ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ მართლაც არ დააწესონ ამ ჩიტირეკია ბოროტმა ძალებმა სახელმწიფო ბაჟი ჰაერისათვის!

# ნახევრად გასომხებულ ბათუმსა და ქობულეთს მთლად არაქართულ ლაზიკას მიუმატებენ

***პოლიტიკური მოძრაობა "თეთრების" ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ ხასია ეხმაურება მიხეილ სააკაშვილის მიერ სამეგრელოში ნახევარმილიონიანი ქალაქის ლაზიკის ასენების იდეას.***

– თავს ვალდებულად ვთვლი, ჩემი წინაპრებისა და შთამომავლების წინაშე მართალი ვიყო და სწორად შევაფასო ის, რაც ხდება ჩემ თვალწინ, ჩვენს სამშობლოში. მშენებლობისა და აღმშენებლობის წინააღმდეგი ქვეყნის მოყვარული რომელი კაცი იქნება, მგრამ გააჩნია სად, რატომ და ვისთვის შენდება.

ლაზი ვარ, ამაყი ლაზი – გარეგნობით, ცხოვრების წესითა და აზროვნებით. სად შენდება ლაზიკა – ეს პრობლემა ბუნების დამცველებს მივანდოთ. ამბობენ, აქ მილიონობით გადამფრენი ფრინველი ისვენებს. რატომ შენდება ლაზიკა – ეს მივანდოთ პრეზიდენტის სხვათაგან საღაზრმიუწვდომელ გონება. ვისთვის შენდება ლაზიკა – ეს არის საკითხავი! ჩვენს დაშლილ-დანგრეულ სახელმწიფოს ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენების არანაირი რესურსი რომ არ გააჩნია, ეს ყველამ იცის, აქ წარმოებული მშენებლობა რომ ბუტაფორულ სტანდარტებსაც ძლივს აკმაყოფილებს, ესეც ცნობილია. მაშ როგორ აშენდება ნახევარმილიონიანი ქალაქი, ვის ჩაასახლებენ, რით ააშენებენ? **ძალიან სერიოზული წყაროები ინფორმაციას გვაწვდიან: ე.წ. თურქი მესხების ჩამოსასახლებლად გამოყოფილია საკმაოდ სოლიდური თანხები. ამას გარდა, კარგ ადგილზე დასასახლებლად სერიოზული შესაძლებლობები გაუჩნდათ სირიასა და ირანში მცხოვრებ სომხებს და ამას თუ დავუმატებთ სრულიად სომეხთა ლობის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, ცხადი ხდება, რა სურს ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას – ნახევრად გასომხებულ ბათუმსა და ქობულეთს მთლად არაქართულ ლაზიკასაც დაუმატებს.**

აქამდე ბატონი სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტი ვიყავი, ბოლომდე არ მემეტებოდა და ამ ხნის კაცმა ვერ განვჭვრიტე, რომ კაცი კაცად როცა არ ვარგა, ის არც პრეზიდენტად ვარგა, არც ქართველად, არც სომხად, არც მეგრელად, არც ლაზად. სულ მალე ლაზები ჩვენს სიტყვას ვიტყვით ლაზიკაზეც და ლაზებზეც.

დღეს ყველაფერი პიარია, სად გინახავთ, პრეზიდენტი ველოსიპედიდან აძლევდეს ინტერვიუს და ხელებს იქნევდეს – რას კარუსელობ, რას დარბიხარ, რომელ პრეზიდენტს უჭირავს ხელში მუდმივად ლენტი და მაკრატელი?! ამერიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სამხედრო შეიარაღების 500 მილიარდამდე შემცირებას და დაასახელა რვა სახელმწიფო, რომლებიც ამის შემდეგ საშიშროების წინაშე დგებიან. პირველ ნომრად საქართველოა დასახელებული, ამაში იგულისხმება ომიც და სხვა უბედურებაც. **ამერიკა სამი მილიარდით დაეხმარა საქართველოს, მაგრამ ჩვენს ეკონომიკას ეს არ ეტყობა, კუტუნიოსა და იგლესიასზე მილიონების გადაყრაა საქმის კეთება? სულ ცეკვა-თამაშად უნდა ვიქცეთ?! როგორ შეიძლება, ადამიანს 100 ლარი მისცე პენსია, როცა ქათამი 30 ლარი ღირს, 200-300 ლარამდე კომუნალური გადასახადები ჯდება, გადაღალა ამ კაცმა ხალხი.**

**– ბატონო ზურაბ, თქვენ პოლიტიკაში ტელევიზიიდან მოხვედით. რა მდგომარეობაშია დღეს ის სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდით?**

– 40 წელი ვიმუშავე ტელევიზიაში ტელეფილმების სტუდიის დირექტორის მანანა შევარდნაძის პირველი მოადგილე გახლდით. მოვიდა თუ არა ახალი ხელისუფლება, იმ დრიდანვე შეაჩერეს დაფინანსება, გააკოტრეს უნიკალური სტუდია, სადაც გადაღებული იქნა შესანიშნავი ტელეფილმები და ტელესპექტაკლები. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. **ერთი წლის განმავლობაში ყოველ მეორე დღეს პროკურატურაში მიბარებდნენ, დედაჩემი და ჩემი მეუღლე კინაღამ გადაჰყვნენ ამ ამბებს, თმა მაშინ გამითეთრდა. დილით რომ მივდიოდი, პროკურორი ქაღალდს დადებდა და ოთახიდან გადიოდა, 7 საათი მარტო მტოვებდნენ. რა ვიცოდი, თუ ეს ადამიანებზე ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი იყო.**

**– მაინც ვინ გადაწყვიტა ტელეფილმების სტუდიის ბედი?**

– 2003 წელს შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ მწერალი მამუკა ხერხეულიძე, დეფი გოგიბედაშვილი, დავით პაიჭაძე, ვახტანგ ბაბუნაშვილი. ტელეფილმების ბედი ამათ გადაწყვიტეს, გააკოტრეს, თანამშრომლები უხელფასოდ დატოვეს. ღირსების ორდენი მაქვს მიღებული ტელევიზიაში შეტანილი წვლილისათვის, მაგრამ ახალმოსულმა დირექტორის მოადგილემ სხვისი პირით შემომითვალა, აღარ მჭირდებიო.

**– რა განთავსდა იმ შენობაში, სადაც ტელეფილმების სტუდია ფუნქციონირებდა?**

– იმ შენობაში გაკეთდა სტამბა, დანადგარები გამომცემლობა **"სამშობლოდან"** მოიტანეს. კარგად გახსოვთ, ალბათ, ამ შენობიდან გამოყრილი რედაქციები. მეორე სართულზე გააკეთეს ტელევიზიის **"თბს-ტვ"** სტუდია. 2007 წელს, როდესაც ტელეკომპანია **"იმედი"** დაანგრიეს და დაამყაჩაღეს, **"თბს-ტვ"** სტუდია უკვე აქ მზადდებოდა, იწერებოდა გადაცემები, რომელიც მერე ეთერში გავიდა. ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული. ახლა ამ შენობაში **"პრაიმტაიმის"** რედაქციაა.

ხალხი რომ ერთად დამდგარიყო, როცა ათასობით ჟურნალისტი ტელევიზიიდან გაუშვეს, როცა რედაქციები დახურეს, როცა სახლიდან ხალხს ავეჯი გამოუყარეს და სახლი თავზე დაანგრიეს (თაბუკაშვილი ქუჩაზე), ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. **როგორ შეიძლება საგაზეთო ჯიხურების აღება, გაზეთების საყიდლად ხან სად მიწევს სიარული, ხან – სად. არც ერთ ქვეყანაში ეს არ ხდება. ხომ ხედავთ, რა გადაცემებია დღევანდელ საზოგადოებრივ არხზე, სიმართლის 20 პროცენტიც არ არის.** რაიონებში ხალხი ამათ უყურებს და ველარ არკვევს ტყუილ-მართალს. ყველაფერს შიშსა და ტყუილზე აგებენ, დადგმულ სცენებზე. დედაჩემი რაიონში ცხოვრობს და მეუბნება, კი ვიცი, რაც ხდება, მაგრამ ეს ტელევიზიები სულ სხვას აჩვენებენო. ამდენი ტყუილი ჩემს ცხოვრებაში არ მომისმენია, არც ამდენი სიყალბე მინახავს. ჩვენ გავაკეთეთ მხილების მუზეუმი, სადაც გამოვფინეთ ამათი რამდენიმემილიონიანი სახლების ფოტოები. ადრე თვითონ აფრიალებდა სააკაშვილი ასეთ ფოტოებს, ახლა ნახოს, ამერიკის საელჩოსთან სიხარულის ქუჩაზე რა სახლები დგას. მაშინ, როცა დამსახურებული ადამიანები ნაგავში იქექებიან. კიდევ კარგი, ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა ხელოვანები და მეცნიერები. რას ნიშნავს დაფინანსებული პარტიებისათვის იმის თქმა, ივანიშვილის მოცემული ფული თუ არ დახარჯე, უკან დააბრუნეო. 2007 წლამდე ბიძინას ფულს ხელისუფლება კარგად ირგებდა, სააკაშვილი თვითონ ჩადიოდა ჭორვილაში, ბიძინა არც ეკითხებოდა, რისთვის ხარჯავდნენ ესენი ამ ფულს. რაც კაცობისა და ღირსების საკითხს ეხება, ამათთვის ეს უცხოა. ყველაფერთან ერთად, განა ავადმყოფობა და მანია არ არის ძეგლების აქეთ-იქით პროწიალი? ერთი წლის წინათ დედა-შვილი შეიწირეს ქუთაისში მემორიალის აფეთქების დროს და მაინც ააშენა აქ სააკაშვილმა პარლამენტი. ახლა კიდევ ლაზიკის იდეა! ნუთუ არ დაფიქრებულან რა სერიოზული საფრთხე ემუქრება სამეგრელოს, რა დარჩება საქართველოდან?! ან როგორ ლაპარაკობს, რას ნიშნავს მისი სიტყვები, თბილისი თავკომბალააო. ადრე მე და ჩემმა მეუღლემ სვანეთში ის მუზეუმი მოვინახულეთ, მისი საგანძური შემდეგ რაღაც ფურგონში რომ შეიტანეს. ნუთუ სვანეთში შენობა ვერ ნახეს, ეს საუნჯე რომ შეენახათ?! ან რას ჰგავს კოშკების გვერდით წამომართული ურჩხული შენობები, ასე საგულდაგულოდ რომ ააშენეს? ვერ გავიგე, რას იჩემებს სააკაშვილი არქიტექტორობას! ქალაქებში გამზირებს კი აფართოებენ, მაგრამ ასწლოვან ხეებს ჭრიან და რაღაც ცოცხებს დგამენ. თბილისშიც ასეა და ზუგდიდშიც, ცოტნე დადიანის გამზირზეც ასეთივე ცოცხები დარგეს, როგორც თბილისში აღმაშენებელზე. ჩრდილში შესვენება რომ მოისურვო, ვერსად შეეფარები, კილომეტრი ფეხით უნდა გაიარო.

**– როგორ გაიხსენებთ მანანა შევარდნაძეს?**

– კარგი და მართალი ადამიანია, გულისხმიერი. როდესაც გადაღებისათვის ვერტმფრენი გვჭირდებოდა ან სხვა ინვენტარი, მინისტრთან გასაგზავნ წერილზე ხელს მე ვაწერდი, ამბობდა, არ იფიქრონ პრეზიდენტის შვილია და პრივილიგებულიაო. მანანა და მისი მეუღლე დღესაც ეხმარებიან მწერლებს წიგნების გამოცემაში. 25 წელია, რაც მათ ოჯახს ვიცნობ. **შესანიშნავი ადამიანია პაატა შევარდნაძეც, ჭკვიანი, კეთილი და პატიოსანი პიროვნება. ახლოს ვიცნობ და შეფასებებში არ ვცდები. უნიჭიერესია მისი ქალიშვილი სოფო შევარდნაძე, პროფესიონალი, რომელიც ასე გამოადგებოდა დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკას.**

ესაუბრა
**ქეთევან ხამიცაშვილი**
გაზეთი "ასავალ-დასავალი", №2, 2012 წ.

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: მართლაც ძნელად სარწმუნოა, რომ საქართველოს დამშლელ-გამყიდველ-გამანადგურებელ-შეურაცხმყოფელი ედუარდ შევარდნაძის ნაკვალევზე, გენეტიკურად თუ აღზრდით, ის პიროვნებები გამოიკვეთონ, რომელთაც საქართველოს სატკივარი სტკივათ. მაგრამ, განა ფაქტი არ არის, რომ მწარე საძირეზე ხშირად კეთილშობილი, საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი ხე აღმოცენდება. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რომ საქართველოს სომხებისათვის მიმყიდველი ედუარდ შევარდნაძის შთამომავლობამ საქართველოსათვის რაიმე სასიკეთო მოიმოქმედოს.**

**რას იზამ, არც თუ იშვიათად, ჩვენ ჩვენი წინაპრების ცოდვის გამოსყიდვა გვიწევს ხოლმე!**

**ნუ ჩავთვლით, რომ ედუარდის შთამომავლებს არა აქვთ მათი სულბინძური წინაპრის ცოდვების გამოსყიდვის უფლება. სხვა საქმეა, თუ რამდენი საუკუნე მოუნდებიან ისინი ამ მართლაც მძიმე და საქართველოსათვის მომაკვდინებელი ცოდვების გამოსყიდვას!**

## ვლადიმერ პუტინი: რუსეთის დანგრევა იმავე მეთოდით სურთ, რითაც საბჭოთა კავშირი დაანგრიეს

**„ახლა რუსეთის დაშლას იმავე „რეცეპტით" ცდილობენ, რომლითაც საბჭოთა კავშირი დაშალეს",** – წერს რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი საკუთარ სტატიაში, რომლის სათაურია **„რუსეთი – ნაციონალური საკითხი".** სტატია **„ნეზავისიმაია გაზეტაში"** გამოქვეყნდა. იგი მეორეა პუბლიკაციათა იმ სერიიდან, რომელიც პრემიერის წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილს შეადგენს.

პუტინი აღნიშნავს, რომ უნიკალური რუსული ცივილიზაციის შემაკავშირებელი რუსი ხალხი და რუსული კულტურაა. სწორედ ამ შემაკავშირებელი გულის ამოცლას შეეცდებიან მთელი ძალით ყველა სახის პროვოკატორი და მოწინააღმდეგე. პრემიერის თქმით, ეს მოხდება იმ მცდარი საუბრების ფონზე, რომლებიც რუსების თვითგანსაზღვრას, **„რასობრივ სიწმინდეს",** 1991 წელს დაწყებული საქმის დასრულებას და რუსი ხალხის მხრებზე დაწოლილი იმპერიის საბოლოოდ დანგრევას შეეხება, რათა საბოლოო ჯამში ადამიანები აიძულონ, საკუთარი ხელით გაანადგურონ საკუთარი სამშობლო.

პრემიერის აზრით, რუსეთის მონოეთნიკური, **„ნაციონალური"** სახელმწიფოს მშენებლობის ქადაგების მცდელობები ქვეყნის ათასწლოვან ისტორიას არ შეესაბამება. **„უფრო მეტიც, ეს რუსი ხალხისა და რუსული სახელმწიფოებრიობის განადგურების უმოკლესი გზაა... როდესაც იწყებენ ყვირილს – „კმარა კავკასიის გამოკვება", ელოდეთ, ხვალ აუცილებლად გაიგონებთ მოწოდებას – „კმარა ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის, ვოლგისპირეთის, მოსკოვის შემოგარენის გამოკვება". სწორედ ამგვარი რეცეპტებით მოქმედებდნენ ისინი, ვინც საბჭოთა კავშირი დაშლამდე მიიყვანა",** – წერს პუტინი.

პუტინის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფო სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების დეგრადაცია გარდაუვალი გახდა.

რუსეთის ნაციონალური და მიგრაციული პრობლემები პირდაპირ კავშირშია საბჭოთა კავშირის დაშლასთან. **„ქვეყნის დაშლის შემდეგ ჩვენ ზოგიერთ რეგიონში სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოვჩნდით – ეთნიკურ საფუძველზე. უზარმაზარი მასშტაბებით სისხლისღვრასა და მსხვერპლს გადავურჩით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოხსნილია",** – აცხადებს პუტინი.

პრემიერის თქმით, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სახელმწიფო ინსტიტუტები დაასუსტა, **„რუსეთი არ გამქრალა".**

## არასამთავრობოებმა კალმახელიძე ტყუილებში გამოიჭირეს

არასამთავრობო ორგანიზაციები **„არა"** და **„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს"** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს სიცრუეში ადანაშაულებენ. როგორც სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის – **„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს"** – იურისტმა ზურაბ დიასამიძემ განაცხადა, მიმდინარე წლის იანვრის თვეში ნაციონალური არხების ეთერით გასული სიუჟეტები, რომლებიც პატიმრების ოჯახის წევრებთან ერთად ხათუნა კალმახელიძის ქსნის ციხეში სტუმრობას აღწერდა, ცრუ ინფორმაციებს ეფუძნებოდა.

იურისტის ინფორმაციით, პატიმრებს ყოველდღიურად არათუ ხორციანი და გემრიელი საკვები მიეწოდებათ, როგორც ეს სიუჟეტებში იყო ნათქვამი, არამედ ციხის საკვებით პატიმრები იწამლებიან.

**„ქსნის ციხიდან კონკრეტული სახელებით და გვარებით პატიმრების წერილებს პერმანენტულად ვიღებთ, სადაც მძიმე მდგომარეობაზე, მათ შორის, საკვებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზეა საუბარი. პატიმრები აღნიშნავენ, რომ ვადაგასულ პროდუქტს აჭმევენ, კერძებს ამზადებენ ინდური ძროხის, ე.წ. ზებუს ხორცისგან, რომელიც ვადაგასულია და წამლავს მათ. პატიმრები საუბრობენ ანტიჰიგიენაზეც – რომ პურში და სხვა საკვებ პროდუქტებში ხოჭოებსა და მწერებს პოულობენ, საკნებში კი თაგვები და ვირთხები დარბიან",** – აცხადებს დიასამიძე.

მოძრაობა **„არას"** ლიდერ ლევან ჩიტაძის თქმით კი, პატიმრების ძლიერ ინტოქსიკაციას იწვევს ე.წ. კომბიჟირი, რომელიც სხვადასხვა საქონლის ცხიმის ნარევს წარმოადგენს. **„საშინელი სპეციფიკური სუნით და გემოთი ხასიათდება, როდესაც ლპობას იწყებს. ამ ცხიმით ამზადებენ საჭმელებს, რომელსაც პატიმრები ვერ ჭამენ, და თუ ჭამენ, იწამლებიან",** – განაცხადა ჩიტაძემ.

ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენლების ინფორმაციით, ციხეების მაღაზიებში ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი იყიდება, ხილსა და ბოსტნეულს პატიმრები რამენიმე კილოგრამს ყიდულობენ, რომ საღი პროდუქტი გამოარჩიონ.



## ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

# მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151)

(ანოტაცია)

**აღმოჩნდა, რომ თანამედროვე მეგრულ ენაში, ჩვეულებრივ ხმოვნურ სიტყვებთან ერთად, სახეზეა 500-მდე თანხმოვნური, ანუ მხოლოდ თანხმოვანი ბგერებისაგან შედგენილი, სიტყვა. ესენია ერთთანხმოვანიანი, ორთანხმოვნიანი, სამთანხმოვნიანი და ასე შემდეგ, 7 ერთეულამდე თანხმოვნებისგან შემდგარი სიტყვები. ამგვარ სიტყვებს, თანხმოვნურ სიტყვებს ვუწოდებთ გარკვეული პირობით.** მართალია, მათთან არაა წარმოდგენილი ხმოვანი ბგერები, მაგრამ ყოველ თანხმოვნურ სიტყვასთან, როგორც წესი, წარმოდგენილია ნახევრადხმოვანი გ ბგერა, რაც აქ მარცვალწარმომქმნელად გვევლინება (სხვა ფუნქციებთან ერთად, რაზეც ქვემოთ).

გ **ბგერის რაოდენობაც და ადგილიც თანხმოვნურ ფორმებთან (სიტყვებთან) მკაცრად განსაზღვრულია.** ერთთანხმოვნიან სიტყვებთან, ცხადია, გვაქვს თითო ) ბგერა, ორ და მეტთანხმოვნიან სიტყვებთან კი ერთი ან ორი (მეტწილად ორი), ან კიდევ, სამი და იშვიათად 4 გ ბგერაც. აქ მთავარია შემდეგი პირობა. **რამდენი** გ **ბგერაცაა წარმოდგენილი თანხმოვნურ სიტყვაში, იმდენმარცვლიანია იგი.** გ **ბგერის ადგილის ან რაობის ნებისმიერი შეცვლა თანხმოვნურ ფორმაში, როგორც წესი, იწვევს მისი მნიშვნელობის შეცვლას (ზოგჯერ), ან სრულიად დაკარგვას (მეტწილ შემთხვევაში).**

ასე, მაგალითად, ერთმარცვლიანია სიტყვები: **გ**გ (1. გავს; 2. ტყის ქათამი); **კ**გ (რკო), ლ) (ვარდება), **ტ**გ (ცური, ჯიქანი), **შ**გ (1. სველი; 2. ახსოვს), **ჩ**გ (აჭამა), **ც**გ (1. თელა; 2. **პატიი ც**გ პატივი სცა), **ძ**გ (ძევს), **წ**გ (წელს), **ჭ**გ (ნაწლავი), **დგ**გ დგას, **რზ**გ (1. ანთია; 2. ძლებს.). **რჩ**გ (აფენია), **რჩხ**გ (რეცხა) და სხვა.

ორ და მეტმარცვლიანია სიტყვები: **კგრ**გ (1. აბია; 2. „კრა“, შეკრა), **სქგრ**გ (1. შრება; 2. მშრალი); **ჭგრკ**გ (1. ჭკნება; 2. მჭკნარი); **ზგგრტ**გ (1. იზგლიტება, სლიპინებს; 2. ზგლეტადი, სლიპინა), **ჭყგრტ**გ (1. იჭყლიტება; 2. ჭყლეტადი), **შქგრტ**გ (ქრება), **ხგრტ**გ (იფხრიწება), **წყგტ**გ (წიწილების დაავადება ერთგვარი), **ღგრღ**გ (სიმინდის ღერღილის მოხარშული ფაფა), **ჯღგრჯღ**გ (ჩხართვი) და ა. შ.

მეგრულის ფორმა **ძღ**გ აღნიშნავს ცხიმს, უფრო ზუსტად, გოჭის, ქათმის და მისთანათა შეწვისას კანიდან ცხიმის ხმაურით გამოფრქვევას. იგივე **ძ** და **ღ** თანხმოვნებისაგან შემდგარი ორმარცვლიანი ფორმა **ძგღ**გ კი აღნიშნავს – ძუნწს, ასოკირკიტას, აბეზარას, უშნოდ ჩამძიებელს, მოუშორებელ ტიპს...

ფორმა **ღგრღ**გ ამგვარი დამარცვლით, აღნიშნავს ღერღილის მოხარშულ ფაფას, მაგრამ არაფერს აღნიშნავენ ფორმები: **ღრ**გ**ღ**გ **ღრღ**გ და **ღგრგღ**გ, თუ ამათ ამდაგვარად დავმარცვლავთ. იგივეს მივიღებთ ზემოთჩამოთვლილი ორ და მეტთანხმოვნიანი ფორმების ნებისმიერი სხვაგვარი დამარცვლის შემთხვევაში.

ამ მოვლენის არსის ახსნას, როგორც შემდგომ დავინახავთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგნის (სხვა ობიექტური მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საკითხის შესწავლისათვის.

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მეგრულში გამოვლენილ **500-**მდე თანხმოვნურ ფორმაზეა დამყარებული, ანუ ამათი აფიქსირებული ფორმების სახით არის წარმოდგენილი ამ ენის მთელი ლექსიკის დაახლოებით ერთი მეოთხედი ნაწილი. მეტიც, აღმოჩნდა, რომ ამ ენის მთელი ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი სულ რაღაც **2200-**მდე ანალოგიურ ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზეა დამყარებული. ოღონდ ამგვარი ძირისეული თანხმოვნური ფორმების უდიდესი ნაწილი, ცალკე თანხმოვნური სიტყვების სახით, უკვე არა გვაქვს.

აღნიშნული ფაქტის გამოვლინებამ მოგვცა საშუალება გვევარაუდა, რომ ამგვარი თანხმოვნური ფორმები და მათი თანმხლები გ ბგერა, შესაძლოა პირველადი ფორმები ყოფილიყვნენ. ენათმეცნიერებაში დღემდე დამკვიდრებული მოსაზრებით კი **)** ბგერა წარმოადგენს მეორეულ ბგერას. ეს ბგერა პირველად შეისწავლა აკად. **ალ. ცაგარელმა** და მას მარცვალმიმთითებელი ბგერა უწოდა. მისი აღმნიშვნელი ნიშანიც მანვე შემოიღო. მიუთითა მისი ანალოგი ბგერების არსებობაზე თურქულსა და სომხურში. ეს აზრი გაიზიარა აკად. **არნ. ჩიქობავამ** და გ ბგერას რედუცირებული ბგერა უწოდა; აღნიშნა, რომ იგი მიიღება **ი** და **უ** ხმოვანი ბგერების რაოდენობრივი შემცირებით ანუ რედუქციით. **ს. ჟღენტმა**, თავის მხრივ, დასძინა, რომ **)** ზოგჯერ მიიღება **ო-** ხმოვნისგანაც. **ი. ყიფშიძემ** კი შენიშნა, რომ პირიქით, ზოგჯერ გ-სგან შეიძლება მიღებულიქნას **უ** ბგერა (მაგ., **აბგგა** **აბუგა**,...გ. ჩვენი გამოყვლევები ამ უკანასკნელ მოსაზრებას ადასტურებენ. ასე, მაგალითად, პირველადია თანხმოვნური ფორმა **ჯღგრჯღ**გ (ჩხართვი), მეორეულია ფორმები: **ჯღგრჯღინი(||ჯღირჯღინი)** ჯღავილი, ჯიჯღინი; **ჯღგრჯღინ**გ**ნც**გ ჯღავის ან ჯიჯღინებს და სხვა.

განვიხილოთ, კონკრეტულად, **ჯღგრჯღ**გ ფორმის წარმოშობის საფუძველი. ფორმა **ჯღგრჯღ**გ მეგრულში დღემდე სახელწოდებაა ფრინველ ჩხართვისა.

**ჯღორრრჯღორრრ**, – ასე გვესმის, ჩვენ, ჩვეულებრივად, ამ ფრინველის ძახილი ანუ ჯღავჯღავი და ასედაც გამოვხატავთ მას, შორისდებულის სახით, ხმამიბაძვის საფუძველზე.

სავსებით ნათელია, ფორმა **ჯღგრჯღ**გ ფრინველ **ჯღგრჯღგ-ს** ძახილისადმი (ჯღავჯღავისადმი) ხმამიბაძვის საფუძველზე მიღებული ფორმაა, სიტყვაა, ანუ ხმაბაძვით საფუძველზეა შერქმეული ამ ფრინველისათვის ეს სახელი (თუ როგორ, – ქვემოთ).

ანალოგიურად:

**ჩხრრრჩხრრრ**-თი აღვიქვამთ და გამოვხატავთ კიდეც, ჩვენ, წყლის ჩუხჩუხს (ზედმიწევნით, – ჩხარჩხარს) და აქედანაა ხმაბაძვითი სიტყვებიც: **ჩხარჩხალი** (ჩხარჩხარი), **მე-ჩხარჩხ-ალანც**გ (**„მიჩხარჩხარებს“, „ჩხარჩხარით“** მიედინება და ა. შ.); **ღრრრ**-თი გვესმის რისიმე ღრიალი, **ჩხრრრ**-თი – ჩხრიალი, **ხრრრ**-თი – ხრიალი, **ბრრრ**-თი – ბრიალი, **ტრრრ**-თი – ტრიალი, **გრრრ**–თი – გრიალი, **შრრრ**-თი – შრიალი და ა. შ.

აღნიშნულ და ანალოგიურ შორისდებულებთან მარცვალწარმომქმნელია ანუ ძირითადი თანხმოვანი ბგერების **(ღ, ხ,...)** თუ თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების (**ღრ, ჩხრ, ჯღრ**...) გამომყოფ-გამომმარცვლელია **რრრ** სონორი ბგერების რიგი.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: **რ** ბგერას ცალკე სახით ყველაზე გვიან წარმოთქვამს ბავშვი (ამასთან, ყველაზე ადრე კარგავს მას, ადამიანი, გარკვეული ტრამვის მიღებისას), მაგრამ, ჯერაც ენააუდგმელი ბავშვი თავისუფლად წარმოსთქვამს ბგერათერთობებს: **ბრრრ, ფრრრ, ღრრრ** და სხვა.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ აღნიშნული და ანალოგიური ბგერათკომპლექსები უნდა გაეღო, იმდათავად, პირველყოფილ ადამიანს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე.

ცხადია, ბუნებაში სხვა სახის ბგერებიც გვაქვს, რაც სათანადო ხმიანობის მიხედვით უნდა გაეღო ადამიანს, მათდამი ხმამიბაძვისავე საფუძველზე. ასე, მაგალითად: **სსს**-თი გამოხატავდა, იგი, უთუოდ, რისიმე სისინს, **ზზზ**-თი – ზუზუნს, **შშშ**-თი – შიშინს და ა. შ. ამასთან, მარცვალწარმომქმნელად ამავე ბგერების სონორული რიგია წარმოდგენილი. მაგრამ: **წკნ**გ, **წკნ**გ გაიძახის ერთ-ერთი ფრინველი დღესაც და მას, მეგრულად **წკგწკინა**, ქართულად წიწკანა ჰქვია, რაც უდავოდ ხმაბაძვითია. **წყგტ**გ, თუ **ჭყგტ**გ გაიძახიან ერთგვარი დაავადებისას წიწილები და ეს დაავადებაც ამავე ფორმებით იწოდება, დღემდე, მეგრულში. ამგვარი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება. დასკვნის გამოსატანად წარმოდგენილიც საკმარისია.

ამჯერად საჭიროა ვუპასუხოთ ასეთ კითხვას; **რა იყო მიზეზი ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ადამიანის მიერ ხმის მიბაძვისა?**

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვუხმოთ შემდეგ ფაქტებს: კრუხი რომ საკენკს, მარცვალს ან ჭიას დაინახავს, თავისებურად დაუკაკანებს მიმოფანტულ წიწილებს და ისინიც გამორბიან საკენკისაკენ. მაგრამ, როცა საშიშროებას დალანდავს, თანაც ისეთ ფრინველს ან ცხოველს, რომელსაც თავად ვერ მოერევა, სულ სხვაგვარად დაიჭყივლებს და წიწილებიც მისგან გარბიან, სხვაგან ეძებენ თავშესაფარს; გოჭს რომ ვინმემ ან რაიმემ ხელი დაავლოს, დაიჭყვირებს, რაზეც გამწარებული დედა-ღორი ღრუტუნით გაიქცევა მისკენ, მისაშველებლად. თუმცა იქვე მყოფი სხვა ცხოველები ამაზე რეაგირებას არც კი ახდენენ. მერცხლები ჭიკჭიკებენ ჩვენთან, მაგრამ ზამთარში მიფრინავენ რა თბილ ქვეყნებში, სადაც არ მრავლდებიან, არც კი ჭიკჭიკებენ. ერთი და იმავე სახეობის ცხოველებს, ფრინველებს ჩვეულებრივ, მეტწილად ესმით ერთმანეთისა და ეხმიანებიან კიდეც, ერთმანეთს. ისინი უხმობენ ურთიერთს, უზიარებენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინს, აფრთხილებენ მოსალოდნელი საშიშროებისას, ესიყვარულებიან კიდეც, ხოლო საჭიროებისას გარკვეულ ბგერებს იღებენ სხვა სახეობის ცხოველთა და ფრინველთა მიმართ და ა. შ. მაგალითად, ძაღლის დანახვაზე კატა აიფოფრება და დაიჩხავლებს, რათა შეაშინოს იგი, და ა. შ.

მაშასადამე, **ერთმანეთისადმი შეხმიანება, გარკვეული ინფორმაციების ურთიერთ მიწოდება, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ცხოველებისათვის.**

**რა გასაკვირია, რომ ასეთივე ქმედება დამახასიათებელი ყოფილიყო პირველყოფილი ადამიანებისთვისაც.**

ცხადია, პირველყოფილი ადამიანი, ბუნების საგნებთან თანაცხოვრებისას, ეხმიანებოდა მათ მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე და წარმოთქვამდა, ვთქვათ, ღრიალის, სისინის, ზუზუნის, შიშინის, შრიალის, შიშხინის, ჩხარჩხარის (ჩუხჩუხის, ყროყინის, ჭიკჭიკის, ჯღავჯღავის (მეგრულად, შესაბამისად: **ღგრინი, სგსინი, ზგზინი, შგშინი, შხგრშხინი, ჩხარჩხალი, ყგრყინი, ჭყგრჭყინი, ჯღგრჯღინი**) და სხვათა გამომხატველ ბგერათკომპლექსებს, ხმაბაძვითი შორისდებულების სახით, როგორიცაა: **ღრრრ, სსს, ზზზ, შშშ, შრრშრრრ, შხრრრშხრრრ, ჩხრრრჩხრრრ, ყრრრყრრრ, ჭყრრრჭყრრრ, ჯღრრრჯღრრრ** და სხვა. ბუნების საგანთა ამგვარ ხმიანობებს ჩვენ დღემდე ასე აღვიქვამთ და ასედაც გამოვხატავთ.

ზემოთ აღნიშნული **ღრრრ, სსს, ზზზ, შშშ, შრრშრრრ, შხრრრშხრრრ, ჯღრრრჯღრრრ** და მისთანა ხმაბაძვითი შორისდებულებით ბუნების საგნებისა და ერთმანეთისადმი შეხმიანების პირობებში, პირველყოფილი ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ამათი მეშვეობით მათ შეეძლოთ მოსანადირებელ ცხოველებთან და ფრინველებთან ახლოს მისვლა, დაფრთხობის გარეშე, და მათი მონადირება, ხოლო, ვთქვათ, დათვისებური ღმუილით შეეძლოთ დაეფრთხოთ მგელი და ა. შ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ადამიანური აზროვნების ჩასახვას და ჩამოყალიბება-განვითარებას.

**ამგვარივე ხმაბაძვითი შორისდებულებით შეეცდებოდნენ უთუოდ, ადამიანები, აზროვნების განვითარების კვალობაზე, გადაეცათ ერთმანეთისათვის გარკვეული ინფორმაციები ბუნების საგნების შესახებ. ეს მოითხოვდა ხმაბაძვითი შორისდებულების წარმოთქმას ჩვენებით-მიმთითებლური ტონალობითა და მახვილით (რასაც აპირობებდა საგნისადმი მითითება, მიუხედავად იმისა, სახეზე იყო თუ არა მოცემულ მომენტში მისათითებელი საგანი), ცხადია, ბუნებაში მოცემული ანუ თვით საგნის მიერ გაღებული ბგერებისათვის დამახასიათებელი მარცვალმიმთითებლობით, რაც ბუნებრივად იძლეოდა ბიძგს ამგვარი ბგერათკომპლექსებიდან ძირითადი თანხმოვანი ბგერების გამოყოფა-გამომარცვლისათვის. ეს, თავის მხრივ, მოითხოვდა სახმოსნო (შემდგომში, სამეტყველო) ორგანოების დაძაბვას ანუ ემფაზიას. შედეგად ამისა, ხდებოდა უკვე ადამიანის განკარგულებაში არსებული შორისდებულიდან (ჯღრრრჯღრრ, ღრრ, სსს...) ერთეული თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამოყოფა-გამომარცვლა მათთანვე მარცვალწარმომქმნელი ნახევრადხმოვანი** გ **ბგერის თანხლებით, და არენიდან სონორი ბგერების რიგის გაძევებით.**

ეს პროცესი, ვთქვათ, ფრინველ ჩხართვისადმი ხმაბაძვის მაგალითზე სქემატურად ასე გამოიხატება: **ჯღრრრჯღრრრ ჯღგრჯღ**გ (აქედანაა მიღებული, შემდგომში, ფორმები: **ჯღგრჯღ-**ინი ჯღავილი, ზედმიწევნით, „ჯღავჯღავი“, ან „ჯიჯღინი“, **ჯღგრჯღ-ინ**გ**ნც**გ „ჯღავის“, ან „ჯიჯღინებს“ და სხვ.)

**ამ პროცესის მექანიზმი, პრაქტიკულად, ასე ხორციელდება:** ორმარცვლიანი ხმაბაძვითი შორისდებულის **ჯღრრჯღრრ** ჩვენებით-მიმთითებლური ტონალობით წარმოთქმის მცდელობისას, ემფაზია (სახმოსნო ორგანოების დაძაბვა) შედარებით ძლიერია პირველი მარცვლის **„ჯღრრრ“** წარმოთქმისას, რაც აპირობებს **ჯღ**გ თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის გამოყოფას ძლიერმახვილოვანი და სრულმარცვლოვანი გ ბგერის თანხლებით, რაც, თავის მხრივ, აპირობებს **ჯღ**გ კომპლექსის სრულფასოვნებას. იგივე **ჯღრრჯღრრ** ბგერების მეორე (ბოლოკიდურა) **ჯღრრ** მარცვლის წარმოთქმის მცდელობისას, ემფაზიის სიძლიერე კლებულობს, რაც აპირობებს შედარებით სუსტმახვილოვანი და არასრულმარცვლოვანი **ჯღ**გ თანხმოვანბგერათკომპლექსის გამოყოფას; მაგრამ მეტყველებისას ხდება ამ დანაკლისის შევსება, ანუ პირველ და მეორე მარცვალს შორის მარცვლოვნობის ხარისხის დაბალანსება (გაწონასწორება, გათანაბრება-შევსება), რისთვისაც მეორე მარცვალ **ჯღ**გ**-**ს, წინიდან, წანაზარდის სახით, ეკედლება პირველი მარცვლიდან (**ჯღრრრ**) განდევნილი **რრრ** სონორი ბგერების რიგიდან ერთ-ერთი **რ** ბგერა. ამ საფუძველზე მიიღება ბგერების საბოლოო ფორმაც: **ჯღ**გ**'რჯღ**გ (ძლიერი მახვილის ადგილს ამგვარ ფორმასთან აპირობებს ემფაზიის სიძლიერე).

ამგვარადვე მიიღებიან გ ბგერისმიერი გახმოვანების თანხმოვნური ფორმები შესაბამისი ხმაბაძვითი შორისდებულებიდან, როგორიცაა,: მაგალითად **შრრრშრრ შ**გ**რშ**გ, **შხრრშხრრ შხ**გ**რშხ**გ, **ჩხრრრჩხრრრ ჩხ**გ**რჩხ**გ, **წყრრრტ**გ **წყ**გ**რტ**გ, **შქრრრტ**გ **შქ**გ**რტ**გ, **ბრრრ ბრ**გ, **გრრრ გრ**გ**ჩხრრრ ჩხრ**გ და სხვ.

ამჯერად, სავსებით ბუნებრივია, დაისმის ასეთი კითხვა: **როგორ იღებენ ჯღგრჯღგწყგრტგ, შქგრტგ, სქგრგ, ჭგრკგ, კგრკგ და მისთანა ფორმები, თავის თავზე, საგნისა და სხვა ობიექტური მონაცემის სახელდების ფუნქციას? როგორ იქცევიან ამგვარი ფორმები საგნის სახელის, მოქმედების თუ სხვათა აღმნიშვნელ ენობრივ ნიშნებად ანუ სიტყვებად?**

ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება შემდეგი ფაქტის გახსენება: **ცნობილია, რომ საგანი თვითონვე ეხმარება ადამიანს მის (საგნის) აღქმაში. საქმე ის არის, რომ საგანს, ჩვეულებრივ, გააჩნია გარკვეული ნიშან-თვისებები: ფერი, ხმა. გემო, სუნი, ზომა, წონა და სხვა, რასაც აღიქვამენ ადამიანის შესაბამისი გრძნობათა ორგანოები: მხედველობისა, სმენისა, გემოვნებისა, ყნოსვისა, შეგრძნებისა. ამის შედეგად მიღებული ფიზიკური ინფორმაცია, ნერვული იმპულსების მეშვეობით, ფიზიოლოგიური ინფორმაციის სახით მიემართება ცენტრალური ნერვული სისტემისაკენ (თავის ტვინისაკენ) და იქცევა ფსიქოლოგიურ ინფორმაციად. ამ საფუძველზე ადამიანის გონებაში, წარმოდგენის სახით, ისახება შესაბამისი საგნის ხატი ანუ სურათი. ასე ხდება საგნის აღქმა.**

განვიხილოთ, კიდევ ერთხელ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი **ჯღ**გ**რჯღ**გ ფორმა, ამ კუთხით.

საქმე ის არის, რომ ერთადერთი **ჯღ**გ**რჯღ**გ ფორმა (ამგვარი დამარცვლით) აღნიშნავს ფრინველ ჩხართვს. მაგრამ არაფერს აღნიშნავენ იგივე ბგერითი შემადგენლობისა და სხვაგვარად დამარცვლული ფორმები: **ჯ**გ**ღრჯღ**გ, **ჯ**გ**ღრ**გ**ჯღ**გ, **ჯღრ**გ**ჯღ**გ, **ჯღრ**გ**ჯ**გ**ღ**გ, **ჯღ**გ**რ**გ**ჯღ**გ, **ჯღ**გ**რჯ**გ**ღ**გ, **ჯღრჯ**გ**ღ**-გ**ჯ**გ**ღ**გ**რ**გ**ჯღ**გ, **ჯ**გ**ღ**გ**რ**გ**ჯ**გ**ღ**გ. ეს იმიტომ, რომ ესენი, ამჯერად, ჩვენს მიერ ხელოვნურად დამარცვლული ფორმებია და მათი დამარცვლა არ ემთხვევა საკუთრივ **ჯღ**გ**რჯღ**გ-ს მიერ გაღებულ **ჯღორრრჯღორრრ** ბგერათერთობის დამარცვლას, ანუ არ არის მისი იკონური, მსგავსი, გამომსახველობითი. **ერთადერთი ჯღ**გ**რჯღ**გ **ფორმა, როგორც იკონური ფორმა, იწვევს ადამიანის გონებაში შესაბამისი საგნის ხატის ანუ სურათის წარმოდგენას და მოცემული ფორმაც სათანადოდ დეტერმინირებული ანუ მოტივირებული სახით წარმოგვიდგება, სწორედ ეს ერთადერთი ფორმაა აღჭურვილი სათანადო საგნის ჩვენებისა და აღნიშვნის ანუ სახელდების ფუნქციით.**

მამანტი ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.
ცირა ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

პავლე სუდოპლატოვმა, რომელმაც საკუთარი ხუთი თითივით ჩინებულად იცოდა საბჭოთა კავშირში ახლად ფეხმოკიდებული ნაციონალიზმის ავ-კარგი, სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიასაგან მიიღო დავალება, მოემზადებინა იმ შეცდომების დეტალური წერილობითი ანალიზი, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა და სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივმა ორგანოებმა დაუშვეს უკრაინასა და ლიტვაში მოქმედი ნაციონალისტური იატაკქვეშეთის წინააღმდეგ ბრძოლისას. და სუდოპლატოვი შემდეგ სწერდა ბერიას თვალსაზრისზე: ხელმძღვანელ თანამდებობებზე უნდა დაინიშნონ ადგილობრივი კადრები, მათ მოადგილეებად კი უნდა დავნიშნოთ ცენტრიდან ჩასული ამხანაგები. **"...ბერიას ძალიან აწუხებდა ნაციონალური კადრების ახალი თაობის ინტელიგენციის აღზრდა, რომელთათვისაც სანუკვარი იქნებოდა სოციალისტური იდეალები"**, – გვამცნობდა სუდოპლატოვი 1997 წელს!

**სოციალისტური!** მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ამტკიცებს ლავრენტი ბერიას არა მხოლოდ პრაგმატულობას, არამედ მის ბოლშევიკურ პრაგმატულობას!

ლიტვაში უაღრესად რთული მდგომარეობა იყო შექმნილი – **"ტყის ძმები"** იქ ისევე აქტიურობდნენ, როგორაც ბენდერები აქტიურობდნენ დასავლეთ უკრაინაში. 1953 წლის 16 მარტს ბერიამ ცენტრალურ კომიტეტში წარადგინა გენერალ საზიკინის მიერ ლიტვის შესახებ მომზადებული მოხსენებითი ბარათი, რომელიც ბერიას დავალებით ლამის ინკოგნიტოდ იყო ჩასული ლიტვაში. საზიკინმა უამრავ კონკრეტულ მასალას მოუყარა თავი, რაც მომაკვდინებელი გახლდათ ლიტვის ხელმძღვანელობისათვის! ვილნიუსის საოლქო კომიტეტის 16 განყოფილების გამგიდან მხოლოდ სამი გახლდათ ადგილობრივი, ცეკას 22 ლექტორიდან კი მხოლოდ 6 იყო ლიტველი; რაიონების უშიშროების საქმეთა 87 განყოფილებიდან მხოლოდ 9-ს ხელმძღვანელობდნენ ლიტველები, 85 რაიონული მილიციის განყოფილებიდან 27-ში უფროსი გახლდათ ლიტველი, საბჭოთა მეურნეობათა 92 დირექტორიდან 27 იყო ადგილობრივი მცხოვრები, 132 მანქანათსატრაქტორო სადგურიდან კი მხოლოდ 53-ს თავკაცობდა ეროვნებით ლიტველი...

ლიტვის რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში საქმის წარმოება მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე, რაც **"მასებს აშორებდა ქვეყნის მართვის საქმეებს"**.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს კვლავ უწევს ლიტვის საკითხის განხილვა ბერიასა და საზიკინის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც მალენკოვთან, მოლოტოვთან, კაგანოვიჩთან და მიქოიანთან ერთად მონაწილეობენ ლიტვის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი სნეჩკუსი და ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გედვილასი.

მაგრამ, ეს გახლავთ არა მხოლოდ სნეჩკუსის, არამედ 1944-1946 წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მდივნის, ლიტვის საკითხებში, მიხეილ სუსლოვის ფრიად გაუაზრებელი და უნიჭო საქმიანობის მძიმე შედეგიც.

სნეჩკუსი და გვადილასი პირადად ხვდებიან ლავრენტი ბერიას და სნეჩკუსი მას სთხოვს დახმარებას, რათა **"დახშული იქნას მტრულად განწყობილი ქვეყნების ლიტვიურ ენაზე მიმდინარე რადიოგადაცემები"**. ბერია კი პასუხობს, რომ საჭიროა იმ **"დახშვების"** ლიკვიდაციაც, რომელიც მანამდე არსებობდა.

**"ეს როგორი დახმარება იყო ნაციონალისტური ბურჟუაზიული იატაკქვეშეთის წინააღმდეგ ბრძოლის გამართვის საქმეში?"** – ხელებს შლიდა სნეჩკუსი 1953 წლის ივლისის პლენუმზე. მაგრამ ბერიას მიერ ზემოდაღნიშნული საკითხის ამგვარად წამოწევა გახლდათ მხოლოდ პროგრესული იდეებით გამსჭვალული ბოლშევიკის თვალსაზრისი, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ მტრის იდეებს იდეებითვე უნდა ებრძოლო. მტერი ეწევა პროპაგანდას – ამას შენ უფრო ძლიერი და შთამბეჭდავი კონტრპროპაგანდით უნდა უპასუხო. მტერი ხალხს სწორედ შენს მიერ დაშვებულ შეცდომებზე და ნაკლოვანებებზე მიუთითებს – შენ კი იგი საქმით უნდა გამოასწორო!

ხრუშჩოვმა, სნეჩკუსმა, ბრეჟნევმა, ანდროპოვმა თავიანთი **"ჩამხშობი"** სისტემებით მიაღწიეს სწორედ იმ ეფექტს, რაც დასავლეთში მოკალათებულ მტერს სურდა, იმიტომ, რომ მათ არ ძალუძდათ მასებთან მუშაობა, არ შეეძლოთ მასების დარწმუნება სოციალიზმის სიკეთეში.

აი, ლავრენტი ბერიას კი შეეძლო!

**"ამხანაგმა სნეჩკუსმა"** კი, ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ, 13 ათასი ლიტველი-კომუნისტებისაგან (2 მილიონ 700 ათასი მოსახლეობიდან, ეს არც თუ მცირე რაოდენობაა, თუ ისინი ჭეშმარიტი კომუნისტები არიან), მოახერხა მხოლოდ 75 ლიტველის არჩევა რაიონული მილიციის განყოფილებათა უფროსებად. ეს არის და ეს! ეროვნული კადრებიდან საბჭოთა მეურნეობათა დირექტორების თანამდებობისათვის კი ვერ შესძლო თუნდაც 65 შესაფერისი კადრის აღზრდა.

მაშინ ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრმა კონდაკოვმა ვერ მოახერხა გასაგებად განემარტა ბერიასათვის ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების აპარატებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და გაუძნელდა აქ დასაქმებულ მდივნებზე დახასიათებების გაცემა. ბერია ამან სასტიკად განარისხა და კონდაკოვს პირში მიახალა, რომ იგი მინისტრი კი არა, სამხრეებში გამოწკეპილი ჩინოვნიკია და ვერ ახერხებს უზრუნველჰყოს საზოგადოებისათვის აუცილებელი სამუშაოები, რისთვისაც განთავისუფლებული იქნება თანამდებობიდან.

ბერია აქაც ცამდე მართალი იყო! და მან მოასწრო კიდეც, რომ 23 ივნისს კონდაკოვი მოეხსნა დაკავებული თამამდებობიდან და გადაეყვანა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრიანსკის საქალაქო სამმართველოს უფროსად. და რაც ნიშანდობლივია, ბერიას **"მხილებისა"** და დაპატიმრების შემდეგ ლიტვის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს აზრადაც არ მოსვლია რესპუბლიკაში დაებრუნებინა ბერიას მიერ მოხსნილი **"მაღალკვალიფიციური ფასეული კადრი"**.

ივნისის პლენუმზე სნეჩკუსი უსინდისოდ ცრუობდა, როცა ამტკიცებდა, რომ ლიტვის იატაკქვეშა პრეზიდენტი კაპიტანი ჟემაიტისი, რომელიც ამ თანამდებობაზე აირჩია **"ლიტვის განთავისუფლებისათვის მებრძოლმა კავშირმა"**, დაპატიმრებული იქნა **"ბერიას ჩარევის გარეშე"**.

სინამდვილეში, კაპიტანი ჟემაიტისი (რომლის მოხელთება აბაკუმოვმა და იგნატიევმა ვერ მოახერხეს 9 წლის განმავლობაში) 1953 წლის 30 მაისს უვნებლად აიყვანეს კაუნასის ახლომდებარე ტყეში მოწყობილ საკუთარ ბუნკერში, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეოთხე სამმართველოს ერთობლივი ოპერაციის შედეგად. ბერიამ მაშინვე გასცა განკარგულება, რომ ჟემაიტისი სასწრაფოდ ჩაეყვანათ მოსკოვში და ხანგრძლივად ესაუბრა მას. თარჯიმანად გამოიყენა ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მარტავიჩიუსი. ბერიამ შესთავაზა ჟემაიტისს, რომ ემუშავა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ და სათავეში ჩადგომოდა კომუნისტთა მიერ მტრის თვალის ასახვევად სპეციალურად შექმნილ ნაციონალისტურ ორგანიზაციას.

ამგვარი ოპერატიული ღონისძიებების ტექნოლოგია საბჭოთა ჩეკისტებს დიდი ხანია ოსტატურად ჰქონდათ დახვეწილი: ოციანი წლების ოპერაცია **"ტრესტი"**, **"სინდიკატი"**... და თვით ბერიასაც ამიერკავკასიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მიშაობისას შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი ეს არც თუ მარტივი სისტემა (გავიხსენოთ, თუ როგორ შესანიშნავად ააწყო მან ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იატაკქვეშეთი). ამასთან, საქმესთან ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ ეფექტური, არამედ საკმაოდ ჰუმანურიც გახლდათ – რატომ უნდა გავანადგუროთ ხალხი, როცა მათი საქმისათვის გამოყენება შეიძლება?

ბერია კი უკვე აანალიზებს ბელორუსიაში შექმნილ მდგომარეობასაც – იქაც ხომ არის **"განსაკუთრებული"** – დასავლური ოლქები. ბელორუსიაშიც კი, ამ მხრივ, არასახარბიელოდაა საქმე, რადგან იქაც, სახელისუფლებო სტრუქტურებში, არაპროპორციულად მცირეა დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრებთა რაოდენობა. და 1953 წლის 12 ივნისს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, მალენკოვის, მოლოტოვის, ხრუშჩოვის, ვოროშილოვის და ბერიას შემადგენლობით იღებს მკაცრად საიდუმლო დადგენილებას ბელორუსიის სსრ-ის შესახებ, რომლის შედეგად ბელორუსიის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ნიკოლოზ პატოლიჩევი (კიდევ ერთი თავგამოდებული **"პარტოკრატი"**) თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

პატოლიჩევის ადგილზე კი ინიშნება 39 წლის ასაკის მქონე პარტიული მუშაკი მიხეილ ზიმიანინი, რომელიც 1940 წლიდან 1953 წლამდე მუშაობდა ბელორუსიაში და შემდეგ გადაყვანილ იქნა მოსკოვში, სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მაგრამ პატოლიჩევის ყოფნა-არყოფნის საკითხი უსაშველოდ გაიჭიმა თვით ბერიას დაპატიმრებამდე და იგი ბელორუსიას შერჩა 1956 წლამდე, რის შემდეგაც **"გადაერთო"** საგარეო საქმეებზე, 1958 წლიდან კი ხელმძღვანელობდა საგარეო ვაჭრობის სისტემას, შექმნა სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, როგორც სოციალიზმის მომავალი მოროდიორების მძლავრი აპარატი და ხელმძღვანელობდა ამ სამინისტროს, პენსიაზე გასვლამდე – 1985 წლამდე (77 წლის ასაკში)... ამიტომ, გასაგებია პატოლიჩევის გამოსვლა **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე, სადაც მან რიხიანად განაცხადა: **"სადისტი, ცბიერი და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი ლავრენტი ბერია ბელორუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროში აპირებდა ყველა კადრის ბელორუსი ეროვნების თანამშრომლებით ჩანაცვლებას, დაწყებული მინისტრით და დამთავრებული უბრალო უბნის ინსპექტორით"**.

სწორედ ასე თქვა ამ მართლაც პოლიტიკურმა მეძავმა: **"...უბნის ინსპექტორით"**!

და რაც ნიშანდობლივია, **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე ხრუშჩოვმა განაცხადა:

**"აი, ეს მოხსენებითი ბარათები უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის** (აქ ხრუშჩოვმა შეცდომა დაუშვა, უნდა ეთქვა **"ლიტვის"**) **თაობაზე. ფაქტია, რომ ისინი შეგროვილია არა საოლქო კომიტეტებში, არა ცენტრალურ კომიტეტში, არამედ შეგროვილია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შორის, თუმცა ეს მასალები ცენტრალურ კომიტეტშიც იდო..."**

დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა! მაგრამ რატომ ხდებოდა, რომ ბერიას ინიციატივით სკკპ ცეკას პრეზიდიუმში წარმოდგენილი საკითხების ინიციატორები არ იყვნენ ცეკას მდივნები? თუნდაც იგივე ნიკიტა ხრუშჩოვი? ბერია ხომ საქმის თაობაზე იღვწოდა და სწორედ მისი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე იღებდა ცეკას პრეზიდიუმი დადგენილებებს!

ხრუშჩოვს შემთხვევით არ წამოსცდენია ზემოდაღნიშნული ჭეშმარიტება, იმიტომ, რომ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის 1953 წლის 12 ივნისის სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება არა მხოლოდ ბელორუსიის, არამედ ლატვიის თაობაზეც და ეს უკანასკნელი, ფრიად არასასიამოვნო საკითხი სწორედ ნიკიტა ხრუშჩოვმა შეიტანა პრეზიდიუმში განსახილველად!

ესე იგი, პლენუმზე ხრუშჩოვი საკუთარ თავს როზგავდა, რადგან მანაც **"ჩაჰყო"** თავისი ბინძური დინგი ნაციონალურ საკითხებში. შემდეგ კი ყველაფერი ბერიას გადააბრალა.

პარტიული ბიუროკრატების **"ლოგიკით"** გამოდის, რომ ლავრენტი პავლე ძე არ უნდა ჩარეულიყო ნაციონალურ პოლიტიკაში, რადგან, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, მიხეილ სუსლოვის ენით რომ ვთქვათ, **"ეს არ დაუვალებიათ"**!

მაგრამ ბერიას, როგორც სახელმწიფო შეგნების მქონე ადამიანს, პიროვნებას, რომელსაც გააჩნდა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, როგორც ადამიანს, და არა უბრალო საკანცელარიო სამელნეს, არ შეიძლებოდა შორიდან ეყურებინა საქმისათვის მაშინ, როცა მას შეეძლო ამ საქმის ხარისხიანად გაკეთება! იგი ხომ მხოლოდ ფორმალურად იყო მეორე კაცი ქვეყანაში, ფაქტიურად კი, საკუთარი საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, პირველი კაცი გახლდათ!

და, სტალინის სიკვდილიდან ასთორმეტი დღის განმავლობაში, იგი თავაუღებლად მუშაობდა, იმდენად ბევრ საქმეს ერეოდა, რომ, როგორაც არ უნდა შევკუმშო მათი აღწერა, მაინც საკმაოდ ვრცელი ნაშრომი გამომდის! ამიტომაც ვერ ვპოულობ მოხერხებულ ადგილს, რათა თუნდაც ორი სიტყვით მოვუთხრო მკითხველს ბერიას **"სასიყვარულო თავგადასავლების"** თაობაზე, ამიტომ, მე ჯერჯერობით ამ თემას არ შევეხები. მხოლოდ შევნიშნავ: თუ ამ თემისათვის ჯერჯერობით წიგნში ადგილს ვერ ვპოულობ, ეს არ ნიშნავს, რომ საქმით უზომოდ დაკავებულ ბერიას დარჩენოდეს დრო სასიყვარულო თავგადასავლებისათვის, რომელსაც ასე უსინდისოდ მიაწერდა მას 1953 წლის ივლისის პლენუმზე სკკპ ცეკას მდივანი შატალინი, შემდეგ კი ყველა, ვისაც არ ეზარებოდა გული ეჯერებინა ბერიას იმ არშემდგარი საყვარლების აღრიცხვით, რომლებიც მონსტრმა გადაასახლა ციმბირში იმიტომ, რომ სარეცელში ვერ შეიტყუა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, აუცილებლად შევეხები ამ საკითხს.

სამაგიეროდ მე აღარ შევუდგები ლავრენტი ბერიას პოზიციის განხილვას **"იუგოსლავიასთან"**, **"კორეასთან"**, **"უნგრეთთან"** და სხვა საქმეებთან დაკავშირებით. რაც შეეხება **"იუგოსლავიის"** საკითხს, მხოლოდ ბედის ირონიად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 1957 წელს ხრუშჩოვმა მოლოტოვი დაადანაშაულა ტიტოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ბლოკირებაში, მაშინ, როცა, 1953 წელს, ბერიას, ტიტოსთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების ცდა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ჩაუთვალეს.

მე შემოვიფარგლები ბერიას მიერ **"ბუნკერიდან"** მალენკოვისათვის გაგზავნილი წერილის იმ აბზაცის ციტირებით, რომელიც **"უნგრულ"** საკითხს ეხება:

**"იმრე ნადის თაობაზე პრეზიდიუმის სხდომაზე საკითხი უნდა გამომეტანა არა მე ან სხვა ვინმეს, არამედ შენ. ამასთან, რამდენიმე საქმიანი შენიშვნის გამო მე გავცეცხლდი და არაკორექტულად გამოვთქვი ჩემი აზრი, რისთვისაც მკაცრ სასჯელს ვიმსახურებ"**.

ბერიას მხედველობაში ჰქონდა 1953 წლის 12 ივნისს გამართული საბჭოთა კავშირის და უნგრეთის დელეგაციების შეხვედრა მოსკოვში. ამასთან ეს მრავლისმეტყველი ციტატა, დაწერილია იმ ადამიანის მიერ, რომელიც მაღალი თანამდებობიდან მოულოდნელად გადმოენარცხა ძირს და ბეტონისკედლებიან სარდაფში ჩამწყვდეული აღმოჩნდა. და ამ მდგომარეობაში ჩავარდნილიც კი, ბერია ფიქრობდა სამშობლოზე და არა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე!

განა ეს არ მეტყველებს ჩვენი წიგნის გმირის ამაღლებულ სულიერებასა და ადამიანურ თვისებებზე? ამასვე ადასტურებს ბერიას მიერ სკკპ ცეკას პრეზიდიუმისათვის მიწერილი მოხსენებითი ბარათი სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული თათბირის უფლებათა მკვეთრად შეზღუდვის თაობაზე. ლავრენტი ბერია რომ ისეთი სადისტი და ხალხის სულის ამომხდელი მონსტრი ყოფილიყო, როგორადაც მას გვიხატავენ, მაშინ რატომ იტყოდა უარს ისეთ სისტემაზე, რომლის წყალობითაც შეეძლო სასამართლოს გარეშე გასწორებოდა მისთვის არასასურველ ადამიანებს?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

## ტურიზმის მარშრუტი არგონავტთა ნაკვალევზე

არაერთგზის ექსპედიცია ტურ ჰეიერდალის, ტიმ სევერინის და და სხვა სწავლული ენთუზიატებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან შეისწავლონ ჩვენი შორეული წინაპრების გაბედული და სარისკო საქმენი, აღადგინონ მათი ნაკვალევი ოკეანეებში, ზღვებში, მდინარეებსა თუ ხმელეთზე, არ უნდა დარჩეს უშედეგოდ. სასურველია, რომ ზოგიერთი მათგანი საფუძვლად მივიჩნიოთ ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული მარშრუტის დასადგენად.

ტიმ სევერინმა, რომელმაც ააგო **"არგოს"** ანალოგიური ხომალდი, თავისი ექსპედიციით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმოგზაურა არგონავტთა ნაკვალევზე და ღუზა ჩაუშვა ძველი რომაელებისა და ბერძნების მაღალი კულტურის მქონე ნაქალაქარის ვანის პირდაპირ, მდინარე რიონში. სამწუხაროდ, ტიმ სევერინის ექსპედიცია, დაახლოებით ოცდახუთი კილომეტრით გასცდა არგონავტთა ცურვის ბოლო წერტილს იმის გამო, რომ საბოლოოდ არ იყო დადგენილი კოლხეთის სახელმწიფოსა და სამეფო სასახლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. როგორც უკვე ვნახეთ, ძველი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფო და სამეფო სასახლე მდებარეობდა მდინარე ტეხურის ხეობის ბოლოს, უნაგირას მთის ფერდობზე და მის მცირე ბორცვებზე, სენაკის რაიონის სოფელ ნაქალაქევის ტერიტორიაზე.

არგონავტებმა ღუზა ჩააგდეს მდინარე არაქსუს ნავსადგურ **"სუჯინასთან"** და სოფლების – ნორიო, წყემი და გეჯეთის გავლით მიადგნენ ძველი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლის დიდი გალავნის საიმედოდ ჩარაზულ კარიბჭეს. ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლის სახელწოდება ყოფილა **"აიაია"**.

მონაკვეთი გზისა **"აიაია"**-ს და რიონს შორის ნავსადგურ **"სუჯინამდე"** შენარჩუნებული ყოფილა ახალი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. ამ გზის მთლიანობა დაირღვა, სოფელ ნორიოსთან, წყემამდე და სრულუად დაფარა ის საქართველოს სამხედრო გზატკეცილმა.

არგონავტთა მარშრუტი, რომლითაც გაემართნენ ისინი ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, შემდეგ თანმიმდევრობით განხორციელდა: ეგეოსის ზღვა, ბოსფორის სრუტე, შავი ზღვა, მდინარე ფაზისი, ნავსადგური **"სუჯინა"**, სოფლები: ნორიო, წყემი, გეჯეთი და კოლხეთის დედაქალაქი **"აიაია"**.

ზემოთ ნაჩვენები მარშრუტი სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის. ესენია – საბერძნეთი, თურქეთი და დასავლეთ საქართველო. ამ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობით და კავშირის დამყარებით აღნიშნული ეს მარშრუტი შეიძლება მიღებულ იქნას საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტად.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის ხელოვნებათმცოდნეები ძალას, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ ძველი ეგვიპტელების, რომაელებისა და ბერძნების უძველესი ხელოვნებისა და კულტურის მხატვრულად გაშუქებაზე და პროპაგანდის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში. სამწუხაროდ, სრულად არ არის შესწავლილი ძველი კოლხების ხელოვნება და კულტურა. თუ თვალს მიმოვავლებთ კოლხეთის უძველეს სამეფოს ქალაქ-სახელმწიფოს **"აიაია"**-ს სამიათას სამასი წლის უკან ნაშენ გალავანს, უნიკალურ გვირაბს, სამეფო აბანოს, სამეფო სასახლეს და სხვა ნაგებობათა ნაშთებს, დავრწმუნდებით იმაში, რომ ის უძველესი ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშია.

აპოლონიოს როდოსელის **"არგონავტიკა"**-ს საშუალებით და წყალობით ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში იცნობენ კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს დამაარსებლისა და მისი პირველი მეფის აიეტის ნამოღვაწარს. მისი ფიზიკურად ხილვის საშუალება მრავალი ქვეყნის დაინტერესებულ პირთ არ გააჩნიათ. მისი ნამოღვაწარი, რომელიც დაფარულია შორეული წარსულიდან დღემდე დაგროვილი კოსმოსური ფერფლით, დროა გაიწმინდოს და გამოვაჩინოთ ის მზის სინათლეზე. საქართველოსათვის საშვილთაშვილო საქმის გაკეთება იქნება ტურისტული მარშრუტის გახსნა არგონავტთა ნაკვალევზე. ესე იგი, ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეადან კოლხეთის უძველეს ქალაქ-სახელმწიფო **"აიაია"**-მდე.

ვფიქრობ, რომ ამ საქმით დაინტერესდებიან საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები და, პირველ რიგში, ტურიზმის დეპარტამენტი.

**ამბროსი კილასონია**

## რიკოთის გვირაბით სარგებლობა ისევ ფასიანია

საქართველოს **„ნაციონალური"** მთავრობის დადგენილებით რიკოთის გვირაბით სარგებლობა ისევ ფასიანი ხდება. მთავრობის №10 დადგენილების მიხედვით, რიკოთის საავტომობილო გვირაბით სარგებლობისათვის დაწესებული საფასური არის სავალდებულო, რომელიც მიმართული იქნება პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში. საფასურის გადამხდელად განისაზღვრა საავტომობილო გვირაბით მოსარგებლე თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი.

საავტომობილო გვირაბით სარგებლობისათვის საფასურის ოდენობას შემდგომ თავად მთავრობა განსაზღვრავს.

**„საავტომობილო გვირაბით სარგებლობისათვის საფასურის ადმინისტრირება, ამ მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, აგრეთვე, საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოსავლების სამსახურმა"**, – ნათქვამია განკარგულებაში.

როგორც ჩვენი გაზეთის ამ ნომრის პირველ გვერდზეა აღნიშნული, მას შემდეგ, რაც საქართველოს ბანდიტურმა ხელისუფლებამ თითოეული მოქალაქისაგან სატელეფონო ანგარიშებიდან თვითნებურად თანხების ბიუჯეტის სასარგებლოდ მოხსნა დააკანონა, ამათგან უკვე აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს. რა თქმა უნდა ასე იქნებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ივანიშვილის ფინანსური დახმარების იმედი დაჰკარგა, ახლა ეგენი ჰაერსაც ფასს დაადებენ, წვერების ტარებასა და ახალდაბადებულებზე ბაჟს დააწესებენ, ციხეებს კი პატიმრებით აავსებენ, რათა უდანაშაულოდ დაპატიმრებული ხალხისაგან საპროცესო გარიგებებით სისხლად ამოღებული ფულებით შეავსონ ბიუჯეტი.

გრძნობენ თავიანთ აღსასრულს და ცარიელი ხელით არ სურთ საქართველოდან გაქცევა!

ცოტაც მოვითმინოთ!

**საქინფორმი**



## ჯაბა იოსელიანის ცხედრის გადასვენების მოთხოვნით ხელმოწერები ფეისბუქში გროვდება

2011 წლის 6 იანვარს, დიდუბის პანთეონში, ჯაბა იოსელიანის საფლავთან მოწყობილი პოლიტიკური აქციის შემდეგ გამოხმაურება ჯერაც არ წყდება. რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელ **„ფეისბუქში"** შეიქმნა ჯგუფი სახელწოდებით **„გადავასვენოთ ჯაბა იოსელიანი პანთეონიდან"**, რომელსაც უკვე 2.000-ზე მეტი წევრი ჰყავს და წევრთა რიცხვი ყოველ საატში იზრდება.

ჯაბა იოსელიანის ცხედრის გადასვენების მოთხოვნასთან დაკავშირებით შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა დღეს ამ გვერდზე განცხადება გამოაქვეყნა, რომლის ადრესატები კულტურის მინისტრი და თბილისის მერი არიან. უცვლელად გთავაზობთ ამ განცხადებას:

**„ჯაბა იოსელიანის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან გადასვენების მოთხოვნასთან დაკავშირებით შექმნილი**

**საინიციატივო ჯგუფის განცხადება**

**საქართველოს კულტურის მინისტრს ბატონ ნიკა რურუას,**
**ქალაქ თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას,**
**საქართველოს საზოგადოებას**

**ჩვენი, ამ წერილზე ხელის მომწერთა მიზანს არ წარმოადგენს 1991 – 1992 წლის სამხედრო გადატრიალების და არც შემდგომ, მხედრიონის დანაშაულებრივი მოქმედებების სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება. ეს სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურების პრეროგატივაა.**

**საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 26 მაისს, პოლიტიკური შეფასება უკვე მისცა სამხედრო გადატრიალებას და შემდგომში ჯაბა იოსელიანის, როგორც მხედრიონის მეთაურის მოქმედებებს, და ის საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებად აღიარა. შემდგომ კი საქართველოს პრეზიდენტმა, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ჯაბა იოსელიანს, საქართველოს ახალგაზრდობის გახრწნაში, ზნეობრივ და ფიზიკურ განადგურებაში დასდო ბრალი, ხოლო საქართველოს პროკურატურამ კი აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ფაქტების გამოსაძიებლად.**

**დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი წარმოადგენს საქართველოს საამაყო შვილების ნეშტების სამუდამო სასუფეველს და ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერი მუზეუმი, წარმოადგენს მომავალი თაობებისთვის, ისტორიის თვალსაჩინოებას.**

**დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დასაფლავება არის სიმბოლური აქტი, რომლითაც საქართველოს საზოგადოება თავის პატივისცემას გამოხატავს განსვენებულის მიმართ.**

**სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის, სამეგრელოს და თბილისის აოხრების, ახალგაზრდობის მორალურად გახრწნის და ფიზიკურად განადგურების მთავარი ორგანიზატორი და მონაწილე პანთეონში არ უნდა განისვენებდეს.**

**მისი ნეშტის დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ყოფნა არის ქართული საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი აქტი, იმ დიდი ფიზიკური და მორალური ზარალის გამო, რაც იოსელიანმა და მისმა იდეურმა თანამოაზრეებმა საქართველოს მიაყენეს.**

**მიგვაჩნია რა, რომ დიდუბის პანთეონში ჯაბა იოსელიანის დაკრძალვა ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა, მოვითხოვთ, რომ ჯაბა იოსელიანის ნეშტი დაუყონებლივ იქნეს გადასვენებული დიდუბის პანთეონიდან და დაიკრძალოს იქ, სადაც ამას მისი ოჯახი ჩათვლის საჭიროდ.**

**საინიციატივო ჯგუფის სახელით:**

**მიხეილ ჯაფარიძე**
**ნინო ბანძელაძე**
**ვაჟა ამირანაშვილი**
**ნანა დურგლიშვილი**
**ლაშა ბერულავა**
**მალხაზ ბატონისაშვილი".**

## ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალებიდან 30 წელი გავიდა

მართლაც რა უცებ გარბის დრო– თითქოს გუშინ იყო, ჩემი ტოლ-სწორები რომ რუსთაველის თეატრისაკენ მივიჩქაროდით, რათა ალბათ ორმოცდამეათეჯერ გვეხილა ზიმზიმოვის როლში ჩვენი ეროსი მანჯგალაძე!. დიახ – ორმოცდამეათეჯერ, რადგან არცერთი მისი როლი არ მეორდებოდა. მსახიობი მხატვრული გარდასახვის განუმეორებელი უნარით ახერხებდა, რომ სულ ახალ-ახალი კომიკური შტრიხები დაემატებინა ზოგჯერ ასგზის უკვე ნათამაშევი როლისათვის!

26 იანვარს დიდი ქართველი მსახიობის, ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალებიდან 30 წელი შესრულდა. ეროსი მანჯგალაძე 1982 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა 57 წლის ასაკში.

საქართველოს სახალხო არტისტი ეროსი მანჯგალაძე დაიბადა 1925 წლის 3 მარტს, თბილისში. 1947 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, პედაგოგ დ. ალექსიძის ხელმძღვანელობით. მუშაობდა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის თეატრში. სამსახიობო კარიერა დაიწყო 1948 წელს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, კინოკარიერა – 1958 წლიდან.

სხვადასხვა დროს ეროსი მანჯგალაძემ შექმნა საინტერესო სცენური სახეები: პეშეკი (ი. ფუჩიკის **"ადამიანებო იყავით ფხიზლად"**), ზიმზიმოვი (სუნდუკიანის **"პეპო"**), ლოპესი (ფლეჩერის **"ესპანელი მღვდელი"**), ოიდიპოსი (სოფოკლეს **"ოიდიპოს მეფე"**), დათვი (ნახუცრიშვილის **"ჭინჭრაქა"**), გვადი ბიგვა (ლეო ქიაჩელის **"გვადი ბიგვა"**), თავადი ვანო (ცაგარელის **"ხანუმა"**), ოთარბეგი (სუმბათაშვილის **"ღალატი"**) და სხვა.

როგორც მსახიობი, ეროსი მანჯგალაძე გამოირჩეოდა გარდასახვის არაჩვეულებრივი უნარით, მასშტაბურობით, განუმეორებელი ელინური ხმით, მის მიერ განსახიერებული გმირების თანამედროვეობის შეგრძნებით. კინოში შესრულებული აქვს როლები: ალექსანდრე (**"წარსული ზაფხული"**), ვარდენი (**"შეხვედრა წარსულთან"**), მილიციის რწმუნებული (**"ქვევრი"**), გეორქ გეორქოვი (**"ვერის უბნის მელოდიები"**), ჩორეხი (**"ნატვრის ხე"**) და სხვა.

დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მსახიობი ეროსი მანჯგალაძე იყო საქართველოს სახალხო არტისტი. იყო რადიოსა და ტელევიზიის დიქტორი და კომენტატორი. პრინციპულად მიჰყავდა მხოლოდ ფეხბურთის გადაცემები. მის სახელს ატარებს სპორტული სტადიონი სამტრედიაში.

**როლანდ ჯალაღანია**



# ღვთისა და პატრიარქის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს

მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრება XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში არნახულად ჭრელი, ლამის ამოუცნობი და დინამიკური გახდა. სხვადასხვა სახის უმაღლესი დონის შეხვედრები, სამიტები, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირთა ვიზიტები თითქმის ყოველდღიურობად იქცა. მსოფლიოს საზოგადოებრიობა უხვად არის ინფორმირებული მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესებზე, ქვეყნებს შორის დაპირისპირებებსა თუ შეთანხმებებზე, სახელმწიფო მოღვაწეთა პირად ცხოვრებაზეც კი.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც ან საგულდაგულოდაა დაფარული მსოფლიოს ხალხებისათვის, ან ჰუმანიზმის და დემოკრატიის ნიღბით მიეწოდება უბრალო მოკვდავთ – ესაა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფარული, კულისებსიქითა ვერაგული მოქმედება, მსოფლიო მასონიზმის დიქტატი. როდესაც პლანეტის საჭეთმპყრობელთა კასტის ნება-სურვილის მიხედვით იმართება გლობალური პოლიტიკური პროცესები, მიიღება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, ხორციელდება სისხლისმღვრელი სამხედრო აქციები, ხშირად ავბედითად წყდება მთელი სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი...

**„ახალი მსოფლიო წესრიგი“**, რომლის დასამყარებლად აქტიურად იბრძვიან მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური მოღვაწენი, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი პოლიტიკური მემკვიდრე მიხეილ სააკაშვილიც, სხვა არ არის რა, თუ არა **„მსოფლიო ბელადების“**, ე. წ. საიდუმლო მსოფლიო მთავრობის, ფინანსურ-ეკონომიკურ ინტერესებს მონური მორჩილებით დაქვემდებარებული ცხოვრების წესი, რომელიც ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფოებისა და სატრანზიტო გზების, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების ცხოვრებისეული ინტერესების საწინააღმდეგოდ. მასონური სიბოროტის მანქანა დაუნდობლად სჯის ყველას, ქვეყანას თუ სახელმწიფო მოღვაწეს, ვინც არ ემორჩილება მის ნებას – გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბუშის (მამა) სიტყვები: **„გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“.**

დასავლეთის ანტიქრისტიანული, მასონური ცივილიზაციის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს ხელისუფლების ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელთა ღვთისმგმობელურმა არსმა და ქრისტეს მცნებათა აშკარა უარყოფამ ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მრავალ მიღწევას ხაზი გადაუსვა ახალი აღთქმის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული, ღვთით ბოძებული მონარქიები და სამეფოები შეცვალა ჭეშმარიტად სატანურმა ძალაუფლებამ, სადაც თაყვანს სცემენ ოქროს, ვერცხლსა და გამდიდრებას, უზნეობასა და სოდომურ ცოდვებს, ძალადობის კულტსა და ფულის ყოვლის შემძლეობას.

ეგრეთ წოდებული დემოკრატიზაციის ნიღაბს ქვეშ, რომელიც დასავლეთში სახელმწიფო წყობის გვირგვინადაა შერაცხული, იმალება მასონთა ძალაუფლება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანების ხორციელ გარყვნას, სულიერად დამახინჯებას, საზოგადოების რობოტიზაციას, აქტირური პროცესებიდან მათ ჩამოცილებას, ლამაზი ეროვნული ტრადიციების უგულვებელყოფას, ცხოველეროვნებების მონებად მათ ქცევას. ასეთი ძალაუფლების დამკვიდრება ნიშნავს ყველა ამ ბიწიერების დაკანონებასა და ნორმად ქცევას, რომლებიც ბიბლიით კატეგორულადაა დაგმობილი.

იუდეველიზაციამ – მასონურმა ცივილიზაციამ, რომელმაც მე-20 საუკუნეში გადმოლახა დასავლეთის ქვეყნების საზღვრები და აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში შეაბიჯა, შექმნა გამარტივებული ადამიანის ახალი ტიპი, რომელსაც დაკარგული აქვს სულიერ ფასეულობათა მთელი მდიდარი კულტურული და იერარქია, როგორც პირველყოფილ ეპოქაში. ცხოვრება წმინდა ბიოლოგიურ ორიენტირებისკენაა მიმართული.

სწორედ ადამიანის ასეთი გამარტივებული ტიპის მართვისათვისაა შექმნილი კულისებსიქითა საიდუმლო ხელისუფლების სუბიექტივიზაცია, რომელმაც მსოფლიო მთავრობის სახელწოდება მიიღო.

1899 წელს, თავის გენიალურ ნაშრომში **„ქვათა ღაღადი“**, დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა:

**„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს, ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგზე აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ, თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ.“**

ეს სიტყვები ამ ასი წლის წინათ დაიწერა და აი, ასი წლის შემდეგ ილიას რომ დღევანდელი საქართველო ეხილა, დარწმუნებული ვარ, ბერბიჭაშვილს აღარ დაელოდებოდა და თვითონვე მოიკლავდა თავს, ახლანდელი საქართველოს შემყურე; საქართველოსი, რომელსაც ილიას დროინდელი ტერიტორიების ნახევარიც კი აღარ შერჩენია; რომლის ეკონომიკაც მიწასთანაა გასწორებული და მთელი ხალხი მხოლოდ სხვისი წარმოებული საქონლის მყიდველ-გამყიდველად გადაქცეულა; რომელსაც ყველაზე დიდი განძი ქართველობა – ეროვნულობა წაართვეს, ხოლო პატრიოტიზმს ფაშიზმად გვითვლიან და თვითონ კი დამუნჯებულა და ხმა ვერ ამოუღია; ქვეყნისა, რომლის მშრომელი, გამრჯე და ბეჯითი ხალხი სამათხოვროდ დადის უცხოთა მიწა-წყალზე; ქვეყნისა, რომელსაც ტერიტორიებთან ერთად, ისტორიასაც ჰპარავენ და განმკითხავი კი ჯერჯერობით არავინაა.

საუკუნეთა განმავლობაში მრავალრიცხოვან მტერს ებრძოდა ქართველი ერი. ურყევ სულს, ნებისყოფას, გმირულ შემართებასა და თავისუფლებისაკენ თავგანწირულ სწრაფვას თაობებს შთააგონებდნენ იმ გმირთა სახელებიც, რომელნიც საკუთარი კეთილდღეობის უარყოფითა და საქვეყნო საქმისათვის თავდადებით ემსახურებოდნენ მშობელ ქვეყანას. ქართველთა ცხოვრება ისე აეწყო, რომ მტერი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრით ცდილობდა. ამიტომაც რწმენა ქართველი ადამიანისათვის თავისუფლების და ეროვნული სახის შენარჩუნების პირობად იქცა. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ბევრი მოღვაწე, რომელიც წინ აღუდგა საქართველოს დამპყრობელთ, ქვეყნის მოღალატეთ. ერისა და რწმენის ყველა მოღალატე კი ყოველთვის მოკვეთილი და უარყოფილია დედა საქართველოს მიერ.

ამ ბედკრულ საქართველოში უხსოვარი დროიდან რა ჯურის გაუბედურებული ხალხი არ შემოხიზნულა და ყველას საქართველო მეორე სამშობლოდ მიუჩნევია. მაგრამ, ერთადერთი, ვინც თხოვნით, დიახ, თხოვნით (და არა მუქარით ან ქურდულად) შემოვიდა საქართველოში, იყო ებრაელობა! აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ ქართველ ებრაელთა თითქმის სამიათასწლოვან თანაცხოვრებაზე საქართველოში, მაგრამ იმას კი ვიტყვი, უცხო ქვეყანაში დასამკვიდრებლად თხოვნით რომ მიხვიდე, იქ დამკვიდრდე და ათასწლეულები იცხოვრო ისე, რომ იმ ქვეყნის ღალატი ერთხელაც გულში არ გაიელვო, ამისათვის დიდი კულტურის მქონე წინაპართა ღირსეული შთამომავალი უნდა იყო.

მე უკვე ვახსენე ქართველი ებრაელების კეთილი, ძმური დამოკიდებულება საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის მიმართ, მაგრამ ურია მასონები, ჯერ იყო და შევარდნაძის, ხოლო დღეს სააკაშვილის გუნდის ხელით, დღევანდელ საქართველოში ეტაპობრივად ახორციელებენ ქართველი ერის ტანჯვა-წამებასა და ქართველი სახელმწიფოს გაუქმებას.

ამჯერად მკითხველს მინდა შევთავაზო სიონის ბრძენთა ოქმების მოკლე შინაარსი.

როგორც **„სიონის ბრძენთა“** ოქმებიდან ირკვევა, იესო ქრისტეს მკვლელი იუდეველთა სულიერი შთამომავლობა უკან დახევას არ აპირებს, პირიქით, დიდად გახარებულია და ზეიმობს, ვინაიდან ხელთ იგდო მსოფლიო ბატონობის სათავეები, განსაკუთრებით 1992 წლიდან, ისინი არ მალავენ თავიანთ ეთნიკურ წარმოშობას და ყოველგვარ უპირატესობას დანარჩენ გოი (ბრიყვი) კაცობრიობასთან შედარებით. იმისათვის, რომ უფრო თვალნათლივ დავინახოთ ურია მასონთა ილუზიური თვითდაჯერებულობა, უპირატესობა და ზეაღმატებულება, რომელიც მათ, თითქოსდა სხვა ხალხებთან შედარებით აქვთ, მოვუსმინოთ ერთ-ერთ მათგანს:

**„ჩვენი დრო ბრუნდება, თუმცა იგი ჩვენგან არც არასოდეს წასულა, ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი, ისე, როგორც დედამიწაზე არსებული სიკეთე და ბოროტება. ჩვენ მუდამ ბევრნი ვჩანვართ, რადგან სიკეთეზე ძლიერები და აგრესიულები ვართ და ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. ჩვენ შევიცვლით ფორმას, გარსს, ფერს, მოვერგებით ყოველგვარ პირობებს, მაგრამ სიკვდილს მაინც გადავურჩებით და გავიმარჯვებთ. ჩვენი მიზანია – ვიყოთ გამარჯვებული, თქვენი ხვედრი – იყოთ მონები. ჩვენ მოვასწარით სამუდამოდ ჩაგვენერგა თქვენში მონური გონება. კიდევ მოგიხდენთ უამრავ რევოლუციას და „პერესტროიკას“. თქვენ მუდამ იბრძოლებთ სიმართლისათვის, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევთ მას. მე ვისაუბრებ შეუფარავად არა იმიტომ, რომ თავხედი ვარ, არამედ იმიტომ, რომ არ მეშინია. ჩემს უკან სსრკ-ის, სუკის, ხელისუფლების, პროკურატურისა და უმაღლესი საბჭოს უდრეკი ძალაა. ჩვენს სალამურზე ცეკვავენ პრეზიდენტები და ჩვენს სურვილს ასრულებენ, აკეთებენ იმას, რაც გვსურს.**

**მიგვიფურთხებია რადიკალ-დემოკრატებისათვის, თუნდაც მთლიანად ქცეულან, ჩვენ მოვერევით, შეგიძლიათ წაგვართვათ მანქანები, პრივილეგიები, აგარაკები და ა. შ. მაგრამ ძალაუფლებას ვერასოდეს წაგვართმევთ. მიგვიფურთხებია ხალხის აზრისთვის, რადგან ამ აზრს თავად ჩვენ ვქმნით. თქვენს ნებისმიერ შემოტევას ძალითა და სისასტიკით დავუპირისპირდებით. ჩვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს პროდუქციების, ქარხნების, ეკოლოგიის, ხელოვნებისა და ა. შ. განადგურება. გაცხოვრებთ სიღარიბეში, შიმშილში, ნგრევაში, ერებს დაგაპირისპირებთ, რათა ყელი გადაუღრღნათ ერთმანეთს. ყოველთვის გვაშინებენ ხალხით, რომ იგი აღსდგება და ყველაფერს განადგურებს, მაგრამ ვერასოდეს გამოიყენებთ, რადგან მხოლოდ ბოროტი გენია მიხვდება ამას, სიკეთე კი უძლურია. ჩვენ კადრების განახლება გვჭირდება, ხელს მოვკიდებთ ჭკვიანებს, ახალგაზრდებს, ენერგიულებს, ერთგულ მსახურებად მათი გადაქცევა კი უკვე ტექნიკის საქმეს. მთავარია, რომ ხალხს ეშინია. რომ არ გვცოდნოდა მასის ფსიქოლოგია, დიდი ხნის დამარცხებულები ვიქნებოდით.**

**ახლა სხვა რამით ვართ დაკავებული, თქვენი გამრავლების პრობლემა გვაწუხებს და თუმც ვისწავლეთ თქვენი რიცხოვნების რეგულირება – წყლის, საჭმლის, სიგარეტის, ჰაერის მოწამვლით – მაინც ეს პრობლემა ჯერჯერობით გადაუწყვეტელი გვაქვს, ჩვენზე ნუ სწუხხართ, მუდამ ვიპოვით ოაზისს ამ პლანეტაზე სიკვდილისაგან თავის დასაღწევად.**

**მე 82 წლის ვარ და სიმშვიდისა და კმაყოფილების შეგრძნებით ვკვდები. ამ საქმის ღირსეულ მემკვიდრეებს ვტოვებთ, ჩვენ მუდამ ვიარსებებთ!**

**თქვენი ერთ-ერთი მბრძანებელი**
**ევგენი კაზიმირის-ძე გორდეევი.**
**1991 წლის 7 იანვარი“.**

(უვიცმა მასონებმა არ იციან, რომ ბოროტებას გარკვეული დროის ლიმიტი აქვს დათმობილი. როცა ლიმიტი ამოიწურება, ურია მასონებს შავი დღე დაადგებათ... ამიტომ გვეუბნება ბიბლია: **არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, სანამ არ მოვა მისი მფლობელი... ბალახი მაისში მწვანეა, ნოემბერში გამხმარი... როცა დრო მოვა, ურია მასონზე საცოდავი არავინ იქნება დედამიწის ზურგზე**).

ეს ამაზრზენი და სისასტიკით აღსავსე ბოროტი აღსარება 1992 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ **„ვეჩერნი კიევში“**. მოცემული ქართული ტექსტი აღებულია ჟურნალ **„იმიჯის“** მე-4 ნომრიდან, რომელიც გამოქვეყნდა **„ზეკაცის აღსარების“** სათაურით.

თანამედროვე წიგნიერი კაცობრიობისათვის დაფარული და გასაიდუმლოებულია (როგორც ზემოთ აღვნიშნე) თუ ვინ მართავს მსოფლიოს, რა მიზანი აქვთ სიონისტებს და მსოფლიო მასონურ მაფიას. თვით საქართველოში, რომელიც სულიერი სიმწიფის ოთხიათასწლიანი მარაგით უსწრებს დანარჩენ კაცობრიობას, წარმოდგენა არა აქვთ მსოფლიო უსამართლობის საიდუმლოებაზე. ქართველი ხალხის წიგნიერი და ინფორმირებული ნაწილი ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩაწვდა ვინ არის შევარდნაძე და მისი მემკვიდრე სააკაშვილი და ვისი გეგმებით მოქმედებს მისი ანტიეროვნული, ანტიქრისტიანული გუნდი.

ქართული (ლაზურ-კოლხური) გიორგიანული სახელმწიფოს არსებობას, მისი ჩანასახიდან თანამედროვე პერიოდამდე 16 ათასი წლის ისტორია აქვს, რომლის ჩაყლაპვასა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა მრავალი გადამთიელი და იმპერიული ამბიცია. მაგრამ საქართველო დგას, როგორც სალი კლდის ეკლესია, ხოლო მისი მტრები აღიგავენ მიწისაგან პირისა. იგივე ბედი ეწევა მის ბოლო მტერს – ურია ებრაელების გლობალიზაციას.

ჩემი აზრით არ არის შორს ის დრო, როცა სიმართლე აუცილებლად იზეიმებს საქართველოში, მაშინ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, შავი ღრუბელიც გადაიწმინდება, ცაც გამოიდარებს და კვლავ აკიაფდება ცის კაბადონზე ელვარე ვარსკვლავები. დღეს უკვე საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მანამ, სანამ არ შეიცვლება ე. წ. პრეზიდენტი და ორიენტაცია ქვეყანაში, საქართველო, როგორც ქვეყანა, შეიძლება უახლოეს მომავალში მსოფლიო რუკიდანაც ამოვარდეს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ღმერთის და კაცობრიობის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს და ჭეშმარიტად აღდგება გასხივოსნებული და გასპეტაკებული.

**ზურაბ შელია-გოგოხია,**
**ხელოვნებათმცოდნე, დევნილი აფხაზეთიდან.**

# უნდა ითქვას სიმართლე

როგორ ესმით მკვლევართა ნაწილს და, მათ შორის, პატივცემულ შვიდტომეულის ავტორებს სიტყვა-ცნება ქართული? იგი მარტო სალიტერატურო მოვლენაა? ქართული ხომ ქართის ტომის მეტყველებაა დღევანდელი ქართლელების, კახელების, იმერლების, აჭარლების, გურულების, რაჭველების, ლეჩხუმელების, ფშაველების, გუდამაყრელების, მთიულების, თუშების, იმერხეველების, მესხების, ჯავახების, ფერეიდნელების, ინგილოების, თიანელების, მოხევეების კუთხური მეტყველების სახით. მათი სალექსიკონო ფონდი, რომ გამოვამზეუროთ ისე, როგორც ეს გააკეთეს შვიდტომეულის ავტორებმა მეგრულის მიმართ, როგორ ფიქრობთ, ათ მილიონს არ გადააჭარბებს?" (იხ. ჟურნალი **ცოტნეიდელი**, ტომი II, 2005-2008).

ჩემს ნაშრომს ჰქვია **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი"** და ეს მას არ შეშლია, – ის ვერ იტანს მეგრულის უძველესობას.

მეუხერხულება თქმა, მაგრამ როგორ დავიჯერო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიზო ჭელიძემ არ იცის ქართული ენის სხვადასხვა კუთხური ლექსიკა, როგორიცაა შასჭამს, მახკლავს, მევიდა, გეიწიე, იჭვი და ა.შ. სალიტერატურო ქართულ შესჭამს, მოკლავს, მოვიდა, გაიწიე, ეჭვი და ა.შ. სიტყვების გვერდით დამოუკიდებელი ლექსიკურ ერთეულებად ვერ გამოდგება. მეგრულსაც აქვს დიალექტები და კილოკავები, მაგრამ აღნიშნული შვიდტომეულში განა დიალექტური და კილოკავური ლექსიკაა წარმოდგენილი?

ქართული ენის ლექსიკური ფონდი ვერ იქნება 300 ათას სიტყვაზე მეტი, რადგან ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის საგრამატიკო საშუალებების სიმდიდრესთან და მათი გამოყენების მასიურობასთან (მასშტაბურობასთან) (გაუგებარია ერთიც: რა კრიტერიუმებითა და მონაცემებით საზღვრავს ბ-ნი გიზო საერთოდ, ენის სტატუსს), ახლოს ვერ მივა არამარტო ქართული ენა, არამედ ნებისმიერი სხვა ენა [მეგრულ ენაში არის 85 ზმნისწინი და 326 სუფიქსი, რომელთაც მეგრულში არსებული ზმნური ფორმები მთლიანად ირთავს (იხ. მ. დაც. ძაძამიების აღნიშნული შვიდტომეული), რითაც იქმნება მეგრული ენის უზარმაზარი ლექსიკური ფონდი, ხოლო ქართულში არსებული ზმნური ფორმების 20%-იც ვერ ირთავს მასში არსებულ 15 ზმნისწინსაც კი].

ჩვენს ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ ქართული ლექსიკის 300 ათას ერთეულს შეუძლებელი იყო გამოჰყოფოდა მეგრული ენის მილიონობით ერთეული. ამან აღაშფოთა, თურმე, ბ-ნი გიზო და ლამის ცალკეული სოფლების ლექსიკა მოიშველია ჩემი აზრის გასანეიტრალებლად. ამით, ფაქტიურად, თვითონ გაუსვა ხაზი ქართული ენის ლექსიკური ფონდის სიმცირეს. მაგრამ ამით არ მცირდება ქართულის და სხვა ენათა ღირსება. მათ სხვა თვისებები ახასიათებთ, რომლებიც ანიჭებენ კლასიკური ენის სტატუსს. მაგრამ მეგრული და ქართული ენის ლექსიკური ფონდის მეტ-ნაკლებობა არ არის მთავარი. მთავარი და საინტერესოა, რისთვის დასჭირდა ბ-ნ გიზოს მეგრულის ლექსიკურ ფონდთან ქართულის შედარება. განა შვიდტომეული იმისთვის დაიწერა, რომ მეგრული ენის უპირატესობა დაემტკიცებინათ, ან საერთო სალიტერატურო ქართული დაემცირებინათ, თუ იმისთვის, რომ ენათმეცნიერებაში არსებული ხარვეზი შეევსოთ? ყველა მეცნიერული დარგი შესაბამისი დარგის ჩასახვის საფუძვლით იწყება, ენათმეცნიერებას დღემდე არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა ენისა და მეტყველების წარმოშობაზე. ძირითადად ეს პრობლემა გადაჭრეს შვიდტომეულის ავტორებმა.

მომყავს კიდევ ერთი ამონარიდი ბ-ნი გიზოს წერილიდან:

**„უნდა შევეხოთ ერთი კარდინალურ საკითხს - „ქართულ-მეგრულ" მიმართებას. ქართველოლოგიურ ლიტერატურაში რატომღაც გათანაბრებულადაა წარმოდგენილი „ქართული ენა", „მეგრული ენა", „სვანური ენა". კიდევ უარესი, ენათმეცნიერების ერთერთი სახელმძღვანელოში შემაძრწუნებელი აზრიცაა ჩადებული: თუ მეგრელმა ქართული არ იცის, ან ქართველმა მეგრული (?!), მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გააგებინებენ, ამიტომაა ქართული და მეგრული ორი სხვადასხვა ენა".** (გაუგებარია, მაინც რა კრიტერიუმებით საზღვრავს ბატონი გიზო ენას, კ.ფ.).

არ იკითხავთ სად წერია ეს სიტყვები? – ენათმეცნიერების მთავარ სახელმძღვანელოში, რომლითაც ათწლეულებია ვზრდით სტუდენტ-ახალგაზრდობას (იხ. **„ენათმეცნიერების შესავლის საკითხები"**, გ. ახვლედიანის რედაქციით, 1972, გვ.22)

როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია. შვიდტომეულში, ამ მხრივ ერთგვარად საქმე თითქოსდა რიგზეა, თუმცა აუცილებელია, შევეცადოთ ცნობიერებიდან ამოვიგდოთ **„ქართულის", „მეგრულის", „სვანურის"** ენობრივი გათანაბრება, **„ქართული"** საერთო ეროვნული ფენომენია, ხოლო მეგრული და სვანური ტომობრივი... ის გარემოება, რომ სახეზე გვაქვს 10 მილიონი მეგრული სიტყვა, ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, მით უფრო, როცა **„წმინდა"** მეგრული ლექსიკონები სავსეა ფუძე-ქართულისეული სიტყვებით..." (იქვე, **ცოტნეიდელი**...).

ამ სტრიქონებიდან კარგად ჩანს, რომ დიდ საგონებელშია ჩავარდნილი ბ-ნი გიზო. ის აღშფოთებული და შეძრწუნებულია იმის გამო, რომ **„მეგრული"** და **„სვანური", „ქართულის"** გვერდით, ენებად იწოდებიან. რაკი ენებად იწოდებიან **„მეგრული"** და **„სვანური"**, ისინი უკვე თანაბარია **„ქართულთან"**. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია ისინი იწოდებოდნენ ქართულის დიალექტებად, უკიდურეს შემთხვევაში, ტომობრივ ენებად, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება ჭეშმარიტება თუ სიცრუე, სასარგებლო თუ საზიანო.

სხვა არაფერი უნდათ ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს და, საერთოდ, იმპერიულ ძალებს, მაგრამ, მოდით, უფრო სიღრმისეულად, უფრო საფუძვლიანად ჩავწვდეთ საკითხის არსში.

უძველესი დროიდან მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება იცნობდა მეგრელთა (იბერთა) როლს კაცობრიობის განვითარებაში და მისი განვითარების დონეს, იცოდა მისი დასაბამიდან მომდინარეობა და, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდა იბერიაში მიმდინარე პროცესებს, თორემ ინგლისელი ისტორიკოსი – რაულინსონი ვერ დაწერდა ძვ.წ. აღ. 550 წლიდან, ე.ი. სპარსეთის მეფის კიროსის იბერიის წინააღმდეგ პირველი ლაშქრობიდან იბერიის დაცემამდე ისტორიას. ამასთან, იცოდნენ იბერიის დაცემის მიზეზები და ქართების ხელისუფლების სათავეში მოსვლის გზები. ყველაფერი ეს ყველაზე უკეთ იცოდა ჩვენმა სამხრეთელმა კარის მეზობლებმა – არმენებმა.

ალბათ, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მეზობელი სახელმწიფოები იბერიაში მიმდინარე მოვლენებს, რადგან იბერებს ებრძოდა მისი მოდგმის, მუდამ მის დაქვემდებარებაში მყოფი, საუკუნეების განმავლობაში სეპარატისტულად (დიდი ექვ. თაყაიშვილის სიტყვებია, კ.ფ.) განწყობილი, გამოყოფისათვის მებრძოლი ქართები და მათ მოსვლას მთლად იბერთა ხელისუფლების სათავეში, უთუოდ, დიდი სენსაციური რეზონანსი ექნებოდა. ალბათ, იმასაც გებულობდნენ, თუ როგორი ბარბაროსობით ისპობოდა იბერთა კულტურული ღირებულებები თავისივე მოდგმის ქართების ხელით, რომლის ისტორია იწერებოდა იბერთა ისტორიის სახელით და ამიტომ არც ეროვნულ და არც უცხოურ ისტორიულ წყაროებში ქართები არ ჩანან 523 წლის წინარე ხანაში. გამოდის, რომ ფაქტიურად თავიანთ ძირს ითხრიდნენ ქართები. ყველა უცხოელი ავტორები მოიხსენიებენ იბერიას და არა ქართებს. იბერთა ენა ქართლური რომ ყოფილიყო, რა უშლიდა ხელს უცხოელ ავტორებს **იბერები** ეწოდებინათ ქართებად? უშეცდომო არავინაა, მაგრამ ასეთი შეუსაბამობის საზოგადოებისთვის თავს მოხვევას, მომეცნიერო გამყალბებლის გარდა, ვერავინ იკისრებს და არც არავინ იკადრებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით პროფესორმა იოსებ ყიფშიძემ შეისწავლა მეგრელები და მეგრული ენა და დაწერა ნაშრომი **Грамматика Мегрельского (иверского) языка** წმინდა მეცნიერული სინდისით, რომლის შემდეგ 34 წლის ახალგაზრდა კაცმა საეჭვო სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ მას, ეტყობა, ჭეშმარიტების გაყალბებას სიკვდილი ერჩივნა. აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც, ასევე მეცნიერული სინდისით აღწერა რა გზით შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, ცნობილია, რომ სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ნათესავთა მცირე ჯგუფმა გააცილა მთაწმინდამდე. ვინა არიან ისინი, ვინც, გვინდა თუ არა, კარგა ხანია, ანტიეროვნული გზით მიჰყავთ ქართველი ერის აწმყო და მომავალი? ვინ და გვარგამოცვლილი ჰაიაკ-არმენები, რომლებიც ქართველებად იწოდებიან, მაგრამ სულით ხორცამდე არმენობენ და თითქმის, მოსახლეობის 77% წარმოადგენენ თბილისში.

დღეს ცნობილია, რომ მეგრული (იბერიული) ენა მომდინარეობს კაცობრიობის დასაბამიდან, ფლობს უზრმაზარ ლექსიკურ ფონდს, ამასთან, ბგერებისა და ძირისეული თანხმოვნური მეტყველების დროინდელი სიტყვების წარმოშობის მექანიზმებს, რასაც აკად. გიორგი ახვლედიანის მტკიცებით **„შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად"** (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ. 1999. გვ. 390). ძირისეული ფორმების ანალიზიდან ჩანს, რომ ქართლური დიალექტი იბერიულ ენას გამოეყო შორეულ თანხმოვნური მეტყველების ხანაში, მაგრამ ბგერებისა და ძირისეული ფორმების წარმოშობის მექანიზმები ვერ შემოინახა, ეს არც ქართულ უძველეს წერილობით ძეგლად მიჩნეულ **„შუშანიკის წამება"**-ში ჩანს და არც სხვა ძეგლებში.

მიუხედავად ამისა, ბევრი მკლევარი ცდილობს გააყალბოს ჭეშმარიტება და ტენდენციურად აშუქებს თავის გამოკლევებს. ასე, მაგ., ქართ. ვი-ბან, მეგრ. ვიბონ-ქ—- შეპირისპირებულია და საერთოქართულ ძირისეულ ფორმადაა მიღებული – ბან ძირი ქართული ბერტყ-ვ-ა და მეგრ. ბარტყ-უ-ა შეპირისპირებულია და საერთოქართულ ძირისეულ ფორმად მიღებულია ბერტყ- ძირი; ქართული გუელ-ი და მეგრ. გვერ-ი-დან ძირად მიღებულია გუელ- ; ქართ. თოვ-ს და მეგრ. თუნ-ს/თ, ნ-ს (<<თოვს>>) ფორმებიდან საერთო ქართულ ძირისეულ ფორმად მიღებულია თოუ – (— თოვ-) ძირი; ქართ. მ-ნათ-ობ-ი და მეგრ. ნოთ-ე შეპირისპირებული ფორმებიდან საერთოქართულ ძირისეულ ფორმად მიღებულია – ნათ- ძირი; ქართ. სი-ყუარ-უ-ლი და მეგრ. „ორ-ო-ფა შეპირისპირებული ფორმებიდან საერთოქართულ ძირისეულ ფორმად მიღებულია – ყუარ- ძირი და ა.შ. 1500-ზე მეტი ფორმიდან 95 % საერთოქართულ ძირისეულ ფორმადაა მიღებული ქართული ფორმები (იხ. ჰ.ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000). ეს ნიშნავს, რომ, მათი აზრით, ქართული ენაა წინაპარ პროტოქართულთან ახლოს მდგომი ენა, ხოლო მეგრული და სვანური გვიან წარმოშობილი, ქართულიდან გამოყოფილი ტომობრივი ენები, ანუ დიალექტებია. მაგრამ აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილი ფუძე ენის ძირისეულ ფორმებად მიღებული ძირების მნიშვნელობის (ეს ჩემამდე არავის უწარმოებია) ხსნის მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მეგრული ენა. ასე თუ არ არის სცადოს მეგრული ენის არ მცოდნე მეცნიერმა აქ წარმოდგენილი ქართულად მიჩნეული ძირების: **„ბან", „ბარტყ", „გუელ", „თოვ", „ნათ", „ყუარ"** და სხვა ძირისეული ფორმების მნიშვნელობათა გახსნა და ქართული ენით, რომ ვერაფერს გახდება, მიხვდება რომელია პროტოქართულთან ახლო მდგომი ენა.

იქნებ მე ვტყუი და, როგორც ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, გ. ჭელიძე და სხვები, ტენდენციურად ვაზვიადებ ე.წ. მეგრული ენის როლს და უძველესობას, როგორც ისინი ამას აკეთებენ, ქართული ენის მიმართ, თორემ, იქნებ, როგორც ქართული ენის ამ **„დამცველებს"**, არც მე გამაჩნია რაიმე საფუძველი. ვნახოთ. სიტყვა „სიყვარული" (—- სიყუარული), რომ წმინდა ქართული სიტყვაა, ამაში ვერავინ შემედავება. სიტყვაში **„სი-ყუარ-უ-ლი"** ანლაუტი **<u>სი</u>** – და აუსლაუტი – **<u>ლი</u>**, რომ ცირკუმფიქსია, აფიქსირებენ, მაგრამ მათი მნიშვნელობა და ეტიმოლოგია ჯერ არავის გაურკვევია, არც **„ყუარ"** ძირის მნიშვნელობითა და წარმოშობით დაინტერესებულა დღემდე რომელიმე მეცნიერი.

<u>სი</u> – უძველესი მეგრული (იბერიული) სიტყვაა და ნიშნავს **„შენ"**-ს, ხოლო – ლი ნაწარმოებია არსებობის დამადასტურებელი ზმნისგან **„რე"** (არის). (რე-ლე-ლი). რას ნიშნავს და საიდან წარმოსდგა ქართული – ყუარ- და მისი მეგრული შესატყვისი „ორ – („„**ოროფა**"-დან) ძირი?

პასუხი იხ. ჩვენს ნაშრომში **„რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?"**

მსგავსად მტკიცდება ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის **ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში** მოტანილი ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ შესატყვის სიტყვათა ძირების მეგრული (იბერიული) წარმოშობა და დასაბამიდან მომდინარეობა.

**„იბერიული ცივილიზაცია პირინეიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა"** – ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე მთავარი ენა, თუ მთლად საერთაშორისო არა, იბერიული ენა უნდა ყოფილიყო. დღეისათვის ეს ენა საქართველოს მხოლოდ ექვს რაიონს შემორჩა და, ბუნებრივია, ის საბოლოოდ გაქრება, მაგრამ არ მინდა ეს მოხდეს სანამ ქართველი და მსოფლიოს მეცნიერნი ე.წ. მეგრულ (იბერიული) ენას სიღრმისეულად არ შეისწავლიან, როგორც სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებების შემნახველ ენას და ქართველი ერი არ გაიგებს რა საგანძურს ფლობს ეს ენა.

მე მინდა შევეკითხო ყველაზე კომპეტანტურ მეცნიერს ენათმეცნირებაში – ბატონ თ. გამყრელიძეს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერებს, ასევე, ტ. ფუტკარაძეს, თ. გვანცელაძეს და მათ თანამოაზრეებს, რა ფასი აქვს თქვენს მიერ შემქნილ ტომეულებს, თუ ის ჩვენი ერის კეთილდღეობას არ ემსახურება? როდემდე უნდა ვატყუილოთ ჩვენი ახალგაზრდობა, როდემდე უნდა ვანაცვალოთ პირად ამბიციებს ერის მომავალი?

რატომ არ ვუფიქრდებით ბატონებო, რას გვიშველის რომ გვყავდა პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი, დიმიტრი უზნაძე და სხვები, თუ მათი გზით არ ვიარეთ და მათი ნააზრევი ქარს გავატანეთ? ნუთუ ვერ ხედავთ როგორ დაეცა სულიერად და ზნეობრივად საზოგადოება, თუ ის საერთოდ არსებობს და როგორ გათითოკაცდა ქვეყანა?

შეცდომის დაშვება არ არის დანაშაული, თუ ის უნებლიედ მოსდის ადამიანს; დანაშაულია სიმართლის დამალვა და იგნორირება.

რას ნიშნავს ჩემი აღმოჩენების მიმართ დუმილი?

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ყურებამდე გაბადრულმა მითხრა პროფესორმა კაციტაძემ: თქვენი მიგნებების ჭეშმარიტებაში ვერავინ შეგედავება, მაგრამ აღიარებისა რა მოგახსენო-ო.

რატომ? რას ნიშნავს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის პასუხი ჩემს მოთხოვნაზე, მოეცათ წერილობითი, ობიექტური და არგუმენტირებული შეფასება ჩემს ნაშრომზე **ჩვენი დამწერლობების წარმოშობის შესახებ**:

პირველად შენ არ გითქვამს, რომ ჩვენი დამწერლობები ეროვნული წარმოშობისააო? მართალია, ასეთი ჰიპოტეზა ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა, ნიკო მარმაც და მე რომ ვთქვი და დავამტკიცე კიდეც, რა დაშავდა ამით?

რაც მე გავაკეთე, გავაკეთე უზენაესის ნებით და არც მინდოდა ჩემი ნამდვილი ვინაობის გაცხადება, ოღონდ ჩემი მშობელი ერისთვის მეცნობებინა, რა მონაპოვარის მფლობელები ვართ ქართველები და ჩემი პირველი წიგნი ფსევდონიმით გამოვაქვეყნე, მაგრამ ერთმა პროფესორმა კეთილმა კაცმა დამარწმუნა, რომ ვინაობის დამალვა საქმისთვის უარესიაო, თორემ არც შემდგომ ვაპირებდი გაცხადებას.

საქართველოს სომხური ხელისუფლების მიერ განაწყენებულმა, თუ ქართველი საზოგადოების თვალის ასახვევად, თორემ ფაქტიურად მათი ნების შემსრულებელმა კიწმარიშვილმა, ბურჯანაძემ, გაჩეჩილაძემ და სხვა მათმა თანამოაზრეებმა შექმნეს ჯგუფი სახელწოდებით **„ქართული პარტია"** და მიმდინარე წლის (2011) მაისში მიტინგებს მართავდნენ, ვითომცდა, ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

**კუკური ფიფია,**
**"ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსი**

# კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო



ძვ. წ. XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს მითანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე იყო რატი, მთავრსარდალი კი მეფის ძმა – ართაშური, ხოლო რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ – ფარაონმა ექნატონმა (ეხნატონი, ექნათონ – აჩინა) შეირთო ცოლად.

ქალაქი ახეტატონის (ექნატონი), რომელიც ბენი ჰასანისაგან სამხრეთით მდებარეობს, **„მეფე-ერეტიკოსმა ეხნატონმა ააგო, როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თაყვანმცემლობა დაგმო და აკრძალა, სანაცვლოდ კი ერთი ღმერთის – ატონის კულტი დააწესა.“ (იხ. ეგვიპტოლოგია,** თარგმანი: **სოფი ქარჩხაძე,** რედაქცია **მაკა ბაქრაძე, ლელა ბერიშვილი,** კონსულტანტი: ეგვიპტოლოგი **მანანა ხვედელიძე**, ქართული გამოცემა, 2007, თბ., გია ქარჩხაძის გამომცემლობა (ეგვიპტოლოგია, ოსირისის სამარხის ძიებაში. მის ემილი სენდსის დღიური, ნოემბერი, 1926წ.).

ეხნატონის მეუღლის ნეფერტიტის კირქვისაგან დამზადებული კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში, 1911 წელს (ზოგიერთი წერს: 1912 წელს) აღმოაჩინა გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ქალაქ ახეტანონში.

ლ. ბორჰარდტმა თუთმოსის სახელოსნოში იპოვა ექნატონის (ეხნატონის) ოჯახის წევრების პორტრეტები – ფარაონ ექნატონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი, ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი. ერთი თაბაშირის, მეორე კი გრანიტისაგან დამზადებული. აღმოჩენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი. ეს ბიუსტი რომ აღმოაჩინა, ლ. ბორჰარტს დღიურში ჩაუწერია: **„იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო.“**

ეგვიპტე დიდი ხანია გერმანელებისაგან კატეგორიულად მოითხოვს ნეფერტიტის, აგრეთვე ბრიტანეთის, საფრანგეთის (ლუვრის), ბოსტონის და ასევე ჰელიცაუსის (გერმანია) მუზეუმებიდან ეგუპტის კუთვნილი (ეგვიპტიდან გატანილი) სამუზეუმო ნივთების დაბრუნებას. **(გენადი თვაური,** დაბრუნდება ნეფერტიტი ევვიპტეში? გაზ. **„ახალი თაობა“**, 2009, 16 თებერვალი, №43, გვ. 10, 12).

**„ექნატონის ამარანას პერიოდის“** შემდეგ, ტუტანჰამონის მეფობის დროს, ეგვიპტელების ტრადიციული მრავალღმერთიანი რელიგია აღდგა.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტმა, შვეიცარიელმა ჰენრი სტირლინმა განაცხადა: ნეფერტიტის ბიუსტი სინამდვილეში 100 წელზე ნაკლები ასაკისაა. მეცნიერი ამტკიცებს, რომ სკულპტურის ასაკის დადგენა შეუძლებელია, რადგან იგი კირქვისგანაა დამზადებული.

ბერლინის ეგვიპტური მუზეუმის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს შვეიცარიელი სტირლინის ჰიპოთეზას. **„ლამაზი ქალი და ცრუ სკანდალი ყოველთვის კარგად იყიდებოდა“,** – განაცხადა მუზეუმის დირექტორმა. (**გენადი თვაური**, ნეფერტიტი 100 წლისაა? გაზ. „ახალი თაობა“, 2009, №122, გვ. 12).

2006 წელს გამოსულ „ეგვიპტოლოგიაში“ მოტანილია **„ეგვიპტური გვირგვინების“** ისტორია და სურათები: **„როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის მეფე-ფარაონი ორმაგ გვირგვინს ატარებდა. ეს გვირგვინი, თეთრი – ზედა ეგვიპტის გვირგვინისა და წითელი – ქვედა ეგვიპტისა, გვირგვინისგან შედგება. წითელი გვირგვინი ასოცირებული იყო ქვედა ეგვიპტესთან, რომელიც ქალაქ მემფისიდან ჩრდილოეთით, ნილოსის დელტამდეა გადაჭიმული. თეთრი გვირგვინი ეს ზედა ეგვიპტის გვირგვინია. ზედა ეგვიპტე იშლება მემფისიდან სამხრეთით, თებემდე და მის იქითაც გრძელდება. ლურჯი გვირგვინი ასევე „ომის“ გვირგვინადაც მოიხსენიება, რადგან ამ გვირგვინით მებრძოლი სეთი I და მისი ვაჟი რამზეს III მრავალგანაა გამოსახული.“** (ეგვიპტოლოგია, გვ. 5).

სწორედ ასეთი გვირგვინი (მეფის, ფარაონის) ადგას თათუ ნეფერტიტს, ის მეფის, ფარაონის ჩვეულებრივი მეუღლე კი არ იყო, არამედ მეუღლის ეხნატონის სკივდილის შემდეგ ფარაონი გახდა. ასეთი გვირგვინი, ებურა, ეხურა ჩვენი ქვეყნის (კოლხეთის) დიდ მეფეს ანმარეს (ანმარეს იმპერია). ნეფერტიტის ყველა ქანდაკება (დიდი თუ პატარა) და პორტრეტი ამ გვირგვინითაა შესრულებული.

ქვეყანა მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო **„ფაზისყანა“** (რაც ვენახოვანს ნიშნავს). იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება **„ბაბილოვანი“**. ბაბილო ქართულად არის ვაზის ლერწამი, რტო. ქალაქ ბაბილოვანის სახელწოდება, შემდგომში გავრცელდა თვით ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე. ბაბილო, ბაბილონი (ამ ქალაქის ბერძნულ და ებრაულ სახელწოდებაზე, ქვემოთაც გვაქვს საუბარი) საქართველოს (სამეგრელოს) სხვა დედაქალაქის შესატყვის სახელწოდებად იქცა, მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ კუთხეს – მხარეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს კოლხეთს. უფრო გვიან, როცა ის შემოსეულმა მტრებმა დაიპყრეს, ბაბილონი საქართველოს (კოლხეთის) ქალაქი იყო, ხოლო ახ. წ. VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისაგან **„ბაგ“, „დადუ“** (მეფის სახელებია); აგრეთვე დადუსაგან მომდინარეობს ქართული გვარები: დადუანი (იგივე დადვანი), დადიანი და სხვები.

მითანის მეფის რატის ასული თათუს ქიმითის (ეგვიპტის) მეფის მეუღლედ გახდომისას, ჩვეულებისამებრ, ახალი სახელი დაარქვეს – **„ნეფერტიტი“,** რომელიც მკვლევარების აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ მზეთუნახავს, ლამაზ ქალბატონს ნიშნავს! წერს ნ. ფოფხაძე. (**ნათელა ფოფხაძე,** ქიანა ენგურ ანუ ქვეყანა, სახელად ენგური (წერილი მეორე), გაზ. **„დიოსკურია“**, 2005, თებერვალი, №20, გვ. 4. ნათელა ფოფხაძეს მრავალი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული ძველი კოლხეთისა და სამეგრელო-სვანეთის ისტორიაზე. მას რიგი აღმოჩენა და მიგნება აქვს ძველი კლხეთის ურთულეს საკითხებზე. კოლხეთის, შუმერეთის ეგვიპტის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ქართველი მეცნიერები შესაფერისად იყენებენ მის მიერ პირველად მოძიებულ წყაროებს, დოკუმენტურ მასალებს. ამ აღმოჩენებში მას ხელს უწყობს უცხო ენების უბადლო ცოდნა, დიდი ერუდიცია, ჟურნალისტური გამოცდილება. მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა დოკუმენტური მასალები ეგვიპტელ ქართველი ფარაონების თათუ-ნეფერტიტისა და აიეს შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. ფოფხაძის მიერ შედგენილი ნარკვევი **„ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ“,** თბ., 2002).

ქიმეთში (ეგვიპტეში) ეხნატონ (ექნათონ) ფარაონის შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა თავისი უფროსი ქალიშვილი ანქისეპა-ათენა; სამი თუ ოთხი წლის შემდეგ თათუ-ნეფერტიტი გარდაიცვალა. მისი მუმია შემონახულია – დაკრძალულია ქიმეთის მეფეთა და დედოფალთა პანთეონში. შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთანქი – ათენი, (თუთანჰამონი), რომელიც ნათესავების, – პირველ რიგში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და უმაღლესი ქურუმის – კოლხი აიეს საშუალებით მართავდა ქვეყანას.

ზოგი მეცნიერი **„თუთანქამონის“** (თუთანჰამონის, ტუტანხამონის) ბიოლოგიურ დედად თათუ-ნეფერტიტს მიიჩნევს, ზოგი კი თვლის, რომ ის სხვა, ქართველთა მეფის ასულმა ქიიამ გააჩინა. მიუთითებენ, რომ თათუმ მას დედობა გაუწია, გაზარდა და მისი დედა თუ არა, ახლო ნათესავი ნამდვილად იყოო. მაგარამ, არა, აქ საჭიროა სიცხადის შეტანა, ჭეშმარიტების დადგენა. ცნობილია, რომ ეხნატონის, ექნატონის მეუღლე იყო ნეფერტიტი, ისიც კარგად ცნობილი, რომ ეხნატონის შვილი იყო ტუტანჰამონი, მაშასადამე, ეხნატონისა და თათუ-ნეფეტეტის შვილია ტეტჰამონი: სხვა განსხვავებული შეხედულების, მოსაზრების არსებობა უსწოროა.

თუთანჰამონის სახელი უთუოდ უკავშირდება მეგრელი მთავარის (თუთას) სახელს, ამონი კი მზის ღმერთია; ეგვიპტის ყველაზე გავლენიანი ფარაონი თუთანჰამონი მეგრულად ნიშნავს მთვარეს და მზეს.

მითანის (მითანის მთიანეთის) მეფის რატის სახელიდან მომდინარეობს ქართული გვარი რატიშვილი (ხშირად ამბობდნენ რატიშვილს, რატის, რა-



ტიევს, – განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ). დასტურდება, რომ მეფე რატის მემკვიდრეები, შთამომავლები არიან რატიშვილები.

ისიც სათქმელია, რომ ცნობილი პიროვნება, ჩეხი მომღერალი იოსებ რატილი (27.XI. 1840-1912წწ.) პირველი ქართული ფოლკლოლური ანსამბლის ლოტბარი იყო.

თუთანქამონს დედის ბიძად ერგებოდა **„პრემიერ-მინისტრი“** აიე (ეიე), რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა და მომდევნო ფარაონი გახდა და ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას. იმასაც აღვნიშნავთ, რომ „ფარაონ აიეს ძმის – მეფე რატის ქალიშვილის – თათუ-ნეფერტიტის ასული (უმცროსი ქალიშვილი) მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადაშმან მეფის მეუღლე იყო, ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში. (**ნათელა ფოფხაძე** სწორედ ამბობს: არა **„ტუტანს(ქ)ამონი“**, არამედ **„თუთანქამონი“**).

.ეგვიპტოლოგთა ჯგუფმა წამოაყენა (2007 წ.) ახალი ჰიპოთეზა ფარაონ ტუტანჰამონის გარდაცვალების შესახებ, რომლის თანახმადაც ფარაონმა ტუტანჰამონმა, რომელიც ეგვიპტეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნის მეორე ნახევარში მართავდა, სასიკვდილო ტრავმა ნადირობის დროს მიიღო – მეფე ეტლიდან გადმოვარდა და წვივი მოიტეხა.

მეცნიერები ადასტურებდნენ, რომ ფარაონის გარდაცვალების მიზეზად განგრენა იქცა. უკანასკნელ დრომდე (2007წ) ეგვიპტოლოგებს შორის გაბატონებული იყო ვერსია, რომლის თანახმადაც ეიეს (აიეს) მიერ ორგანიზებულმა შეთქმულებამ იმსხვერპლა. ტუტანჰამონის შემდეგ ძველი ეგვიპტის ტახტზე სწორედ აიე ავიდა, მის ქვრივზეც დაქორწინდა და სრულიად კანონიერად გახდა ეგვიპტის მეფე – ფარაონი.

ამ ჰიპოთეზისკენ მეცნიერებს ფარაონის თავის ქალაზე ჯერ კიდევ 1960-იან წლებში რენტგენოლოგიური გამოკვლევების დროს შემჩნეულმა დეფექტმა უბიძგა.

მიუხედავად ამისა, როგორც გაზეთი **„ინდეფენდენთი“** აღნიშნავს, მეცნიერებმა რამდენიმე საბუთი წარმოადგინეს, რომლებიც მიანიშნებენ, რომ 19 წლის მეფე უდაბნოში ნადირობის დროს ეტლიდან გადმოვარდა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. მოტეხილობას შემდეგ სისხლის მოწამვლა დაემატა და ფარაონი განგრენის შედეგად გარდაიცვალა.

მანამდე გავრცელებული აზრის თანახმად, ტუტანჰამონი ფიზიკურად სუსტი ადამიანი იყო. ამჟამად მეცნიერები საწინააღმდეგო აზრს იზიარებენ და მიაჩნიათ, რომ იგი საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. სანადირო ეტლს, რომელიც მის სამარხში იპოვეს, ცვეთის კვალი ეტყობა. ასობით ისარი, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ საფლავში ჩაატანეს, ასევე არ იყო ახალი, ამ ისრებს ნადირობისას ხმარობდნენ.

კიდევ ერთი საბუთი, რომელიც არაპირდაპირ ადასტურებს, რომ ტუტანჰამონი მონადირე იყო და ეტლით მგზავრობდა, მისი ტანისამოსის გროვაში ნაპოვნი კორსეტი იყო. ამ კორსეტს იგი ეტლით მგზავრობის დროს მუცელში დარტყმისაგან უნდა დაეცვა.

გარდა ამისა, მუმიას თან ყვავილების გირლიანდები ახლდა, მათ შორის გვირილების თაიგულები. ცნობილია, რომ ეგვიპტეში გვირილა მარტსა და აპრილში ყვავის, რაც იმას მიანიშნებს, რომ ტუტანჰამონი ამ დროს დაკრძალეს, მაგრამ მუმიფიკაციისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით გამოდის, რომ იგი დეკემბერში, ან იანვარში, ანუ შუა ნადირობის სეზონის დროს დაიღუპა.

მეცნიერების მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ ბალზამის ოსტატებსაც მოსწმინდა ჩირქი, რომლებიც ფარაონის ცხედართან უყურადღებო მოპყრობაში იყვნენ **„ბრალდებული“**. დამტკიცდა, რომ ქურუმები მეტად გულმოდგინედ მოეკიდნენ თავიანთ საქმეს, მუმია სხვადასხვა ქსოვილის ფენაში იყო შეხვეული, ბალზამირების პროცესი კი მრავალსაფეხურიანი იყო.

ფარაონის მუმია და მისი სამარხის სხვადასხვა ნივთები ამჟამად (2007წ.) ლონდონში არის გამოფენილი (ტუტანჰამონი ნადირობის დროს მიღებული ტრამვის შედეგად გარდაიცვალა, გაზ. **„ახალი თაობა“,** 2007, 23 ოქტომბერი, №292).

ერთი კი თითქმის ცხადად ჩანს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნეში ეგვიპტის ფარაონი იყო კოლხი სახელად აიე. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ეგვიპტის ფარაონის მრჩეველი (პრემიერ-მინისტრი) აია (ეიე), რომელიც ხელმძღვანელობდა ფარაონის დაკრძალვის ცერემონიას, ფარაონი გახდა.

ძველი ეგვიპტის ფარაონის სახელი აიე (აია) და ძველი კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქის (და თვით სახელმწიფოს) სახელწოდება **„აია“** ხომ არ მიგვანიშნებს რაიმეს?

უთუოდ საინტერესოა 2008 წლის გამოქვეყნებულ მასალები იმის შესახებ, რომ ევროპელ არქეოლოგთა ჯგუფი, ეგვიპტელი ოტო შადენის ხელმძღვანელობით გეგმავს ლეგენდარული მეფეთა ველის კვლევის განახლებას. მეცნიერები მიზნად ისახავენ ეგვიპტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი დედოფლის ნეფერტიტისა და მისი მეუღლის ეხნატონის (ექთათონის) მუმიების კვლევას.

ეგვიპტის პირველი ფარაონის ნარმერის ანუ მენესის (ქვეყნის სატახტო ქალაქი იყო თიისი ზემო ეგვიპტეში) ჩათვლით, **“კლეოპატრას დრომდე, ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი იყო. შვეიცერიელმა მეცნიერმა რომელმაც ფარაონი თუთანამონის დნმ-ს შესწავლის საფუძველზე. დაამტკიცა, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის (გაუგებარია – რატომ მხოლოდ მამაკაცები?) წარმომადგენელთა დაახლოებით 50 პროცენტი, ინგლისში კი თითქმის 70%-ი ესპანეთში – 70%, საფრანგეთში 60-%) ტუტანჰამონის შორეული ნათესავი ან შთამომავალია.**

**ამენჰოტეპის შვილის ექნატონის მეუღლე თათუ-ნეფერტიტი, მათი შვილი ტუტანჰამონი, თათუ-ნეფატიტის ბიძა აიე (ეიე) ეგვიპტის ფარაონები იყვნენ, ასევე რამზეს I, რამზეს II, რამზეს III, და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები იყვნენ.**

**მეცნიერთა მტკიცენით ფარაონ თუთანჰამონის (ტუტანჰამონის) და ევროპელი მამაკაცების ნახევრის საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ“** (ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდში კავკასია, კერძოდ სამხრეთი კავკასია კოლხებით იყო დასახლებული).

**„მეცნიერების ვარაუდით დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ თანამედროვე ევროპელებისა და ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა... ამ ჯგუფის წევრთა განსახლება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე დაახლოოებით 9 ათასი წლის წინ დაიწყო, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად“.** (ფარაონ ტუტანჰამონისა და ევროპელი მამაკაცების ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყავდათ გაზ. **„ახალი თაობა“,** 2011, 4 აგვისტო, №183, გვ. 11).

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნება თანამედროვე ეგვიპტელების მხოლოდ 1-%-ი, რაც იმას მიანიშნებს რომ თანამედროვე ევროპელებს და ფარაონებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. კარგად ჩანს რომ ეს წინაპარი როგორც ქვემოთ გვაქვს აღნიშნული ქართველები იყვნენ.

მირიან ქართველი რომელმაც დეტალურად აღწერა ლაზიკას – კოლხეთის-საქართველოს უზარმაზარი ტერიტორიების ოთხივე გეოგრაფიული მხარე-საზღვარი, ამბობს: (მირიან ქართველი, ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია, წიგნში **„იესოს სულით ცხებული“,** თბ., 2001, გვ..95-96. მირიან ქართველის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებს შორის აღსანიშნავია: მიესიის მეორედ მოსვლა დედამიწაზე. თბ., 2009; სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები, თბ., 2009; ლაზარე (ქართველი) ღმერთის ენა, თბ., 2011.

**„ლაზიკას გულსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ოთხი მდინარის აუზში მცხოვრები, ტომი. მდინარე ენგური (ენის გული), რიონი (მზის ძეს ობადე, ფასი), მტკვარი (მტკვარიცის კიბე) და ალაზანი (ზანი ანუ წმიდა ზანი). ზემოთ აღნიშნული საზღვრების გარეთ ლაზებს (ქართველებს) ჰქონდათ სამისიონერო მცირე დასახლებები, კერძოდ, შუმერების ბაბილონში, მცირე აზიის ტერიტორიაზე, ეგვიპტეში, საბერძნეთში იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, კიევ-ზაპოროჟიეში, რიაზანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, სარანსკში და ურალში. ეგვიპტის იმპერია ქართველი ქურუმების შექმნილია და ფარაონები, კლეოპატრამდე, ყველანი იყვნენ ქართველები, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს“.**

შვეიცარიელი მკვლევარის აღმოჩენასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერები წერენ: **„ტუტანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა“**, ე. ი. **„სწორედ დამტკიცდა – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან“.** რუსი მეცნიერები ამის ამტკიცებენ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (დმანისი).

სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები პირველად საქართველოში, რომ გაჩნდა ამას ვამბობდი ჯერ კიდევ ადრე გამოსული წიგნებში, საჟურნალ-საგაზეთო სტატიებში და ინტერვიუებში.

გამოჩენილმა შვეიცარიელმა მეცნიერმა რომან შოლცმა, რომელმაც ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონის დნმ-ს ანალიზი გააკეთა, მოახდინა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა და გადატრიალება გამოიწვია მეცნიერებაში, თბილისელ მკვალევარ რატიშვილისადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილში, ჩემს შესახებ წერს:

**„თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ თქვენ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, ამ ტესტების ჩატარებაში თუ ის დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებას.**

**სიამოვნებით ვუპასუხებთ ნებისმიერ სხვა კითხვას, რაც შეიძლება გაგიჩნდეთ.**

**პატივისცემით,**

**რომან ს. შოლცი ციურიხი“.**

**კლიმენტი შელია,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# „ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი“

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე პეტრეს თანადგომით, მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.*



თბილისში წითელმა რაზმებმა დაიკავეს ყველა შენობა. ყოფილი მეფისნაცვალის რეზიდენცია. ზუბალაშვილების მიერ აგებული ბრწყინვალე სასახლე, ქარვასლა, უპოვართა თავშესაფარი, სამადლო და სხვა. რაც ვერ გაძარცვეს დაამსხვრიეს.

დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლება საფრანგეთში ემიგრაციით წავიდა. თან წაიღო ეროვნული განძეულობა რაც 175 ყუთსა და 12 ტომარაში იყო მოთავსებული. განძეულობის თავმოყრა, შეფუთვა და წასაღებად გამზადება პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა.

ოთხი ყუთი საეკლესიო განძეულობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ ქუთაისში გამოზიდა. საპატრიარქოს საკუთრებას თან გამოაყოლა პავლე ჯაფარიძე.

ქუთაისის ეპარქიის მღვდელმსახურნი დაარწმუნა ჯაფარიძემ, რომ ეს იყო პატრიარქის პირადი ნივთები და მის ჩამოსვლამდე გადაენახათ.

სინამდვილის დაფარვა დიდხანს ვერ მოხერხდა.

1921 წლის 11 ივნისს, მოულოდნელად გარდაიცვალა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი – ლეონიდე. იგი სასმელი წყლით მოიწამლა. თბილისში არსებული უაღრესად რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის პერიოდში, ქალაქში არ არსებობდა არანაირი პირობები, სასმელად ხმარობდნენ მტკვრის წყალს, რამაც გამოიწვია პატრიარქის მოწამვლა.

ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა საქართველოს რევკომს აცნობა, რომ **„11 რიცხვსა, ნაშუადღევს, 17 საათზე, ღვთით მიიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. დაკრძალვა მისი გვამისა დანიშნულია 17 ივნისს სიონში.“**

პატრიარქის დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დამკრძალავ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ალ. ასათიანი და ნიკ. თალაკვაძე თხოვნით მიმართა დავ. ოქროპირიძემ და მ. კარიჭაშვილმა, რომ უწმინდესი ლეონიდეს ნეშთი დაეკრძალათ შიომღვიმის მონასტერში.

კომისიამ უარყო ეს თხოვნა.

ლეონიდეს ნეშთი პატივით დაკრძალეს სიონში.

მალე შეიკრიბა საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ეპისკოპოსები: პიროსი, დავითი, მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზები: კალისტრატე, ეპიფანე, ნაუმი. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობა ეთხოვათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისათის.

19 ივლისს საგანგებო დეპეშა გაიგზავნა სოხუმში საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო მესამე საეკლესიო კრების ჩატარების სავარაუდო თარიღი.

მიტროპოლიტმა ამბროსიმ საპასუხო დეპეშით მადლობა მოახსენა საბჭოს ნდობისათვის და განმარტა, რომ ეპარქიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა თბილისში ჩამოსვლას.

ამბროსიმ ჩვეული პასუხისმგებლობით გააგრძელა ბრძოლა სოხუმში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გადასარჩენად.

ეს იყო რთული, მძიმე ჟამი, მაგრამ შინაგანად გრძნობდა, რომ სიმედგრის გამოჩენა იყო საჭირო. გრძნობდა იმასაც, რომ პატრიარქის გარეშე, გაუჭირდებოდა დედა ეკლესიას თვითმყოფადობისა და სიმტკიცის შენარჩუნება. უფლის ნებითა და საკათალიკოსო საბჭოს თხოვნით მას დაევალა პატრიარქის მოსაყდრეობა ანუ მოვალეობის შესრულება, რაც დიდი პასუხისმგებლობა იყო და ამაზე კატეგორიულ უარს ვერ იტყოდა.

### ივერიის ეკლესიის საჭეთმპყრობელი

ჯერ არ წვიმდა, მაგრამ ცა იქუფრებოდა. მრავალდღიანი მზის მცხუნვარების შემდეგ, სიგრილე იგრძნობოდა.

მთა-გორაკების ფერხულში ჩართული წმინდა გელათის ტაძარში საგანგებო ფაციფუცი გამართულიყო.

სამღვდელოების წარმომადგენლები იკრიბებიან ამ ღვთით დალოცვილ სავანეში. აქ უნდა შემდგარიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება.

დედაქალაქს განრიდებული მღვდელმთავრები და საეკლესიო პირები ჩურჩულით უზიარებდნენ ერთურთს შეშფოთებას. თუ რა მძიმე ჟამი დაუდგენიათ.

– მეფის რუსეთის დროინდელი ყოფა გვენატრება – ამბობს ერთი.

– ღმერთო! თვალები აუხილე დაბრმავებულთ – პასუხობდა მეორე და პირჯვარს იწერდა.

გასაბჭოების პირველსავე დღეებში შექმნილ ეგრეთწოდებულ **„რევკომს“** დაევალა შეესრულებინა გარდამავალი, საგანგებო ფუნქცია, შეემზადებინა ნიადაგი საბჭოთა ხელისუფლების არჩევნებისათვის. კრემლის მასონური ნაწილის მითითებით იქმნება საგუბერნიო და სამაზრო რევკომები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ ახალი ხელისუფლებისადმი მორჩილებას. გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლის თანახმადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშე ჰყვეს. მაგრამ ამით არ დასრულებულა ზეწოლა. დაიწყეს ფარული ბრძოლა ეკლესიის შიგნით არეულობისა და მომხრეთა გადმობირებისათვის. ზედმიწევნით ზუსტად სრულდებოდა ლენინის მითითება.

ეს იყო ძალმომრეობითი ღონისძიებისათვის ნიადაგის მომზადება. ასეთ პირობებში საეკლესიო კრების ჩატარება დედაქალაქიდან მოშორებით თუ იყო შესაძლებელი.

პირველ სექტემბერს გელათში 212 დელეგატი შეიკრიბა ხმის უფლებით, რომელსაც უნდა აერჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

განისაზღვრა კრების პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსი პიროსი. მოქალაქენი: დავით ნიჟარაძე, რაფაელ ივანიცკი (ინგილო).

კრებამ იმსჯელა რამოდენიმე საჭირბოროტო საკითხზე. უპირველესად, დუმილით გვერდს ვერ აუვლიდნენ იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა, რადგან ეროვნული პრობლემები და საეკლესიო და სასულიერო ცხოვრება ერთმანეთთან იყო მუდამ გადაჯაჭვული. ამიტომ კრებაზე გულისტკივილით აღინიშნა ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ეკლესიისადმი. ითქვა, რომ საქართველოს ეკლესია რადგან იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციაა იძულებული იქნებიან გამოგვაცხადონ დევნილად.

კრებამ მოუწოდა სასულიერო პირებს წინ აღუდგნენ საერო ხელისუფლების წარმომადგენლების ავ ზრახვებს, საეკლესიო განძეულობის გატაცებებს, სამღვდელო პირთა აბუჩად აგდებას. რადგან ეს ნიშნავდა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი უპატივცემლობასა და დამცირებას.

მიტროპოლიტმა ამბროსიმ განაცხადა, რომ **„ამ რთულ პირობებში ქართულ ეკლესიას და მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებლურ სარწმუნოებას გადაარჩენს მხოლოდ მკაცრი დისციპლინის დაცვა და ერთიანობის შენარჩუნება, რაც იქნება ეკლესიისა და ერის ინტერესების სასარგებლო“.**

კრებამ განიხილა სხვა აუცილებელი და საჭირბოროტო საკითხები. ამასთან რეკომენდაცია მისცა გრიგოლ ფერაძეს გამგზავრებულიყო უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად.

დადგა დღის წესრიგის მთავარი საკითხი. პატრიარქის არჩევნები. გაირკვა, რომ ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევა სურდა ქუთათელ ნაზარს.

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს ყავდა მომხრეები და მის კანდიდატურას აქტიურად მხარს უჭერდა პრეზიდიუმის წევრი დავით ნიჟარაძე, მაგრამ არა მხოლოდ ამის გამო, ამბროსის არ იზიდავდა თანამდებობრივი სიმაღლეები, იგი წარსდგა კრების წინაშე და საკუთარი სურვილი ხმამაღლა აუწყა დამსწრეთ, რომ უარობდა პატრიარქად კენჭის ყრას.

**„თავმდაბლობა და არა თანამდებობრივი იერარქია. საქმე და სარწმუნოებისადმი სამსახური, და არა კათოლიკოსის მანტიის მოსხმა“** – აი მისი ცხოვრების სიმბოლო.

ეკლესიას ედგა მძიმე ჟამი, არა მხოლოდ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, არამედ კირიონებად და ლეონიდებად დაყოფა. ამან შვა დაპირისპირება, უნდობლობა და საერთო ჯამში, შესუსტდა ეკლესიის ერთიანობა და სიმტკიცე.

საჭირო იყო გაწონასწორებული, გამოცდილი, მიუკერძოებელი პიროვნება, რომელიც არ მოექცეოდა დაჯგუფებათა გავლენის ქვეშ და ერთგულად დაიცავდა მართლმადიდებელი ეკლესიის პრინციპებს, იბრძოლებდა სახელმწიფოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

კენჭისყრაზე დაითანხმეს ამბროსი.

10 ენკენისთვეს ჩატარდა არჩევნები. ფარული კენჭისყრაზე დააყენეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისა და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ ნაზარის კანდიდატურები.

ხმათა უმრავლესობით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია).

გელათის ტაძარში მას მიესალმა ქუთათელი ნაზარი და საკათოლიკოსოს სახელით ბეჯითი თანამშრომლობა და მორჩილება აღუთქვა.

დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში. თავგამოდებული ავტოკეფალისტი, ცარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიარქი ამბროსი, ცხადია ვერ შეეგუებოდა საქართველოს ეკლესიის უხეშ ხელყოფას. და რომ განსწავლულობა და საკუთარი სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება იყო ამის მყარი საფუძველი.

1917 წლამდე საქართველოში მოქმედებდა 1150 ეკლესია-მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა 2609 მღვდელი, 227 მთავარდიაკონი, 1606 დიაკონი, მოქმედებდა 29 მამათა მონასტერი – 1188 ბერით. დედათა 6 მონასტერი – 280 მონაზვნით.

აქტიური საქმიანობა იყო საჭირო ტაძარსალოცავებისა და საეკლესიო განძეულობის პატრონობისათვის.

1921 წლის 14 ენკენისთვეს (ოქტომბერი) სვეტიცხოვლობისას მცხეთაში ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის აღსაყდრება.

ეს საზეიმო დღე არ იყო პომპეზური და მასშტაბური. როგორც ცხოვრებაში იყო უპრეტენზიო, მაგრამ სამართლიანი და ობიექტური, კურთხევაც ჩატარდა წესისა და რიგის მიხედვით, მშვიდად.

საზოგადოება კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ათეისტური პროპაგანდა, რელიგიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, ხალხზე სათანადოდ მოქმედებდა.

პატრიარქის კურთხევის დღეს ხელისუფლებამ მოსახლეობას არ მისცა საშუალება სვეტიცხოველში შეკრებილიყო.

პატრიარქის აღსაყდრებაზე არ მობრძანდნენ უცხო სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენლები, არც სხვა ეკლესიის წარგზავნილები, გარდა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოს გევორქ V-ის წარმომადგენლის მღვდელი ხუციევისა.

წირვა ჩაატარა მიტროპოლიტმა ნაზარმა და ეპისკოპოსმა პიროსმა. შემდეგ შესრულდა პატრიარქის აღსაყდრება. უწმიდეს ამბროსის სიტყვით მიმართეს მღვდელმთავრებმა.

მრევლსა და შეკრებილთ ჩვეული სიდარბაისლითა და სიმართლით ებაასა ამბროსი. მისი ფიქრი, ზრუნვა, ლოცვა – ყველაფერი გაჯერებულია სამშობლოს მომეტებული სიყვარულითა და ეკლესიის როლის მნიშვნელობის წარმოჩენით. იგი თვითეული ქართველის სანუკვარ საზრუნავად მიიჩნევდა ორ გამორჩეულ განძს – მამულსა და სარწმუნოებას. და აფრთხილებს კომუნისტურ რეჟიმს, რომ ისინი ვერ შეძლებენ საუკუნეობით აშენებული რწმენის სრულ დარღვევას, რადგან ერის თავისუფლება და სარწმუნოების თავისუფლება იდენტურია.

**„დღევანდელი ჩვენი ერის მდგომარეობა, იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ცვალებადია. არ იცვლება მხოლოდ მისი სარწმუნოებრივი განცდა. ამისთვის საუკეთესო მატარებელი და დამცველი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია. ერის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა არ მოასწავებს ეროვნული სარწმუნოების შეცვლას. პოლიტიკურ რწმენაში და ცხოვრების ცვალებადობაში, სადაც ხშირად ეროვნული იდეალებიც დავიწყებას მიეცემიან, აუცილებელია მხოლოდ სარწმუნოებირვი ცხოვრების ნორმები, რის გამოც ეკლესიაში ეროვნული იდეაც სამაგალითო და შეურყვნელია“** – ამბობდა პატრიარქი – **„ხალხი მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიასა და სამშობლოს, ვინაიდან ის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარწმუნოებისა და სამშობლოს დაცვისთვის. ეს მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიქოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან? მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ მისი ცხოვრების ღრმად ჩაყრილ საძირკველზე მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შემეცნებისა და როგორ გნებავთ ახლა ის საძირკველი გამოუცვალოთ ამ დიდ შენობას და ჩაუყაროთ ახალი ამავე სიღრმეში? საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვით შენობას? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა? თუ ეს მოსახერხებელია და საშიშიც არ არის, მაშინ მკითხავთ, ამ ახალი საძირკვლის გამაგრებისათვის რამდენი საუკუნის განუწყვეტელი მედგარი შრომის განმეორებაა საჭირო ხალხისათვის? ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო? ასე იქცევიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდა გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია და ჩაუყარონ ახალი ინტერნაციონალობის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი, უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა. ერთადერთი შედეგი ამისა შეიძლება მხოლო ის იქნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის ეროვნულ განვითარებას...**

**აი, რას უნდა ჩაუფიქრდეს არა მარტო ეკლესიის მორწმუნე წევრი, არამედ ყველა, ვისაც თავისი მოღვაწეობის მიზნად დაუსახავს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვის სამსახური.**

**მაშ, მორწმუნენო და მამულიშვილნო, ორივე, ეკლესიაც და სამშობლოც ტკბილია, ორივე წმინდათა წმინდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიქოლოგია და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო, პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ეს მოგვცემს ძალას შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება, ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.“**

ბორის დავითაია,
სენაკი

# ავადმყოფს დამყურებს ჩემი მშიერი ქმარ-შვილი და ვერ მშველიან!

***სამი შვილის დედას, 46 წლის ირინა თოდაძეს 2007 წელს მკერდის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაცია გაუკეთდა, რომელმაც ოჯახის მთელი დანაზოგი შეიწირა. უსახსრობის გამო მკურნალობა ვეღარ გააგრძელა, დაავადება ძვლის სისტემაზე გავრცელდა და არც იმის საშუალება აქვს, რომ მდგომარეობა მცირედ მაინც შეიმსუბუქოს. ამას ემატება 19 წლის ინვალიდ ქალიშვილზე დარდი, რომელიც დედის ავადმყოფობის გამო სკოლაში სიარულს ვეღარ ახერხებს.***

– სამი შვილის დედა ვარ, 46 წლი. მკერდის სიმსივნე აღმომაჩნდა, ოპერაცია გავიკეთე და მკერდი მომკვეთეს. ოჯახის მთელი დანაზოგი ამ ოპერაციაში გადავიხადე, სახლიდან ყველაფერი გავიტანე გასაყიდად. ჩემი მეუღლე სატყეო დეპარტამენტში მუშაობდა, მაგრამ ამ სისტემის გაუქმების გამო უმუშევარი დარჩა. უკვე ხუთი წელი გავიდა და ჩვენი საშველი არ არის, სამსახური ვერსად იშოვა. იმის გარდა, რომ მძიმე ავადმყოფი ვარ და მუდმივი მკურნალობა მესაჭიროება, სახლში მყავს 19 წლის ქალიშვილი, ლიკა არეშიძე, პირველი ჯგუფის ინვალიდი. ჩემი ავადმყოფობის გამო ბავშვი სკოლაში ვეღარ წავიყვანე, დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. ნერვიულობს, მეგობრებთან ერთად ყოფნა სურს, უნდა რომ თავისი ფეხით გაიაროს, მაგრამ არც მისი ოპერაციისა და არც ჩემი მკურნალობია თანხა არ გაგვაჩნია. ქალაქის მერიამ დაზღვევა გაგვიფორმა, მაგრამ მერე ისევ მოგვიხსნა. ხუთი სული ვცხოვრობთ ჩემი და ჩემი ინვალიდი შვილის პენსიით, 180 ლარი გამოგვდის. ბავშვები ნახევრად მშიერი მყავს, ფეხზე წამოდგომა მიჭირს, გარეთაც ვეღარ გავდივარ. მწოლიარეს დამყურებს ჩემი მშიერი ქმარ-შვილი და ვერ მშველიან. შუათანა შვილი – თეა, სტუდენტია, 18 წლის, სწავლის ფულსაც ვეღარ გადავუხდი, ბიჭი – ანდრო 14 წლის მყავს. მეცხრე კლასის მოსწავლე. ჩემმა გოგონამ განათლების მინისტრის სახელზე განცხადება დაწერა დახმარების თაობაზე, პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

**– რა ღირს თქვენი მკურნალობა?**

– ვინაიდან ფართო მკურნალობა არ შემიძლია. 20 დღეში ერთხელ ვიკეთებ პრეპარატ **"ზომეტას"**, რომელიც ერთი ამპულა 400 ლარამდე ღირს. ეს ჩემი ოჯახისთვის ასტრონომიული თანხაა. ორ კვირაში ერთხელ სისხლის გადასხმა მჭირდება, საავადმყოფომდე რომ მივიდე, გადავისხა და სახლში დავბრუნდე, 120 ლარია საჭირო. პროცენტიანი ვალებით სადამდე ვიქნებით. არ ვიცი. ვუყურებ ჩემს შვილებს და ნერვიულობა მკლავს, რაც ამათთვის უნდა მიმეცა, მე ვახმარ ჩემს თავს. რაც სახლში გვქონდა, ყველაფერი გავყიდე ჩემი ავადმყოფობისა და მეუღლის უმუშევრობის გამო. ახლა მარტო ნაგვის გადასახადი 104 ლარი მოგვივიდა. თუ ელექტროენერგიის გადასახადი დაწესებულ ვადამდე ვერ გადავიხადე, ბავშვებს არც სინათლე ექნებათ. არ ვიღებთ სოციალურ დახმარებას. აგენტმა შეამოწმა ჩემი სახლი და მაღალი ქულები დაგვიწერა, რადგან ძველი ტელევიზორი და გაფუჭებული მაცივარი დაინახა. როდესაც ოპერაცია გამიკეთეს, ჩემ ინვალიდ შვილს პენსიის მიცემაც შეუწყვიტეს.

– რა მიზეზით?

– რეგისტრაცია დეკემბრის თვემდე გავლილი გვქონდა, განახლებას არ საჭიროებდა, მაგრამ მაინც მოგვიხსნეს, ექვსი თვის განმავლობაში უნდა მოგეკითხებინათ, წესი წესიაო. არავითარი წესი დარღვეული არ მქონდა, მაგრამ ჩემი მდგომარეობის შესახებ მაინც ვუამბე, შეღავათი გამიწიეთმეთქი. თან მკერდის მოკვეთის შემდეგ ქიმიოთერაპიული მკურნალობა რომ დამეწყო, ჯანმრთელი ღვიძლი და თირკმელი უნდა მქონოდა. ნასესხები ფულით ეს ოპერაცია გავიკეთე. მეორე ჯგუფის ინვალიდობა მომანიჭეს, დამინიშნეს 80 ლარი, ხოლო ჩემს გოგონას – 100 ლარი. აი, ამ ფულით ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია. ბავშვები მშივრები და ჩაუცმელები მყავს. **"რუსთავი-2"**-ის გადაცემა **"ვის უნდა 20 ათასი"**-ში მივწერე კიდეც ჩემი ოჯახის მდგომარეობის შესახებ. შემპირდნენ, გადაცემაში მოგახვედრებთო, მაგრამ ამაოდ, ხან რა მოიმიზეზეს, ხან – რა. ბოლოს სეზონიც დაიხურა. რა ვქნა, ალბათ, ექიმთანაც ვეღარ წავალ, ვერ დავდივარ, სამარშრუტო ტაქსში მე ვერ ავალ, კერძო ტაქსის ფული კი არა მაქვს. ბავშვებისთვის პურს ვეღარ ვყიდულობ. რა ვქნა (ტირის). ექიმმა მითხრა, გამოკვლევა აუცილებლად უნდა ჩაიტაროო, მაგრამ ვერც ამას შევძლებ, 300 ლარია საჭირო, რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი. ტკივილგამაყუჩებლებსაც ვერ ვყიდულობ..

ჩემს შვილებს მინდა ცოტა ხნით ვუყურო, ჩემი ინვალიდი გოგონას დარდი მაქვს.

ესაუბრა
ქეთევან ხამიცაშვილი
"ასავალ-დასავალი"

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: არავითარი სურვილი არა გვაქვს, რომ ბუნება-განწყობა მოვუწამლოთ ჩვენს მკითხველს, მაგრამ არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ სწორედ ასეთი გაჭირვებული და სასოწარკვეთილია მიშა სააკაშვილის მიერ აშენებული "ბედნიერი" საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა. მიმოიხედეთ ირგვლივ, გამოკითხეთ მეზობლები და მეგობარ-ნათესავები და მიხვდებით, რომ თოდაძეების ოჯახს თავს დაწოლილი გაჭირვება ორდინალური მოვლენა გახლავთ მრავალი ქართული ოჯახისათვის, მაშინ, როცა სააკაშვილი და მისი ბანდა მილიონობით ფულს შოულობს ქართველი ერის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე!**

**კიდევ ერთხელ დაფიქრდით, თუ ვინ არიან და რას გვიქადიან სააკაშვილი და მისი "ნაციონალები"!**

# იმერეთის გუბერნატორმა რესტორანში ივანიშვილის სახელის ხსენებაზე იჩხუბა

იმერეთის გუბერნატორმა, ლაშა მაქაცარიამ საჩხერეში სტუმრობისას რესტორან **„მევენახის სახლში“** იჩხუბა. როგორც ჟურნალისტები ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერენ, საჩხერეში გამართული საახალწლო კონცერტის დასრულების შემდეგ, იმერეთის გუბერნატორმა ქუთაისისა და საჩხერის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად **„მევენახის სახლში“** მოლხენა გადაწყვიტა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ქეიფის დროს მთვრალმა ახალგაზრდა ქუთაისელმა **"ნაციონალმა"** ხმამაღლა შეიგინა: **„ბიძინას დედა...“** იქვე, სუფრასთან მჯდომი, საჩხერელი კაცი თანამემამულეს გამოესარჩლა: ბიძია, ნუ აგინებ ბიძინა ივანიშვილს, მაგ კაცმა საჩხერისთვის ბევრი სიკეთე გააკეთაო. პასუხად ქუთაისელმა **"ნაციონალმა"** დაუღრიალა: **„ვის ეტლიკინები, შენი დედაც ...“** – და მუშტი დაუშინა. ნაცემი საჩხერელი ადგილობრივებმა დაიცვეს და რესტორანში ინციდენტი მასობრივ ჩხუბში გადაიზარდა.

**„პოსტკრიპტუმის“** წყაროს თქმით, იმერეთის გუბერნატორი ხმამაღლა გაჰყვიროდა, მომაშორეთ ბიძინას ხალხი რესტორნიდანო. თავადაც ხელები დაიკაპიწა და ჩხუბში გაერია. ვინ ვის ურტყამდა, ვერ გაიგებდი...

როცა ჩინოვნიკებმა ჩხუბი მოითავეს, გართობაზე გადავიდნენ.

**„ჩემი თვალით ვნახე, მაქაცარია რესტორნის თანამშრომელ გოგონებს ტუჩებში რომ კოცნიდა. ასე მოგვილოცა საჩხერლებს მთავრობამ ძველით ახალი წელი“**, – დასძინა წყარომ.

ეს ინციდენტი საჩხერის ცენტრში ძველით ახალ წელს, საახალწლო კონცერტზე მომხდარი შემთხვევის გაგრძელებაა. როგორც ცნობილია, კონცერტის მსვლელობისას ერთ-ერთი ახალგაზრდის შეძახილს – **„გაუმარჯოს ბიძინას“** – ჩხუბი მოჰყვა – სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები 15 ახალგაზრდას სასტიკად გაუსწორდნენ.

მოკლედ, უკვე მერამდენე წელია დასასრული არ უჩანს დაუსჯელობის იმედზე მყოფ **"ნაციონალთა"** აღვირახსნილობასა და თავხედობას და ეს სატანური ძალა დროულად თუ არ მოვიშორეთ თავიდან, ისინი მთელ საქართველოს ჩხუბისა და დავიდარაბის არენად გადააქცევენ!

# ყაზბეგელი ოსები ჩივიან, რომ ქართველები საკუთარ სახლებში აღარ უშვებენ

ყაზბეგის რაიონიდან ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებულმა ეთნიკურმა ოსებმა მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკამკვეთრად გააპროტესტეს. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართული მხარე ყაზბეგელ ოსებს სახლებში დაბრუნებისა და თავიანთი საკუთრების გამოყენების საშუალებას არ აძლევს. ოსები დახმარებითვის საერთაშორისო ორგანიზებსა და რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატს, ვლადიმერ პუტინს მიმართავენ და ამ მოვლენის **„სათანადო შეფასებას“** სთხოვენ.

მათი განცხადებით, ისინი ყაზბეგის რაიონის ძირძველ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, რომლებიც მკაცრი ზამთრის გამო სეზონურად ჩრდილოეთ ოსეთში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 2006 წელს საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ კი საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ დაბრუნდნენ.

**„აგვისტოს ომის შემდეგ კი ოსებს თრუსოს ხეობაში დაბრუნებას გვიკრძალავენ. იქ ჩვენი სახლებია, რომლებიც უპატრონობით ინგრევა, ბევრი სოფელი სულ გაპარტახებულია“**, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

იქვე აღნიშნულია, რომ 2010 წლის შემდეგ, როცა საქართველოს **„ნაციონალურმა“** ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა, ქართველი მესაზღვრეები ყაზბეგელ ოსებს საქართველოში შემოსვლაზე უარს ეუბნებიან.

**„უარის მიზეზს არ აკონკრეტებენ, ამბობენ, რომ რაღაც სიას ეყრდნობიან. მე საქართველოს სოფელ კობში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები რომ ჩაიკეტა, ჩრდილოეთ ოსეთიდან სახლში ვეღარ დავბრუნდი. მიმოსვლა რომ აღდგა, გადავწყვიტე დაბრუნება. რუსული გამშვები პუნქტი გავიარე, ქართველებმა კი 3 საათი მაცდევინეს, ასე მითხრეს თბილისიდან უნდა მოვიდეს პასუხიო. სამი საათის შემდეგ მაცნობეს, რომ უარი მოვიდა, მიზეზი არ ამიხსნეს. თრუსოს ხეობაში 13 ოსური დასახლებაა და არცერთში დაბრუნების უფლებას არ გვაძლევენ“**, – გულისტკივილით ამბობს 68 წლის ოსი ეროვნების მოქალაქე რუსლან ტუაევი.

პრეს-კონფერენციის მონაწილეთა განცხადებით, თრუსოს ხეობაში დამატებითი საკონტროლო პუნქტი გაიხსნა, რომელიც ყველა სოფლისკენ მიმავალ გზას კეტავს და ოს მოსახლეობას შინ დაბრუნების საშუალებას არ აძლევს..

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ეროვნების დევნილთათვის საკუთარ ოჯახში დაბრუნებაზე უარის თქმა დიდი საერთაშორისო დანაშაულია, მაგრამ იქნებ ჩრდილოელმა ოსებმა ერთხელ მაინც ჰკითხონ სამაჩაბლოელ ოსებს, თუ რატომ არ უშვებენ ისინი საკუთარ სახლებში დევნილად ქცეულ ათიათასობით ქართველს, რომლებიც შორიდან შესცქერიან საკუთარ ნახანძრალ და დაქცეულ კარმიდამოს და სასაფლაოებზე გასვლის უფლებაც კი არა აქვთ.

აღნიშნული მდგომარეობა არც ერთ მხარეს არ მატებს ღირსებას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ეცდებიან მოაწესრიგონ სიტუაცია, რათა ადამიანებს მშობლიურ კერაზე დაბრუნების საშუალება მიეცეთ.



# წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია

წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული ეკლესია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ივ. ჯავახიშვილის ქ. №69-ში, მეტრო **„მარჯანიშვილის“** მიმდებარე ტერიტორიაზე (ამ ადგილს ადრე **„კირიჩნსაც“** უწოდებდნენ, რადგან შორიახლოს მდებარეობდა გერმანელ კათოლიკეთა მიერ აგებული სალოცავი **„კირხე“**). ტაძრის მშენებლობის პერიოდისათვის, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიც კი ქალაქის საზღვრებს გარეთ მდებარეობდა, ეს გახლდათ ქალაქის ცენტრთან დაახლოებული ხალხმრავალი ადგილი, რომელიც ლამაზი საცხოვრებელი სახლებითა და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებით თუ სახელოსნოებით იყო გარშემორტყმული.

აღნიშნული რუსული მართლმადიდებლური ტაძარი 1864 წელს აიგო. ეკლესიის მშენებლობა მორწმუნეთა მატერიალური და ფინანსური დახმარებითა და რუსეთის წმიდა სინოდის მიერ გამოყოფილი 5000 მანეთის მეშვეობით მიმდინარეობდა. ტაძრის ხუროთმოძღვრისა და მის მშენებლობაზე დასაქმებული მაღალკვალიფიციური ოსტატებისა და მუშების ძალისხმევის წყალობით ეკლესიის შენობა დაახლოებით ორ წელიწადში აშენდა.

1886 წელს, ჩრდილოეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით მინაშენებმა ტაძარი მოცულობაში თითქმის ორჯერ გაზარდა; სალოცავის ეზოში შესასვლელთან აღიმართა ერთიარუსიანი, ნათალი ქვით ნაგები სამრეკლო, მასიური კარიბჭითა და ქვის კიბით; ეკლესია ეგზარქოს პავლეს ინიციატივითა და საეპარქიო არქიტექტორის ზედამხედველობით გაფართოვდა.

ეკლესიაში ამჟამად ორი ტრაპეზია: წმიდა ალექსანდრე ნეველისა და წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობისა. ეს მეორე ტრაპეზი 1900 წელს დაარსდა საკურთხევლის მარჯვნივ მდებარე ეკვდერში, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მირონცხების პატივსაცემად. აღნიშნული ეკვდერი მთლიანად მრევლის შემოწირულობებით აშენდა. ეკლესიის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს სამლოცველო, რომელიც 1869 წელს აშენდა გლამაზდინების ოჯახის მიერ გაღებული შემოსაწირით.

ტაძრის ეზოს კარიბჭესთან თეოდორესეული ღვთისმშობლის ხატის სამლოცველოა, რომელიც 1913 წელს აშენდა და მიეძღვნა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის იუბილეს.

ტაძარში წმიდა ნაწილთა ორი ლუსკუმაა, რომელშიც ინახება წმ. მარიამ მაგდალინელის, წმ. ნინოს, წმ. ნიკოლოზის, წმ. შიო მღვიმელისა და სხვა დიდ წმინდანთა ნაწილები.

ტაძრის ეზოში დაკრძალულია სქემარქიმანდრიტი ვიტალი (სიდორენკო). მის საფლავთან ყოველდღიურად მიდიან მორწმუნენი, მიაქვთ ყვავილები, ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ.

დავით დანელია



# ებრაული მასონობა ცოცხლად მარხავს მთელ კაცობრიობას და მათ შორის საქართველოს

დღემდე მსოფლიომ ექვსი ისტორიული პროცესი გაიარა. ამჟამად მეშვიდე ფაზა დაიწყო. ყველა მათგანში მეტ-ნაკლებად გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ და თამაშობენ **"ფარული ძალები"** – პოლიტიკური სიონიზმი, მასონობა, ბოლშევიზმი, მონდიალიზმი და რიგი სხვა იზმები.

დღეს ჩვენ თევზის, მამლის, ღორის კოსმოსური ერის პერიოდში გვიხდება ცხოვრება. ესაა ტოტალური სიცრუის, სიყალბის, პირმოთნეობისა და ტყუილების ეპოქა. ჩვენი ნათქვამის დასაბუთება რთული და ძნელი როდია. საკმარისია თვალი გავადევნოთ ხალხების ცხოვრებას, გამოცდილებას და ოდნავ ჩაუფიქრდეთ განცდილებს და ნანახს და დავრწმუნდებით, რომ სიონიზმი რუსეთში ჩაინერგა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში სტალინის მოსვლამდე. სწორედ მასონებზე გამარჯვებისათვის აქციეს სტალინი საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სუპერპიროვნებად და ღმერთად.

როცა სტალინი მოკვდა (მოკლეს), საბჭოთა ხალხმა ეს მოვლენა აღიქვა როგორც კოსმიური კატასტროფა და მისი გარდაცვალების პირველ კვირას ყველანი ელოდნენ აპოკალიფსის – ცივილიზაციის დასასრულს. გავიდა დრო და სტალინი გამოასვენეს მავზოლეუმიდან. ხელისუფლებაში პირველ კაცად მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა (ნამდვილი გვარი – **პერლამუტერი**) პარტიას აუწყა, რომ სტალინის პიროვნებაში (მისი შეფასებისას) შეცდნენ და ახლა მან გადაწყვიტა მოენადირებინა ხალხის გული. ხალხი ხრუშჩოვს მიუხვდა და დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა **"ვოლუნტარიზმთან, ლენინიზმისა და კომუნიზმის მოძღვრების გამყალბებელთან"**.

შემდეგ პარტიას მოევლინა ე.წ. **"ნამდვილი კომუნისტი"** ლეონიდ ბრეჟნევი (ნამდვილი გვარი – **განოპოლსკი**). მისი ისტორიაც დიდად არ განსხვავდება წინამორბედისგან და მისი წასვლის შემდეგაც კიდევ ერთხელ გადაიწერა ისტორიის სახელმძღვანელოები. ხალხი, მცირე რაოდენობის სულელთა გარდა (ასეთები კი ყველა დროსა და ეპოქაში არიან), მიხვდა, რომ მათ ატყუებენ და გონებას ურევენ, რომ ხელისუფლება შეგნებულად უმალავს ხალხს სიმართლეს და ახდენს მათ დეზინფორმირებას.

შემდეგ დაიწყო გორბაჩოვის (ნამდვილი გვარი – **გარბერი**) გარდაქმნები. ყოფილი **"ხალხის მტრების"** შვილებმა კვლავ დაიწყეს კომპარტიის გაწმენდა სტალინიზმისაგან, **"პირით შემობრუნდნენ ლენინიზმის ნათელი იდეალებისაკენ"**. ხალხის მტრების შვილებს ეს თვალთმაქცური ნომერი არ გაუვიდათ. რუსმა პატრიოტებმა და ნაციონალისტებმა დაამსხვრიეს მითი ლენინის, როგორც დიდი საბჭოთა ღმერთის შესახებ და გამოაცხადეს, რომ ლენინი ღმერთი კი არა, სატანური ძალების წარმომადგენელი იყოო. შემდგომ, ამ **"გარდამქმნელებმა"** სცადეს კომუნიზმი გაენთავისუფლებინათ ლენინიზმისაგან და პირისახით შებრუნებულიყვნენ მარქსიზმის **"ნათელი"** იდეებისაკენ. ეს მცდელობაც არ გამოუვიდათ, როგორც იტყვიან **"კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ"**. რუსმა პატრიოტებმა დაამსხვრიეს კარლ მარქსის, როგორც ყალბი და გამოგონილი ღმერთის მითიც და ისიც სატანად გამოაცხადეს.

შემდეგ რუს ხალხს პირველ კაცად მოევლინა ბორის ელცინი (ნამდვილი გვარი – **ელკინი**). მან და მისმა თანამებრძოლებმა წინ იდეოლოგიურ ჯავშნად იესო ქრისტე აიფარეს და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსეი მეორეს ჩაეკონენ.

**ნურავინ იფიქრებს, რომ ის სიყალბე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის დროს, თითქოს რაღაცა გამონაკლისი იყო გლობალურ ისტორიულ პროცესებში. როგორც თევზის, ისე მამლისა და სხვათა კოსმიური ერა, სამწუხაროდ, ისეთივეა, როგორც ყველა მათი წინამორბედისა. თითოეული მათგანი დაფუძნებულია სიცრუეზე, ტყუილებსა და ძალადობაზე, და ეს სიცრუე დამახასიათებელია არა უკანასკნელი 70 წლის, არამედ რამდენიმე ათასწლეულებისათვის, იცვლება მხოლოდ სიცრუისა და ტყუილების ფორმები.** სიცრუის ერთ ფორმას ცვლის მეორე ფორმა, ხელისუფლების უღირსთა ერთ ბანდას, შედარებით უარესი ბანდა. ხოლო საერთო ვითარება არა თუ იცვლება, არამედ უარესდება, მოსახლეობის ცხოვრების პირობები ეცემა.

**ვლადიმერ პუტინის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე რუსეთს გარეშე ძალების მხარდაჭერით ღრღნიდნენ და ანგრევდნენ შინაური მტრები – ხრუშჩოვის (იგივე პერლამუტერი), ანდროპოვის (იგივე ფიოლკშტრაინსი), ბრეჟნევის (იგივე განოპოლსკი), გორბაჩოვის (იგივე გარბერი), ელცინის (იგივე ელკინი) სახით.**

ისინი ებრაელები იყვნენ (არიან). მათ აქტიურად ედგათ მხარში და ქვეყნის დანგრევაში ზურგს უმაგრებდნენ ასევე ებრაელები: ალექსანდრე იაკოვლევი, ედუარდ შევარდნაძე (იგივე ცოკოლიდი-სოკოლიდი) და სხვა ე.წ. თანამებრძოლები.

**ბუნებრივია, ქართველ ებრაელებს სწყინთ, როცა ამ თემაზე კითხულობენ წერილებსა თუ წიგნებს, მაგრამ იმას როდი უწევენ ნგარიშს, რომ საუბარი ეხება არა ყველას, არამედ ერის ხარჯზე გამდიდრებულ და სხვა ხალხების მტრად გადაქცეულ ერთეულებს, რომლებიც ვეღარ ეტევიან პირად ქონში და ქვეყნიერებას კატასტროფულად მიაქანებენ უფსკრულისაკენ. სამოქმედო დევიზი "ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარება ნიშნავს ყველა სარწმუნოების, პირველ რიგში – მართლმადიდებლობის მოსპობას.** ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნას და კაცობრიობის 6,5 მილიარდიდან 1 მილიარდამდე შემცირებას. ამ საფრთხეზე საუბრობდნენ სერაფიმე საროველი, იოანე კრონშტატდელი, იოან ზლატოუსტი, ივან გროზნი (მრისხანე), ეკატერინე მეორე, ალექსანდრე მესამე, ნიკოლოზ მეორე. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ ემუდარებოდნენ ხალხს დოსტოევსკი, გოგოლი და პობედონოსცევი, რომ გადაელახათ ეს საშინელი დაავადება. დღეს ეს მემკვიდრეობა საკმარისი არ აღმოჩნდა თვალის ახელისა და ჩვენი ხალხის გონზე მოსაყვანად, გამოსაფხიზლებლად, რომლებსაც გამოშტერება-გამოყრუებაში დაეხმარა ტელევიზია. მან გადააჩვია ადამიანები წერა-კითხვას, აზროვნებას, ფიქრსა და ანალიზირებას, სწორედ ტელევიზიამ შვა ძალადობა, მკვლელობები, უზნეობა და სხვა მანკიერებანი.

**თანამედროვე პრესა, რადიო, ტელევიზია (მცირე გამონაკლისის გარდა) საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის, ჯორჯ სოროსის ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" (ახია ხალხზე, გესმით? "ღია საზოგადოება"), თავისუფლების ინსტიტუტის და სხვა გადაგვარებულ იმ ორგანიზაციათა ხელშია, რომლებმაც საქართველოში მცხოვრებ 100-ზე მეტ ერსა და ეროვნებიდან, საკუთარ სამშობლოში, მხოლოდ ჩვენ, ქართველებს წაგვართვეს ეროვნება "ქართველი", მამის სახელი და კონსტიტუციიდან ამოშალეს ცნება "ქართველი ერი"., ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქართველობა დაემშვიდობოს დედაისტორიას, დედა-ენას, კლასიციზმს, შოუებსა და მაიმუნობებში გათქვიფონ ეროვნულობის** (ქვეყნიერების ამ ქვაკუთხედის) **ყოფა**. დღეს ვინაც ამჟღავნებს, ააშკარავებს ებრაელთა ზრახვას, მას ზოოლოგიური ანტისემიტიზმიდან დაწყებული, ფაშისტის იარლიყს ჰკიდებენ გულზე. ასეთი იარლიყი მომაკრეს ამას წინათ ე.წ. მოგზავნილმა მეგობრებმა, რომლებმაც, რბილად რომ ვთქვათ, მირჩიეს, თავი დავანებო მასონობასა და სიონიზმზე წერას. მასონობაზე, რომელიც ცოცხლად მმარხავს და ჩემს მომავალს გაქრობას უქადის. **"ებრაული საკითხი"** დღეს განიხილება როგორც რუსული ეროვნული **"ბუზანკალი"**, სიშმაგე, რომლითაც ცდილობენ შენიღბონ თავიანთი სიზარმაცე, უსაქმურობა, ლოთობა...

იერუსალიმური გველი, რომელიც 969 წელს გამოცოცდა დედამიწის ზედაპირზე, ღია პირში მაშინ დაიჭერს საკუთარი კუდის წვერს, როცა რუსეთს დააჩოქებს, დაშლის მას 22 დამოუკიდებელ ნაწილად. როგორც წერენ, ჯანმრთელ ეროვნულ სხეულს თავს ესხმიან ბნელი კოსმოპოლიტური ძალები, რომელთა შეფასებითაც, მთელი რუსეთი და რუსი-სლავები ბოროტებისა და უზნეობის ყრუ კედელია. ამიტომ, მათი გეგმით, რუსეთი, როგორც ქვეყანა, ერთიანად უნდა მოისპოს.

რუსეთი, დავუშვათ, გასაგებია და კარგა ხანია ამოიღო მიზანში დასავლეთმა და 300-თა კომიტეტის გეგმით – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. **მაგრამ რა შუაშია საქართველო, რატომ გაიჭყლიტა ქვეყანა დასავლეთის (მასონობა) და რუსეთის ურთიერთდაპირისპირებისას, რატომ წააკლეს სამგორის სატაბაკე წილასავით რუსეთ-ამერიკას შორის განახლებულ ცივ ომს?**

ამერიკელებმა და მათმა ფავორიტებმა საქართველოში უნდა გაითავისონ, რომ მსოფლიოში არ არსებობს არაეროვნული სახელმწიფო და ცივილიზაცია, და არც ისეთი ერია დედამიწაზე, რომელიც უარყოფს და ხაზს გადაუსვამს თავის ისტორიას, ათასწლეულების მანძილზე შექმნილ საკუთარ კულტურას. აქედან გამომდინარე, და ამის გამო შეუძლებელია იყოს უეროვნო განვითარება მცნებების **"მსოფლიო მოქალაქე", "ადამიანის უფლებათა მესაფლავე"**, მასონები და სხვანი. კაცობრიობამ, და მათ შორის საქართველომ უკვე გაიღო დიდი მსხვერპლი, XX საუკუნე საქართველოსთვის ყველაზე დიდი ტრაგედიებით დასრულდა. დღეისათვის თითქმის ყველამ იცის, რამდენადაც მცირეა საიდუმლო, იმდენად მეტია თავისუფლება, რამდენადაც ამ დროს საინფორმაციო სივრცე იკუმშება და იმ ანტიეროვნული ძალებს, რომლებიც სათავეში უდგანან ბრბო-ელიტარულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სტრუქტურებს, შესაძლებლობა ეძლევათ მანიპულირება გაუკეთონ საზოგადოებრივ შეგნებას, მოატყუონ ხალხი როგორც ნახირი, გამოიყენონ ისინი, რათა შემდეგ დაეუფლნონ ტრანსნაციონალური მონოპოლიებს. თუკი ადამიანები გაიგებენ ვისგან, როგორ და როდისაა მოსალოდნელი საშიშროება, ისინი გაერთიანდებიან და არ მისცემენ საშუალებას, რათა ბოროტებამ გაიმარჯვოს სიკეთეზე. მოხდება საზოგადოების ეროვნული სტრუქტურირება.

არც თუ იშვიათად, ობივატელის მხრიდან დაისმის შეკითხვა: რა საჭიროა წერა, ნაკლოვანებების სააშკარაოზე გამოტანა, მაინც არაფერი გამოდის, ქვეყანა მაინც იღუპება (ან – დაიღუპა). ჩვენ ასე როდი ვფიქრობთ. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ისტორიული პროცესის მექანიზმის შესახებ მართებული ინფორმაციის თანმიმდევრული გავრცელება, ბნელი, ფარული და მამოძრავებელი ძალების გენერატორის მხილება კეთილნაყოფიერ პირობას ქმნის დადებითი ინფორმაციის ზრდისათვის, სადაც სატანისათვის შესასვლელი დახშულია. თუ ასე მოვიქცევით, საქართველო და მასონობის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნები აღორძინდებიან და დაჩაგრული ხალხები მოიპოვებენ ბედნიერებას.

დღეს მთავარია, რომ ქართულმა საზოგადოებამ არ დაჰკარგოს მომავლის რწმენა, თავიდან მოიშოროს შიში, რადგან **"შიში ვერ იხსნის სიკვდილსა..."**. ხელისუფლებას კი გვინდა ვურჩიოთ გამონახოს საერთო ენა რუსეთთან. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ქართველებს ძალზე ბრძენი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული წინაპრები გვყავდა, მათ შემთხვევით როდი აიღეს გეზი დიადი რუსეთისაკენ. ნუ ვერწმუნებით ამერიკის მმართველებს, ყოველი პრეზიდენტი ხომ მასონი და სიონისტია. ამერკის სადღეისო ძლიერება მოჩვენებითია, ამერიკა მუშაობს ამერიკის წინააღმდეგ, რუსეთი კი ძალებს იკრებს და შორს არაა ის დრო, როპცა იგი ააშენებს თავისუფალ, მართალ და უძლიერეს ეროვნულ საზოგადოებას.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მმართველ ძალას ესაჭიროება ეროვნული ეგოიზმის ჯანსაღი პრინციპის დაცვა და მისი ცხოვრებაში გატარება. სხვაგვარად საქართველო ჩაიხრჩობა დასავლეთური, **"ჩვენი მეგობრების"** ფარისევლური ნართაულების უძირო ჭაობში!

**იაკობ ახუაშვილი,**
**აკადემიკოსი**

# ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია "კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის" განცხადება

სამწუხაროდ, საქართველოში შეიქმნა ვითარება, როდესაც ქვეყანას მართავს საკუთარ ხალხს დაპირისპირებული ხელისუფლება. სააკაშვილის ნეობოლშევიკური რეჟიმი ახორციელებს საქართველოს კოლონიური სტატუსის დამკვიდრებას და ამ მიზნის მისაღწევად სჩადის უამრავ დანაშაულებრივ ქმედებებს, ხდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების იგნორირება.

ხდება ერისა და ადამიანის გახრწნა-გადაგვარება. ამ მიზნით ხორციელდება ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიჰუმანური პოლიტიკა, მიზანმიმართულად ხორციელდება წარსულის გადავიწყება და გაყალბება. ერის ჭეშმარიტ გმირებს უნიათო კაცებად წარმოგვიდგენენ, მოღალატეებსა და მედროვეებს კი – გმირებად. თუ ძველად დედა-სამშობლოს სწყვეტდნენ ყმაწვილებს, დღეს სწყვეტენ ეროვნულ ღირებულებებს, დედა-ენას, სულს უსახიჩრებენ, ფსიქიკას უცვლიან, ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებს. დედა-ეკლესიას და სარწმუნოებრივ ისტორიას აბუჩად იგდებენ, მაშინ, როდესაც ჩვენი სარწმუნოება იყო იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად. ერი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული და ცივილიზებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შესცვლის ვერც მომავალში. იდეისათვის თავგანწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა – აი, რა არის ძირითადი ჩვენს ეროვნულ ხასიათში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეროვნული ენერგია არაფრით ჩამოუვარდება სხვა ხალხებისას, პირიქით, ზოგჯერ სჯობნის კიდეც. საქართველო დაიღუპება, თუ თავისთავს ვერ მონახავს, თავისთავის მონახვა არის უპირველესი და არსებითი.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართული ეროვნული ხასიათი ერთიანი და მთლიანი იყოს, თან შეურიგებლის შერიგება არ ვცადოთ, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს დაფანტულობას, რაც ჩვენი მტრების მიზანი გახლავთ, ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვათ შურისმაგებლობაზე, ინტრიგაზე, მოღალატეობაზე, მედროვეობაზე. თუ ერის კაცები ვიქნებით კაცობრიობის თანავარსკვლავედში უზენაესის მიერ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობასაც პირნათლად შევასრულებთ და თავისუფლად ვისარგებლებთ ყველა იმ უფლებით, რაც ბუნებით გვაქვს მონიჭებული. ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და ენერგიის გამოსავლენად აუცილებელია – ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლება. ამისთვის იბრძოდნენ ჩვენი გმირი წინაპრები ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები. ამ გზას უნდა დავადგეთ ჩვენც, მათი წმინდა სულები წაგვიძღვებიან ამ უთანასწორო ბრძოლაში.

1975 წლის 31 ივლისს ჰელსინკში დაიდო ხელშეკრულება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის, რომელმაც იმედი მისცა ხალხებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ჰუმანური ეპოქის დაწყებისა მსოფლიო პოლიტიკაში. აღნიშნულის შემდგომ საქართველოში შეიქმნა **"ჰელსინკის ჯგუფი"**, რომლის დამაარსებელნი გახლდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებმაც წლების განმავლობაში განახორციელეს უზარმაზარი სამუშაო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ვინაიდან დღეს საქართველოში დამყარებულია ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც ლახავს ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არღვევს ადამიანის უფლებებს, რაც დადასტურებულია რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო, ავტორიტეტული ორგანიზაციის "Human Rights Watch"-ის 2011 წლის დასკვნაში. შესაბამისად, დაფუძნდა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია **"კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი"**, რომლის მიზნებია: საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, გაეროს წესდებით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვა და ხსენებული დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებების ცხოვრებაში დამკვიდრება, ასევე მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა; კანონის უზენაესობის დამკვიდრება; სახელმწიფოებრივი ცნობიერებიდან გამომდინარე, ქართული ეროვნული ინტერესების ყოველმხრივი აღორძინება, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, მისი ეროვნული უფლებების დაცვა, ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტისა და ვენის შეხვედრის შემაჯამებელი ქართული ეროვნული სახელმწიფოს სიძლიერის ხელშეწყობა; თავისუფალი არჩევნების ხელშეწყობა და არჩევნების მონიტორინგი;

**ადამიანის უფლებათა დაცვის**
**საერთაშორისო ორგანიზაცია**
**"კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის"**
**გამგეობა.**
**ქ. თბილისი, 2012 წელი, იანვარი.**
**ელიზბარ ჯაველიძე,**
**შალვა ხაჭაპურიძე,**
**ანზორ აბრალავა,**
**დავით სოკოლოვი,**
**ზაურ ბედია...**
**სულ 32 ადამიანი.**

# სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

## იკერ კასილიასი – 21-ე საუკუნის ნაკრების მეკარე

*უეფამ XXI საუკუნის სიმბოლური ნაკრები შეადგინა*

ევროპის ნაკრების შემადგენლობის დასახელების დროს უეფამ გულშემატკივართა 11 ყოველწლიური გამოკითხვის შედეგებით იხელმძღვანელა, რომელიც უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება. ნაკრებში დასახელდა ასევე ხუთი სათადარიგო ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი.

ოცდამეერთე საუკუნის ევროპის სიმბოლური ნაკრების მეკარე **იკერ კასილიასი** გახდა. მცველები – **ბრაზილიელი დანიელ ალვესი, იტალიელი ალესანდრო ნესტა, ინგლისელი ჯონ ტერი, ესპანელი კარლეს პუიოლი.** ნახევარმცველები – **პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდო, ესპანელები ანდრეს ინიესტა და ხავი, ფრანგი ზინედინ ზიდანი.** თავდამსხმელები – **ფრანგი ტიერი ანრი** და **არგენტინელი ლიონელ მესი.**

ევროპის სიმბოლური ნაკრების სათადარიგო მოთამაშეებად დასახელდნენ **იტალიელი ჯანლუიჯი ბუფონი, ბრაზილიელები კაკა და რონალდინიო, ინგლისელი სტივენ ჯერარდი** და **ჩეხი პაველ ნედვედი. მთავარი მწვრთნელის პოსტი პორტუგალიელმა ჟოზე მოურინიომ** დაიკავა.

ბოლო 11 წლის განმავლობაში სიმბოლური ნაკრების შემადგენლობაში სხვებზე ხშირად ხვდებოდნენ **კრიშტიანუ რონალდუ** და **პუიოლი** – ექვს-ექსჯერ. ხუთჯერ მოხვდნენ წლის გუნდში იკერ **კასილიასი და ტიერი ანრი.**

უეფამ 18 იანვარს 2011 წლის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობაც დაასახელა. მასში შევიდნენ: **კასილიასი, დანიელ ალვესი, ჰერარდ პიკე, ტიაგო სილვა, მარსელო, არიენ რობენი, ხავი, ინიესტა, გარეტ ბეილი, კრიშტიანუ რონალდო** და **ლიონელ მესი.**

## გიორგი დემეტრაძე – “ჩემი ერთდერთი ოცნებაა, ამ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიო”

**„არსებობს წერილი-თხოვნა პრეზიდენტისადმი გიორგი დემეტრაძის გათავისუფლების თაობაზე. ამ წერილს ქართული საფეხბურთო სამყაროს ბევრი წარმომადგენელი აწერს ხელს და თუ მიხეილ სააკაშვილი გაითვალისწინებს გიორგი დემეტრაძის დამსახურებას და საფეხბურთო ოჯახის თხოვნას, ქართულ საზოგადოებას და პირადად ფეხბურთელ ვეტერანს დიდებულ საჩუქარს გაუკეთებს“,** – განაცხადა ახლო წარსულში შესანიშნავმა ქართველმა ფეხბურთელმა, ამჟამად თურქული კლუბის **„ქაისერისპორის“** მწვრთნელმა შოთა არველაძემ. სამწუხაროდ, ახალმა წელმაც ჩაიარა, და იმედებიც თანდათან ჩაინავლა, რადგან **„ქურდული სამყაროს წევრი“** დემეტრაძე კვლავ პატიმარობაში რჩება. 2011 წლის მიწურულს მისმა ადვოკატებმა ვრცელი არგუმენტირებული საჩივარი გააგზავნეს ევროსასამართლოში და, როგორც გიორგი დემეტრაძე ამბობს, ლოდინის მეტი აღარაფერი დარჩენია. გთავაზობთ ინტერვიუს **გიორგი დემეტრაძესთან:**

**– გიორგი, როგორ ხართ, როგორ შეხვდით ახალ წელს?**

– პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის. რა გითხრათ, ისე ვარ, როგორც პატიმარს შეეფერება. ჩემი დილა ლოცვებით იწყება, შემდეგ ჰაერზე გავდივარ, ვვარჯიშობ. ყოველი დღე, ფაქტობრივად, ერთფეროვანია. ახალ წელს სიახლე არ მოუტანია და არც ვინმეს მოულოცია ჩემთვის.

**– თქვენმა მეგობარმა, კახა კალაძემ, ეროვნული ნაკრებიდან წასვლის ერთ-ერთ მიზეზად თქვენი უსამართლო დაკავება და აბსურდული განაჩენი დაასახელა.**

– უღრმესი მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემდა საბედნიეროდ, კახას სჯერა ჩემი უდანაშაულობისა და დაკავების დღიდან მხარში მიდგას. მან იშვიათი ერთგულება გამოხატა ჩემ მიმართ. კახას წარმატებას და გამარჯვებას ვუსურვებ! მჯერა, რომ არა მხოლოდ ფეხბურთში, სადაც უნდა იყოს, ყველგან წარმატებული იქნება.

**– შოთა არველაძემ თავის ინტერვიუში განაცხადა, საფეხბურთო სამყაროს უმრავლესობა შეძლებისდაგვარად უდგას გვერდში დემეტრაძესო. ასეა?**

– სამწუხაროდ, პატიმრობაში ყოფნისას ასეთი თანადგომა არ მიგრძნია. მწარედ მახსენდება, ფეხბურთის ფედერაციამ მამაჩემს ჩემი დახასიათების მიცემაზე უარი უთხრა და ამის შემდეგ რომელ თანადგომაზეა ლაპარაკი?

**– შოთა ამბობს, რომ არსებობს ფეხბურთის ფედერაციის წერილი-თხოვნა პრეზიდენტისადმი შენი გათავისუფლების თაობაზე...**

– მე ამ წერილის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცოდი. თუ ამ ხალხს მართლაც სჯერა ჩემი უდანაშაულობისა და ცდილობენ ჩემს თანადგომას, მათდამი მადლობის მეტი რა მეთქმის... შეწყალების მოთხოვნა იგივეა, რომ საკუთარი დანაშაული აღიარო. მე კი ამას არ ვაპირებ, რადგან თავს სრულიად უდანაშაულოდ მივიჩნევ. სასაცილოა ჩემთვის ქურდული სამყაროს წევრის იარლიყის მოკერება. რომელი ქურდული სამყაროს წევრი მე ვარ, როცა მოედანზე მსაჯის სასტვენის ხმაზე წინ და უკან დავრბოდი?! ბრალდებასაც ხომ გააჩნია?

**– რამდენიმე თვის წინ „ყველა სიახლესთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, საქართველოში სიმართლის პოვნის იმედი არ მაქვს და არც უზენაესი სასამართლოსგან ველი სიკეთესო. ახლაც ასე ფიქრობთ?**

– ჩემი პოზიცია არ შეცვლილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმედი როგორ უნდა მქონდეს, როცა მან ასეთ რეზონანსულ საქმეზე, სადაც არაერთხელ აღინიშნა ჩემი უდანაშაულობა და არც რამე მტკიცებულება არსებობს, საჩივარი საერთოდ არ მიიღო?! ჩემმა ადვოკატებმა 2011 წლის ბოლოს გაგზავნეს საჩივარი სტრასბურში და იმედი მაქვს, ევროსასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს. ამ ქვეყანაში სიმართლის პოვნის იმედი უკვე გადამეწურა. მაგრამ, მხოლოდ ის მაძლებინებს, რომ მრავალი ჩემი ბედის გამზიარებელი ადამიანი ჩემსავით უსამართლოდაა დასჯილი და ერთად უნდა ვეძებოთ სამართალი. პირველი ინსტანციის სასამართლოსგანაც ვერ წარმომედგინა, რომ უსამართლო, გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა, მაგრამ....

ახლა, ჩემი ერთადერთი ოცნებაა, როგორმე ამ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიო.

ვმადლობ უფალს, ჩემს თავში ვიპოვე იმის ძალა, რომ მემარხულა, ლოცვა ჩემი განუყრელი რიტუალი გახდა. დღეში ერთ საათს ვვარჯიშობ. ერთადერთი, რაც ძალიან მაწუხებს, არის ის, რომ საკანში არ გვაძლევენ რადიოს შეტანის საშუალებას, ტელევიზორზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. უღრმესი მადლობა ყურადღებისთვის და მინდა, ჩემს ყველა გულშემატკივარს მივულოცო შობა-ახალი წელი. მე კი მაღალ ღმერთს გამძლეობას ვთხოვ.

**ნ. ფიცხელაური**



# იუმორი

* * *

– ბიჭო, ჭიჭიკია, შენი სიდედრი ჭაში ჩავარდა.

– რომელში, ღობესთან რომაა, თუ დიდ ხესთან?

– ღობესთან.

– მაგ ჭა გაუქმებულია.

* * *

ცოლი გაზეთს ათვალიერებს და ქმარს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, არაბები თურმე ცოლებს ცხენებში ცვლიან. შენ გამცვლიდი ცხენში?

– რას ამბობ, ქალო, ცხენი რად მინდა, არაბი კი არა ვარ. აი, მანქანა რომ იყოს...

* * *

ორი მოხუცი საუბრობს:

– მიშას ძალიან უყვარს ცხოველები, მხოლოდ თბილ წყალში ახრჩობს!

* * *

სარა ბაზრიდან დაბრუნდა და ქმარს შესჩივლა:

– დღეს უკანასკნელი სიტყვებით მაგინეს ბაზარში.

– ხომ გითხარი, სადაც გიცნობენ იქ არ იარო-მეთქი.

* * *

– ექიმმა მითხრა, ისე გიმკურნალებ, მალე ფეხით გაივლიო.

– მერე?

– მკურნალობაში იმდენი ფული მომთხოვა, რომ მანქანა გავყიდე და ფეხით დავდივარ!

* * *

რესტორანში კლიენტი წიოკობს:

– კიდევ რამდენი ხანი უნდა ველოდო ვახშამს?

– ოცი წუთი!

– რა იცი?

– ოც წუთში რესტორანი იკეტება!

*ირონიული სტრიქონები*

## ოთარ სტაჟაძე

### ზეკმაყოფილი

ხალხის ჯიბეში
ხელის ფათურით,
დღეს ბევრი დადის
წელგამართული.
და ხაზინაში
ხელჩაყოფილი,
ზის მაღალ სკამზე
ზეკმაყოფილი!

### პარადოქსი

დღეს ცხოვრება ასეა,
ანგარებით ნაგები,
ჯიბესქელი მდიდრდება
ღარიბის წანაგებით!

### გზა არსაით

უთავო მოღვაწე
თავს გვაწევს.
ვერ ილვწის, არც იწვის,
უღვთოდ გვფცქვნის,
მის ხელში, მისდღემში
ვართ მხვნეში,
ამქვეყნის სიკეთე
თავს დასდის,
როშავს და თავს კი
გვამადლის,
მიგვიძღვის, სად გვიძღვის,
არ იცის!

### წუხილი

დიახ, ასეც ხდება,
ექიმს გული წყდება,
თუკი ვინმე სადმე,
უიმისოდ კვდება.

### ტრიუკების ტრიუმფი

ყოველდღე შევცქერთ
მედროვეთ ტრიუმფს:
მიღწევად ვუთვლით
საცირკო ტრიუკს.

## ვაი, ნანა

ვაი, ნანა!.. ვაი, ნანა!..
ისევ კვნესი, ჩემო გოჩა?
ანაკლიამ გაისტუმრა,
თუ ვინმეს ცრემლი გამორჩა.
ბევრი ჭერი ჩამომემხო,
ბევრიც კიდევ გადამირჩა,
შინ ვინ მიშვებს, სასახლეში
მძლავრობს მამელუქი ხვიჩა.
ფშალოს ჩიტო, –მაფშალია,
ეს შენ მღერი: – ვაი, შური!..
ძველი ჰანგი რატომ მესმის,
სადარდო და კაეშნური.
დიაჩემო, შენღა, თორემ
საღვთო რაინდს ვიღა გვიშობს.
ფოლადი და ალმასივით
ისევ: – აკა სი რექიშო!
ჩემო ხვიჩა, ჩემო გოჩა,
დარდს გულში ვინ ამოხოცავს,
როცა, როცა, როცა, როცა
არ ნელდება როცა „როცა”.
ვაი, ნანა, ვაი, შური
მე იქ არ ვარ, სადაცა ვარ.
სადაც მიწა უნდა ვიყო,
იქ მე უსათუოდ ცა ვარ.
ვაი, ნანა, ვაი ნანა...

***

ამოვურიე წამში სამსალა
და უცებ გველმა წამასარსალა,
ახლა ვინდომო რაგინდ რაც არა,
რა ავაშენო, არ მაქვს მასალა.
ჩამოეკვეცათ გემებს ღუზები,
პოეტებს გაეპარნენ მუზები
და საწყაული ამოუვსები,
სადღაც თვლემს, – ჭკუანაბახუსევი.

**კოტე ნაჭყებია**

## ირანთან ომის შესაძლო შედეგები სამხრეთ კავკასიისთვის

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ხშირად საუბრობენ საერთაშორისო კოალიციის ირანზე შესაძლო თავდასხმის შესახებ და ამ კოალიციაში, სულ მცირე, **აშშ**-სა და ისრაელს მოიაზრებენ. ამასთან, ექსპერტები ერთხმად ირწმუნებიან, რომ ამ მოვლენას უკიდურესად ნეგატიური შედეგები მოჰყვება სამხრეთ კავკასიისათვის და ნამდვილი აპოკალიფსის სურათს ხატავენ.

პოლიტოლოგი ანდრეი ეპიფანცევი მიიჩნევს, რომ ამგვარი პროგნოზები პრაქტიკაში ძალზე იშვიათად მართლდება და რეალობა, როგორც წესი, გაცილებით უფრო მრავალვარიანტიანი და რაციონალურია.

**„არსებული ცალსახად პროამერიკული კურსის ფარგლებში საქართველოსთვის, ერთი შეხედვით, მომგებიანი იქნება რეგიონში აშშ-ის გაძლიერება. ეს გააჩენს მიზეზს მძლავრი პიარკამპანიისთვის ტრადიციულ ქართულ სტილში „დემოკრატიის ზეიმისა“ და საქართველოს „უსაფრთხოების გაძლიერების“ შესახებ.**

**ამასთან, საქართველოსთვის განსაკუთრებულ ცვლილებებს ახალი მდგომარეობა არ მოიტანს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენაზე ეს არანაირად არ აისახება. თეორიულად არსებობს რუსეთსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის შესაძლებლობა ირანის კამპანიაში რუსეთის მონაწილეობის თაობაზე, რომლის საფასურიც საქართველო იქნება, მაგრამ ამგვარი ვაჭრობის ალბათობა დიდი არაა, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: ომში რუსეთის პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობები შეზღუდულია, მონაწილეობა კი აუცილებელი არ არის, და მეორე, რუსეთისთვის აზრი არ აქვს საქართველოს „აღებას“ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც 2008 წელს მოსკოვმა საკუთარი ტანკები თბილისიდან 40 კილომეტრში შეაჩერა – ამ შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება, საქართველოში მარიონეტული ხელისუფლება დასვას და აკეთოს ის, რასაც ახლა ამერიკელები აკეთებენ – მთელი ქვეყანა შეინახოს. რუსულ ეკონომიკაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით და უზარმაზარი ხარისხით დოტირებული ჩრდილოკავკასიის არსებობის პირობებში ამის სურვილი რუსეთს არ აქვს. უფრო მეტიც, ბოლო წლებში ქართველ საზოგადოებაში განწყობა პროამერიკულიდან ნელ-ნელა პროქართულსა და პრორუსულზე გადადის, რაც სასიხარულოა. ამგვარი ნაბიჯი კი დაანგრევდა ამ ტენდენციას“,** – წერს პოლიტოლოგი.



ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge